



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა
ევროპული კონვენციის 6 მუხლთან დაკავშირებით

სამართლიანი სასამართლო
განხილვის უფლება
(სისხლისსამართლებრივი
ასპექტები)

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

გამომცემლობებმა ან ორგანიზაციებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან წინამდებარე მასალის(ან მისი თარგმნილი ვერსიის) რეპროდუცირებაში, შემდგომი ინსტრუქციებისთვის უნდა მიმართონ: publishing@echr.coe.int

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2014

წინამდებარე დოკუმენტი შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ შემდეგი მისამართიდან: www.echr.coe.int (პრეცედენტული სამართალი - პრეცედენტული სამართლის ანალიზი - სახელმძღვანელო ღირეტივები პრეცედენტულ სამართალთან დაკავშირებით).

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სამეცნიერო კვლევების განყოფილების მიერ, და სასამართლოს მასთან დაკავშირებით რაიმე ვალდებულებები არ ეკისრება. ტექსტის საბოლოო ვერსია 2013 წლის 31 დეკემბერს მომზადდა, და დოკუმენტი შეიძლება სარედაქციო გადასინჯვას დაექვემდებაროს.

სარჩევი

შესავალი.....	7
I. მოცვის სფერო: „სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდების“ ცნება	8
A. ზოგადი პრინციპები	8
B. ზოგადი პრინციპების გავრცელება	11
1. დისციპლინური სამართალწარმოება	11
2. ადმინისტრაციული, საგადასახადო, საბაჟო, ფინანსური და კონკურენციის სფეროს სამართალწარმოება	12
3. პოლიტიკური საკითხები	13
4. გამევება და ექსტრადიცია	13
5. სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპები, დამატებითი სამართალწარმოება, და შემდგომი გასაჩივრების საშუალებები Error! Bookmark not defined.	
II. ზოგადი გარანტიები	16
A. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება.....	16
B. ინსტიტუციონალური მოთხოვნები	19
1. „სასამართლოს“ ცნება.....	19
2. კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო	20
3. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.....	22
a. დამოუკიდებელი სასამართლო.....	22
i. ზოგადი პრინციპები	22
ii. დამოუკიდებლობის შეფასების კრიტერიუმები	23
ა. ორგანოში წევრების დანიშვნის მეთოდი	23
ბ. ორგანოს წევრების უფლებამოსილების ვადა.....	23
გ. გარეშე ზეწოლისგან დაცვის გარანტიები.....	23
დ. დამოუკიდებლობის შთაბეჭდილება.....	24
b. მიუკერძოებელი სასამართლო.....	24
i. მიუკერძოებლობის შეფასების კრიტერიუმები.....	25
ა. სუბიექტური მიდგომა	25
ბ. ობიექტური მიდგომა.....	25
ii. ვითარებები, როდესაც შეიძლება ეჭვი იქნას შეტანილი სასამართლოს დამოუკიდებლობაში	27
ა. ფუნქციონალური ხასიათის ასპექტები	27
• ა. მართლმსაჯულების სხვადასხვა ფუნქციების შესრულება.....	27
• ბ. სამართალწარმოების სხვა მონაწილეებთან იერარქიული, ან სხვა კავშირები	28
იერარქიული კავშირები.....	28
სხვა კავშირები	29
ბ. პირადი ხასიათის ასპექტები	30
C. პროცესუალური მოთხოვნები	30
1. სამართლიანობა	30
a. მხარეთა თანასწორობა შეჯიბრებითი წარმოების პროცესში	31
i. მხარეთა თანასწორობა.....	31

ii.	შეჯბრებითი პროცესი	32
b.	სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთება	34
i.	ნაფიცი მსაჯულების მიერ მიღებული გადაწყვეტილების განმაპირობებელი მიზეზები	35
c.	დუმილის უფლება და თვითმამხილებელი ჩვენებების მიცემისგან დაცვის გარანტიები	36
i.	განცხადება და გამოყენების სფერო	36
ii.	გავრცელების სფერო	37
iii.	შეფარდებითი უფლებები.....	38
d.	უკანონოდ, ან კონვენციის მოთხოვნების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება.....	39
e.	დანაშაულის წაქეზება მისი მხილების განზრახვით	41
i.	ზოგადი მოსაზრებები	41
ii.	დანაშაულის წაქეზების დადგენის სუბსტანციური ტესტი.....	42
iii.	დანაშაულის წაქეზების საფუძველზე დაცვის არგუმენტის სასამართლოს მიერ გადასინჯვა	45
f.	სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიებიდან გადახვევა	46
2.	საჯარო სასამართლო განხილვა	46
a.	საჯაროობის პრინციპი	47
b.	ზეპირი სასამართლო განხილვისა და სასამართლო განხილვაზე დასწრების უფლება	47
c.	გასაჩივრების პროცედურა	49
d.	გამონაკლისები საჯაროობის წესიდან	50
e.	სასამართლოს გადაწყვეტილების საჯარო გამოცხადება	51
3.	გონივრული ვადა	52
a.	სამართალწარმოების ხანგრძლივობის განსაზღვრა	52
i.	ვადის დინების დაწყების მომენტი უნდა იქნას გათვალისწინებული	52
ii.	ვადის დასრულება	52
b.	ვადის გონივრულობის შეფასება	53
i.	პრინციპები	53
ii.	კრიტერიუმები	54
c.	რამდენიმე მაგალითი.....	55
i.	გონივრული ვადა გადაცილებულია	55
ii.	გონივრული ვადა არ არის გადაცილებული	56

III. კონკრეტული გარანტიები 57

A.	უდანაშაულობის პრეზუმფცია	57
1.	მტკიცების ტვირთი	57
2.	ფაქტობრივი და სამართლებრივი პრეზუმფცია	57
3.	მუხლი 6 § 2-ის გავრცელების სფერო.....	58
a.	სისხლის სამართალწარმოება	58
b.	მომდევნო სამართალწარმოება	59
4.	პრეიუდიციული განცხადებები	60
5.	სასამართლო ხელისუფლების მიერ გაკეთებული განცხადებები	61
6.	საჯარო მოხელის მიერ გაკეთებული განცხადებები	61
7.	საინფორმაციო საშუალებების საზიანო კამპანია	62
8.	ინფორმაციის მიუწოდებლობის მიზეზით დაკისრებული სანქციები	63

B.	მუხლი 6 § 3: დაცვის უფლებები	63
1.	მუხლი 6 § 3(ა)	64
a.	ზოგადი	Error! Bookmark not defined.
b.	ინფორმაცია ბრალდების შესახებ	64
c.	ბრალდების გადაკვალიფიცირება	65
d.	დაწვრილებით	Error! Bookmark not defined.
e.	დაუყოვნებლივ	66
f.	გასაგებ ენაზე	Error! Bookmark not defined.
2.	მუხლი 6 § 3(ბ)	67
a.	ზოგადი მოსაზრებები	67
b.	საკმარისი დრო	68
c.	საკმარისი შესაძლებლობები	69
i.	მტკიცებულებების მისაწვდომობა	69
ii.	ადვოკატთან კონსულტაციის შესაძლებლობა	70
3.	მუხლი 6 § 3(გ): საკუთარი თავის დაცვა პირადად ან არჩეული დამცველის მეშვეობით	71
a.	გავრცელების სფერო	71
b.	საკუთარი თავის დაცვა პირადად	72
c.	იურიდიული მომსახურება	73
d.	იურიდიული დახმარება	75
e.	პრაქტიკული და ეფექტური იურიდიული დახმარება	76
4.	მუხლი 6 § 3(დ)	77
a.	„მოწმის“ ცნების ავტონომიური მნიშვნელობა	77
b.	უფლება დაკითხოს ან დააკითხინოს მოწმეები	78
i.	ზოგადი პრინციპები	78
ii.	მოწმეთა გამოცხადების უზრუნველყოფის მიზნით გონივრული ძალისხმევების ვალდებულება	79
iii.	მოწმის მოსმენაზე უარის დასაბუთება	79
iv.	მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობა, რომელიც სასამართლოს წინაშე არ იქნა მიცემული	79
v.	ანონიმური მოწმე	81
vi.	მოწმეები სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე	82
vii.	მოწმისთვის ხელსაყრელი წინადადების შეთავაზება მათი ჩვენებების სანაცვლოდ	82
viii.	ჩვენება სხვის სიტყვებზე დაყრდნობით	83
ix.	დაცვის მოწმეების გამოძახების უფლება	83
5.	მუხლი 6 § 3(ე)	84
a.	“თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე	84
b.	სისხლის სამართალწარმოების დაცული ელემენტები	85
c.	“უფასო” დახმარება	85
d.	თარგმანთან დაკავშირებული მოთხოვნები	86
e.	პოზიტიური ვალდებულებები	86

IV. მე-6 მუხლის ექსტრატერიტორიალური მოქმედება 87

A.	მართლმსაჯულებაზე უართან დაკავშირებული უხეში დარღვევები	87
B.	„რეალური საფრთხის“ სტანდარტი და მტკიცების ტვირთი	88

მოყვანილი საქმეების ჩამონათვალი 89

შესავალი

მუხლი 6 – სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

“1. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნოება ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.

2. ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

(a) მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

(b) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

(c) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

(d) დაკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები და გამოამახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში;

(e) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე.

1. წინამდებარე სახელმძღვანელო მიზნად ისახავს პრაქტიკოსი ადვოკატებისთვის ინფორმაციის მიწოდებას სტრასბურგის სასამართლოს ყველაზე მნიშვნელოვან

განჩინებებზე, რომლებიც მიღებული იქნა სასამართლოს დაარსების პერიოდიდან და დღემდე. შესაბამისად, სახელმძღვანელოში ასახულია სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი საკვანძო პრინციპები და შესაბამისი პრეცედენტული საქმეები. პრეცედენტული სამართლიდან მოყვანილი მაგალითები შერჩეულია მათი მნიშვნელობისა და რელევანტურობის გათვალისწინებით და გარდა ამისა, მოცემულია ახალი განჩინებები და გადაწყვეტილებები¹.

2. სასამართლოს განჩინებები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სასამართლოსთვის წარდგენილ საქმეებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისთვის, არამედ ზოგადად კონვენციით დადგენილი წესების დაცვის უზრუნველყოფისთვის და განმარტებისთვის, რაც ხელშემკვრელი მხარე სახელმწიფოების მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას შეუწყობს ხელს (*Ireland v. the United Kingdom*, § 154). ამგვარად, კონვენციის სისტემის მიზანია საერთო ინტერესებში საჯარო პოლიტიკის საფუძვლების დადგენა, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებული სტანდარტების ამაღლება და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებული იურისპრუდენციის კონვენციის მხარე სახელმწიფოებისთვის გაცნობა (*Konstantin Markin v. Russia* [GC], § 89).

I. მოცვის სფერო: სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდების ცნება

მუხლი 6 § 1 – სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველასა აქვს სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება ...სასამართლოს მიერ ...”

A. ზოგადი პრინციპები

3. „სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდების“ ცნებას „ავტონომიური“ მნიშვნელობა აქვს, რაც გულისხმობს, რომ მისი მნიშვნელობა არ არის დამოკიდებული წევრი სახელმწიფოების ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში ასახული ამ ცნების მნიშვნელობაზე (*Adolf v. Austria*, § 30).

4. „ბრალის წაყენების“ ცნება კონვენციის მნიშვნელობით უნდა იქნას გაგებული. ანუ, იგი შეიძლება განსაზღვრული იქნას როგორც „პირის ოფიციალური შეტყობინება კომპეტენტური ორგანოს მიერ იმის თაობაზე, რომ მას ბრალი ედება

1. მაგალითის სახით მოყვანილი განჩინებები და გადაწყვეტილებები შეიცავენ ბმულს, რომელიც დაკავშირებულია ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე შესრულებული ტექტის ორიგინალთან (სასამართლოს ორი ოფიციალური ენა). მკითხველს შეუძლია ეწვიოს HUDOC -ის მონაცემთა ბაზას, სადაც მოცემულია სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და შესაბამისი განჩინებები და გადაწყვეტილებები ინგლისურ და ფრანგულ ენაზე, და ასევე 24 სხვა ენაზე შესრულებული თარგმანები.

სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში“. მოცემული დეფინიცია ასევე შეესაბამება ტესტს, რომლის გამოყენებითაც უნდა შეფასდეს „რამდენად უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა ვითარებამ ეჭვმიტანილზე“ (იხილეთ მაგალითად, *Deweere v. Belgium*, §§ 42 და 46, და *Eckle v. Germany*, § 73). სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ როდესაც პოლიციის მიერ დაკავებულ პირს მოეთხოვება ფიცის დადება მოწმის სახით დაკითხვამდე, მიჩნეულია, რომ ამ პირის უკვე „წაეყენა ბრალი“ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, და შესაბამისად, მას დუმის უფლება გააჩნია (*Brusco v. France*, §§ 46-50).

5. რაც შეეხება ცნება „სისხლის სამართლის დანაშაულის“ ავტონომიურ მნიშვნელობას, კონვენცია არ ეწინააღმდეგება წევრი სახელმწიფოების მიერ დანაშაულის „დეკრიმინალიზაციაზე“ მიმართულ ღონისძიებებს. მიუხედავად ამისა, ისეთი დანაშაულების წევრი სახელმწიფოების მიერ დეკრიმინალიზაციის შემთხვევაში, რომლებიც კვალიფიცირებულია როგორც „მარეგულირებელი“ ორგანოების იურისდიქციას ქვემდებარე დანაშაულები, ისინი შეიძლება მოექცნენ „სისხლის სამართლის დანაშაულის“ ავტონომიური ცნების ფარგლებში. წევრი სახელმწიფოებისთვის ამ დანაშაულების სისხლის სამართლის დანაშაულების ნუსხიდან ამოღებასთან დაკავშირებით დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება, შეიძლება გამოიწვიოს შედეგი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კონვენციის მიზნებთან და სულისკვეთებასთან (იხილეთ *Öztürk v. Germany*, § 49).

6. კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი მხარის გავრცელების მიზანშეწონილობის შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნას კრიტერიუმები, რომლებიც მოცემულია სასამართლოს განჩინებაში საქმეზე *Engel and Others v. the Netherlands*, §§ 82-83:

- (1) ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული კვალიფიკაცია;
- (2) დანაშაულის ხასიათი;
- (3) რამდენად მკაცრია სასჯელი, რომელიც შეიძლება პირს შეეფარდოს შესაბამისი დანაშაულისთვის.

7. პირველი კრიტერიუმის წონას შედარებით ღირებულება აქვს და იგი მხოლოდ ამოსავალ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს. თუ ეროვნული კანონმდებლობით დანაშაული სისხლის სამართლის დანაშაულად არის კვალიფიცირებული, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო შეისწავლის ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას, საქმესთან დაკავშირებულ არსებით ასპექტებს და პროცედურას.

8. მეორე კრიტერიუმის შეფასებისას, რომელიც უფრო მნიშვნელოვან კრიტერიუმად მოიაზრება (*Jussila v. Finland*[GC], § 38), შემდეგი ფაქტორები უნდა იქნას გათვალისწინებული:

- შესაბამისი სამართლებრივი ნორმა მხოლოდ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფზე ვრცელდება, თუ ის ზოგადად ყველასთვის სავალდებულო ხასიათისაა (*Bendenoun v. France*, § 47);

- წამოწყებულია თუ არა სამართალწარმოება იმ სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელსაც გადაწყვეტილების აღსრულების უფლებამოსილება გააჩნია (*Benham v. the United Kingdom*, § 56);
- სამართლებრივი ნორმა სადამსჯელო, თუ შემაკავებელი ხასიათისაა (*Öztürk v. Germany*, § 53; *Bendenoun v. France*, § 47);
- სასჯელის შეფარდება დაკავშირებულია თუ არა ბრალეულობის დადგენასთან (*Benham v. the United Kingdom*, § 56);
- როგორაა კვალიფიცირებული მსგავსი პროცედურები ევროპის საბჭოს სხვა წევრ სახელმწიფოებში (*Öztürk v. Germany*, § 53).

9. მესამე კრიტერიუმის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ის მაქსიმალური სასჯელი, რომელსაც შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მსგავსი სახის დანაშაულისთვის (*Campbell and Fell v. the United Kingdom*, § 72; *Demicoli v. Malta*, § 34).

10. მეორე და მესამე კრიტერიუმები, რომლებიც ასახულია საქმეში *Engel and Others v. the Netherlands*, შეიძლება ერთმანეთის ალტერნატივის სახით იქნას გამოყენებული, და არაა სავალდებულო, რომ ისინი ერთობლიობაში (კუმულაციურად) განიხილებოდეს. იმისთვის, რომ მიჩნეული იქნას, რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის დარღვევას, საკმარისია იმის დადგენა, რომ მოცემული დანაშაული თავისი ხასიათით „სისხლისსამართლებრივია“ კონვენციის მნიშვნელობით, ან იმ დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი, რომელშიც პირს ბრალი ედება, თავისი ხასიათით და სიმძიმით ზოგადად „სისხლის სამართლის“ სფეროს სასჯელებს მიეკუთვნება (*Öztürk v. Germany*, § 54; *Lutz v. Germany*, § 55). ის გარემოება, რომ დანაშაული არ ისჯება თავისუფლების აღკვეთით, თავისთავად არ არის გადამწყვეტი, რადგანაც ნაკლებად მძიმე სასჯელი, რომელიც დანაშაულისთვის არის გათვალისწინებული, არ ნიშნავს, რომ მოცემული დანაშაული არ არის თავისი ხასიათით სისხლის სამართლის დანაშაული (*Öztürk v. Germany*, § 53; *Nicoleta Gheorghe v. Romania*, § 26).

აღსანიშნავია, რომ კუმულაციური მიდგომა შეიძლება გამოყენებული იქნას იმ შემთხვევებში, როდესაც ყოველი კრიტერიუმის ცალ-ცალკე ანალიზი არ გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდების არსებობა (*Bendenoun v. France*, § 47).

11. მე-6 მუხლის პარაგრაფებში ნახსენები „სისხლის სამართლის ბრალდება“ და „სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდება“ იდენტურ ვითარებებს გულისხმობს. შესაბამისად, სამივე პარაგრაფის შემთხვევაში იმის დასადგენად, თუ რამდენად უნდა გავრცელდეს კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში მე-6 მუხლით გათვალისწინებული სისხლის სამართლის ასპექტი, იგივე ტესტი უნდა იქნას გამოყენებული.

B. ზოგადი პრინციპების გავრცელება

1. დისციპლინური სამართალწარმოება

12. სამხედრო დისციპლინის დარღვევები, რომელთა შემთხვევაში პირს რამდენიმე თვის განმავლობაში თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, კონვენციის მე-6 მუხლის სისხლის სამართლებრივი მხარის ფარგლებში ხვდება (*Engel and Others v. the Netherlands*, § 85). და პირიქით, მკაცრ პირობებში ორი დღით პირის დაკავება მიჩნეული იქნა როგორც ძალიან მოკლე ვადა იმისთვის, რომ „სისხლის სამართლის“ სფეროს სასჯელს მიეკუთვნებოდეს (*იქვე*).

13. რაც შეეხება პროფესიული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებულ დისციპლინურ წარმოებას, მოცემული საკითხი ღია რჩება, რადგანაც სასამართლომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად მოცემულ საკითხზე განჩინების მიღება, და დაასკვნა, რომ სამართალწარმოება სამოქალაქო სამართლის სფეროს მიეკუთვნებოდა (*Albert and Le Compte v. Belgium*, § 30). იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც საჯარო მოხელის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას და მის სავალდებულო წესით პენსიაში გაშვებას შეეხებოდა, სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი წარმოება არ არის სისხლის სამართლის სფეროს წარმოება კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობით, რადგანაც ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოები წმინდად ადმინისტრაციული სამართლის სფეროს გადაწყვეტილებებით შემოიფარგლნენ (*Moulet v. France* (dec.)). სასამართლომ ასევე არ მიიჩნია, რომ მე-6 მუხლის სისხლის სამართლის მხარე უნდა გავრცელდეს დავაზე, რომელიც შეეხებოდა დისციპლინის დარღვევის საფუძველზე არმიის ოფიცრის გათავისუფლებას (*Suküt v. Turkey* (dec.)).

14. ციხის კონტექსტისა და განსაკუთრებული დისციპლინური რეჟიმის სპეციფიკის გათვალისწინებით, მე-6 მუხლი შეიძლება გავრცელდეს ციხის დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე, წაყენებული ბრალის ხასიათიდან და დაკისრებული სასჯელის სიმძიმიდან გამომდინარე (40-დღიანი და 7-დღიანი პატიმრობა, *Ezeh and Connors v. the United Kingdom* [GC], § 82; ასევე, იხილეთ *Štitić v. Croatia*, §§ 51-63). მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ ზოგადად ციხის სისტემასთან დაკავშირებული წარმოება პრინციპში არ ხვდება მე-6 მუხლის სისხლის სამართლის ასპექტის ფარგლებში (*Boulois v. Luxembourg* [GC], § 85). ასე მაგალითად, პატიმრის მკაცრი ზედამხედველობის საკანში მოთავსება არ ხვდება სისხლის სამართლის დანაშაულის ფარგლებში; ასეთი ზომის სასამართლო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა განხილული უნდა იქნას მუხლი 6 § 1-ის სამოქალაქო ასპექტის ფარგლებში (*Enea v. Italy* [GC], § 98).

15. სასამართლოს მიერ სასამართლო განხილვის პროცესში წესრიგის დარღვევასთან (სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა) დაკავშირებით დაკისრებული ზომები ზოგადად არ ხვდება მე-6 მუხლის გავრცელების სფეროში, რადგანაც ასეთი ზომები დისციპლინური სასჯელების დაკისრების უფლებამოსილებად მოიაზრება (*Ravnsborg v. Sweden*, § 34; *Putz v. Austria*, §§ 33-37). მიუხედავად ამისა, დაკისრებული სასჯელის ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე მე-6 მუხლი შეიძლება გავრცელდეს იმ შემთხვევებზე, როდესაც

ეროვნული კანონმდებლობა სასამართლოს მიმართ უპატივცემულობას სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევს და სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული (*Kyprianou v. Cyprus* [GC], §§ 61-64, შეეხება სასჯელის სახით 5 დღით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას).

16. პარლამენტისადმი უპატივცემულობასთან დაკავშირებით სასამართლო ერთმანეთისგან განასხვავებს საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებამოსილებას ერთის მხრივ, განახორციელოს პარლამენტის წევრების პრივილეგიების დარღვევის შემთხვევაში დისციპლინური წარმოება, და მეორეს მხრივ უფრო ფართო იურისდიქციას სასჯელები დააკისროს არა-წევრ საჯარო მოხელეებს მათ მიერ ჩადენილი დარღვევებისთვის. პირველი შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინური ხასიათის დარღვევებად, ხოლო ეს უკანასკნელი კი სისხლის სამართლის დარღვევებად, დაკისრებული სასჯელის ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით (6 დღემდე პატიმრობა და ჯარიმა *Demicoli v. Malta*, § 32).

2. ადმინისტრაციული, საგადასახადო, საბაჟო, საფინანსო და კონკურენტული სამართალწარმოება

17. ქვემოთ მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები მე-6 მუხლის სისხლის სამართლის მხარის ფარგლებში ხვდება:

- ავტოსაგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული დარღვევები, რომლებიც ისჯება ჯარიმით, ან მართვის უფლების შეზღუდვით, ან ჩამორთმევით (*Lutz v. Germany*, § 182; *Schmautzer v. Austria*; *Malige v. France*);
- მსუბუქი დანაშაული, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებთანაა დაკავშირებული (*Lauko v. Slovakia*; *Nicoleta Gheorghe v. Romania*, §§ 25-26);
- სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობის დარღვევებთან დაკავშირებული დანაშაული (დასაქმების გაუცხადებლობა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავს დარღვევასთან დაკავშირებით უმნიშვნელო ჯარიმას გათვალისწინებული, *Hüseyin Turan v. Turkey*, §§ 18-21);
- ადმინისტრაციული დანაშაული, დაკავშირებული ეთნიკური სიძულვილის პროპაგანდასთან დაკავშირებული მასალების გავრცელებასთან, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული გაფრთხილება და მასალების კონფისკაცია (*Balsytė-Lideikienė v. Lithuania*, § 61).

18. მე-6 მუხლი ასევე ვრცელდება დამატებითი გადასახადების (საურავების) დაკისრებასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებებზე შემდეგ ელემენტებზე დაყრდნობით:

- (1) კანონი, რომელიც ჯარიმებს და საურავებს ადგენს, ყველა მოქალაქეზე ვრცელდება, რომლებსაც გადამხდელის სტატუსი გააჩნიათ;
- (2) გადასახადის დაკისრება არ ისახავს მიზნად მიყენებული ზიანის ფულად კომპენსაციას, არამედ ხელმეორედ დარღვევის პრევენციას;

(3) გადასახადის დაკისრება ხდება როგორც მიყენებული ზიანის ფულადი კომპენსაციის, ასევე სადამსჯელო მიზნებში;

(4) დაკისრებული გადასახადის მოცულობა დიდია (*Bendenoun v. France*; განსხვავებით მოცემული საქმისგან, იხილეთ ვადაგადაცილებული გადახდისთვის დაკისრებულ პროცენტებთან დაკავშირებული საქმე *Mieg de Boofzheim v. France* (dec.)).

დანაშაულის სისხლისსამართლებრივი ხასიათი შეიძლება საკმარისი იყოს იმისთვის, რომ მასზე მე-6 მუხლი გავრცელდეს, დამოუკიდებლად იმისა, დაკისრებული საურავი მაღალი მოცულობისაა თუ არა (ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულების 10% საქმეზე *Jussila v. Finland* [GC], § 38).

19. მე-6 მუხლის სისხლის სამართლებრივი მხარე ასევე ვრცელდება საბაჟო სამართალზე (*Salabiaku v. France*), საბიუჯეტო და ფინანსური საკითხების განმხილველი სასამართლოების მიერ დაკისრებულ ჯარიმებზე (*Guisset v. France*), გარკვეულ ადმინისტრაციულ ორგანოებზე, რომლებსაც ეკონომიკური, ფინანსური და კონკურენტული სამართლის სფეროს საქმეების განხილვის უფლებამოსილება გააჩნიათ (*Lilly France S.A. v. France* (dec.); *Dubus S.A. v. France*; *A. Menarini Diagnostics S.r.l. v. Italy*).

3. პოლიტიკური საკითხები

20. მე-6 მუხლის სისხლის სამართლებრივი მხარე არ ვრცელდება საარჩევნო სანქციებთან (*Pierre-Bloch v. France*, §§ 53-60), პოლიტიკური პარტიების დაშლასთან (*Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey* (dec.)), საპარლამენტო საგამომიებო კომისიებთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაზე (*Montera v. Italy* (dec.)), და კონსტიტუციის მიმღე დარღვევის გამო პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურაზე (*Paksas v. Lithuania* [GC], §§ 66-67).

21. ლუსტრაციის პროცედურასთან მიმართებაში სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლებრივი ხასიათის ასპექტების პრევალირების შემთხვევაში (დანაშაულის ხასიათი - ლუსტრაციის წარმოებასთან დაკავშირებით ცრუ ინფორმაციის წარდგენა - ასევე, სასჯელის ხასიათი და სიმძიმე - გარკვეულ სფეროებში საქმიანობის ხანგრძლივი ვადით აკრძალვა), ასეთი წარმოება შეიძლება მოხდეს კონვენციის მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი მხარის ფარგლებში (*Matyjek v. Poland* (dec.); განსხვავებით მოცემული საქმისგან, იხილეთ *Sidabras and Džiautas v. Lithuania* (dec.)).

4. გაძევება და ექსტრადიცია

22. უცხო ქვეყნის მოქალაქეების გაძევების პროცედურაზე მე-6 მუხლის სისხლის სამართლებრივი მხარე არ ვრცელდება, დამოუკიდებლად იმ ფაქტისა, რომ ასეთი წარმოება შეიძლება სისხლისსამართლებრივი ხასიათის იყოს (*Maaouia v. France* [GC], § 39). იგივე ვრცელდება ექსტრადიციის წარმოებაზე (*Peñafiel Salgado v. Spain* (dec.)), ან დაკავების ევროპულ ორდერთან დაკავშირებული წარმოების შემთხვევაში (*Monedero Angora v. Spain* (dec.)).

23. განსხვავებით ზემოთხსენებულისგან, საპატიმრო სასჯელის დეპორტაციით ჩანაცვლებასთან, ან ქვეყნის ტერიტორიიდან ათი წლით გამეევებასთან დაკავშირებით შეიძლება იგივე მიდგომა იქნას გამოყენებული, როგორც პირველი მსჯავრდების შემთხვევაში (*Gurguchiani v. Spain*, § 40 and 47-48).

5. სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპები, დამატებითი სამართალწარმოება, და შემდგომი გასაჩივრების საშუალებები

24. დანაშაულის ან უწყესრიგობის პრევენციაზე მიმართულ ღონისძიებებზე მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები არ ვრცელდება (პოლიციის მხრიდან განსაკუთრებული ზედამხედველობა – *Raimondo v. Italy*, § 43; ან პოლიციის მიერ არასრულწლოვანის გაფრთხილება, რომელმაც თავისი თანასკოლეელი გოგონების მიმართ უხამს საქციელსა და მათ შეურაცხყოფაში იყო შემჩნეული – *R. v. the United Kingdom* (dec.)).

25. რაც შეეხება წინასამართლო ეტაპს (მოკვლევა, გამოძიება), სასამართლო სისხლის სამართალწარმოებას მთლიანობაში განიხილავს. შესაბამისად, მე-6 მუხლის ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა გონივრული ვადა, ან დაცვის უფლება, მოცემულ ეტაპზეც ვრცელდება იმის გათვალისწინებით, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის მოთხოვნა შეიძლება არ იყოს დაცული და სერიოზულ დარღვევას ჰქონდეს ადგილი, თუ ზემოთხსენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ იქნა უზრუნველყოფილი წინასამართლო ეტაპზე (*Imbrioscia v. Switzerland*, § 36). მიუხედავად იმისა, რომ საქმის გამოძიებაში მონაწილე მოსამართლეები არ განსაზღვრავენ პირის „სისხლისსამართლებრივ ბრალეულობას“, მათ მიერ გატარებულ ზომებს პირდაპირი ზეგავლენა აქვთ სამართალწარმოების შემდეგი ეტაპების, მათ შორის სასამართლო განხილვის მიმდინარეობასა და სამართლიანობაზე. ამგვარად, მუხლი 6 § 1 შეიძლება გავრცელდეს გამოძიების წარმოებაზე პასუხისმგებელი მოსამართლეების პროცედურულ ქმედებებზე, თუმცა მუხლი 6 § 1-ით გათვალისწინებული გარკვეული პროცესუალური გარანტიები შეიძლება ასეთ შემთხვევებზე არ გავრცელდეს (*Vera Fernández-Huidobro v. Spain*, § 108-114).

26. მუხლი 6 § 1 ვრცელდება მთელ სამართალწარმოებაზე, რომელიც „სისხლის სამართლებრივი ბრალეულობის“ დადგენას ისახავს მიზნად, მათ შორის მსჯავრდების პროცესზეც (მაგალითად, კონფისკაციის წარმოება, რომლის ფარგლებში ეროვნულ სასამართლოებს უფლებამოსილება ენიჭებათ შეაფასონ ის მოცულობა, რომელზეც კონფისკაციის ორდერი უნდა გაიცეს, *Phillips v. the United Kingdom*, § 39). მე-6 მუხლის სისხლის სამართლებრივი მხარე შეიძლება გავრცელდეს წარმოებაზე, რომელიც შეეხება ნებართვის გარეშე ამენებული სახლის დანგრევას, რადგანაც სახლის დანგრევის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება „სასჯელის“ ტოლფასად იქნას მიჩნეული (*Hamer v. Belgium*, § 60). აღსანიშნავია, რომ მუხლი არ ვრცელდება სამართალწარმოებაზე, რომელიც შეეხება პირველი განაჩენის შესაბამისობაში მოყვანას ახალი სისხლის სამართლის

კოდექსით გათვალისწინებულ უფრო მსუბუქ სასჯელთან (*Nurmagomedov v. Russia*, § 50).

27. სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებული წარმოება, მაგალითად შეწყალების გავრცელებასთან (*Montcornet de Caumont v. France* (dec.)), პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან (*A. v. Austria* (dec.)), მსჯავრდებული პირების გადაცემის შესახებ კონვენციის შესაბამისად პირის გადაცემასთან დაკავშირებული წარმოება (*Szabó v. Sweden* (dec.)); იმავდროულად, სასამართლოს განსხვავებული მიდგომის გავრცელებასთან დაკავშირებით იხილეთ საქმე *Buijen v. Germany*, §§ 40-45, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე)– და ეგზეკუტურასთან დაკავშირებული წარმოება, რომელიც შეეხებოდა უცხო სასამართლოს მიერ გაცემული კონფისკაციის ორდერის აღსრულებას (*Saccoccia v. Austria* (dec.)), რომელზეც არ ვრცელდება მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი მხარე.

28. პრინციპში, კონფისკაციის ღონისძიებები, რომლებიც უარყოფითად აისახებიან მესამე მხარეების საკუთრების უფლებებზე, რომელთა მიმართ სისხლის სამართალწარმოება არ არის აღძრული, არ მიიჩნევა როგორც „სისხლისსამართლებრივი ბრალეულობის დადგენა“ (თვითმფრინავის კონფისკაცია საქმეში *Air Canada v. the United Kingdom*, § 54; ოქროს მონეტების კონფისკაცია საქმეში *AGOSI v. the United Kingdom*, §§ 65-66). ასეთ ღონისძიებებზე მე-6 მუხლის სამოქალაქო სამართლის მხარე ვრცელდება (*Silickienė v. Lithuania*, §§ 45-46).

29. მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები ვრცელდება სამართლის საკითხებთან დაკავშირებულ საჩივრებზე (*Meftah and Others v. France* [GC], § 40), და საკონსტიტუციო სამართალწარმოებაზე (*Gast and Popp v. Germany*, §§ 65-66; *Caldas Ramírez de Arrellano v. Spain* (dec.)), როდესაც ასეთი წარმოება შესაბამისი სისხლის სამართალწარმოების შემდგომ ეტაპს წარმოადგენს და ასეთი წარმოების შედეგი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მსჯავრდებული პირისთვის.

30. დაბოლოს, მე-6 მუხლი არ ვრცელდება საქმის ხელახალ გამოძიებასთან დაკავშირებულ წარმოებაზე, რადგანაც როდესაც პირის მიმართ გამოტანილი განაჩენი საბოლოოა, და იგი საქმის ხელახალი გამოძიების თხოვნას წარადგენს, არ მიიჩნევა როგორც „სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული“ კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობით (*Fischer v. Austria* (dec.)). იმ შემთხვევაში, თუ პირის თხოვნა საქმის ხელახალი გამოძიების თაობაზე დაკმაყოფილებული იქნა, მხოლოდ ახალი სისხლის სამართალწარმოება შეიძლება იქნას მიჩნეული როგორც პირის სისხლისსამართლებრივ დანაშაულში ბრალის დადგენასთან დაკავშირებულ წარმოებად (*Löffler v. Austria*, §§ 18-19). მსგავსად ზემოთხსენებულისა, მე-6 მუხლი არ ვრცელდება სასამართლოს მიერ დარღვევის დადგენის შემთხვევაში ხელახალ სისხლის სამართალწარმოებაზე (*Öcalan v. Turkey* (dec.)). მიუხედავად ზემოთხსენებულისა, მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი მხარე ვრცელდება საზედამხედველო გადასინჯვასთან დაკავშირებულ წარმოებაზე, რომლის შედეგადაც სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება გადასინჯული იქნა (*Vanyan v. Russia*, § 58).

II. ზოგადი გარანტიები

მუხლი 6 § 1

“... წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ ...”

A. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება

31. „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება“ არ არის უფრო აბსოლუტური ხასიათის სისხლის სამართალწარმოების შემთხვევაში, ვიდრე სამოქალაქო სამართალწარმოების შემთხვევაში (*Deweert v. Belgium*, § 49; ასევე იხილეთ *Kart v. Turkey*[GC], § 67).

32. მიუხედავად ამისა გასათვალისწინებელია, რომ ამ გარემოებამ არ უნდა შეზღუდოს პირის მიერ ამ უფლებით სარგებლობა ისეთი გზით, ან მოცულობით, რომ თავად ამ უფლების არსს მიაღწეს ზიანი. მოცემული უფლების შეზღუდვები კანონიერ მიზანს უნდა ემსახურობდნენ, და გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის თანაზომიერება უნდა იქნას უზრუნველყოფილი (*Guérin v. France* [GC], § 37, and *Omar v. France* [GC], § 34, მითითება შესაბამის სამოქალაქო საქმეებზე).

33. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა შეიძლება შემდეგით იყოს განპირობებული:

საპარლამენტო იმუნიტეტი: საპარლამენტო იმუნიტეტით გათვალისწინებული ორი სახის გარანტია (პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება და ხელშეუხებლობა) ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება, ანუ პარლამენტის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას და მასზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტურად შესრულების ხელშეწყობას. უდაოა, რომ ხელშეუხებლობა ხელს უწყობს პარლამენტის სრულ დამოუკიდებლობას და აღკვეთს პოლიტიკურად მოტივირებული სისხლისამართლებრივი წარმოების აღძვრას, და შესაბამისად, იცავს ოპოზიციას უმრავლესობის მხრიდან ზეწოლის, ან უფლებების ბოროტად გამოყენებისგან (*Kart v. Turkey*[GC], § 90, მითითება შესაბამის სამოქალაქო საქმეებზე). გარდა ამისა, პარლამენტების წევრების წინააღმდეგ წარმოების აღძვრამ შეიძლება ზეგავლენა იქონიოს თავად პარლამენტის ფუნქციონირებაზე და შეაფერხოს სამუშაო პროცესი. იმუნიტეტის ზემოთხსენებული სისტემა, რომელიც კანონიდან გამონაკლისს უშვებს, შეიძლება ჩაითვალოს როგორც კანონიერი მიზნის მიღწევა (იქვე., § 91).

34. აღსანიშნავია, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინების გარეშე ვერ გაკეთდება დასკვნა იმის თაობაზე, თუ რამდენად შესაბამისობაშია საპარლამენტო იმუნიტეტი კონვენციის მოთხოვნებთან. უნდა დადგინდეს, თუ რამდენად შეიზღუდა საპარლამენტო იმუნიტეტის გამო სასამართლოს

ხელმისაწვდომობის უფლება ისეთი გზით, რომ თავად ამ უფლების არსი შეილახა. ასეთი ზომის თანაზომიერების შესწავლისას გათვალისწინებული უნდა იქნას იყო თუ არა მიღწეული სამართლიანი ბალანსი პარლამენტის ხელშეუხებლობის საჯარო ინტერესსა და მომჩივანის კერძო ინტერესს შორის, რომელიც დაკავშირებული იყო მისთვის საპარლამენტო იმუნიტეტის მოხსნასთან, რათა მას სასამართლოს წინაშე ეგო პასუხი მისთვის წაყენებულ სისხლისსამართლებრივ ბრალდებასთან დაკავშირებით. თანაზომიერების საკითხის განხილვისას სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს კონკრეტულ შემთხვევაში საპარლამენტო იმუნიტეტის მოცვის სფეროზე (იქვე., § 92-93). რაც უფრო ნაკლებად უზრუნველყოფს დამცავი ზომა პარლამენტის ხელშეუხებლობას, მით უფრო კარგად დასაბუთებული უნდა იყოს ამ ზომის გამოყენება (იქვე., § 95). მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ პარლამენტის წევრის მიერ მისი იმუნიტეტის მოხსნის შეუძლებლობის გამო არ დაირღვა მისი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება, რადგანაც იმუნიტეტი წარმოადგენდა დროებით საპროცესო დაბრკოლებას სისხლის სამართლის საქმის წარმოებისთვის, და მოცემული შეზღუდვა მხოლოდ მომჩივანის პარლამენტის წევრობის ვადის განმავლობაში მოქმედებდა (იქვე., § 111-113).

35. **საპროცესო წესები**, მაგალითად, საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

36. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრების უფლებაზე შეიძლება გავრცელდეს კანონით დადგენილი მოთხოვნები, სასამართლოებმა საპროცესო წესების გავრცელებისას თავი უნდა შეიკავონ ზედმეტი ფორმალიზმისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს სამართალწარმოების სამართლიანობა (*Walchli v. France*, § 29). ზოგჯერ საპროცესო წესების ზედმიწევნით მკაცრმა დაცვამ შესაძლოა შელახოს თავად სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება (*Labergère v. France*, § 23), განსაკუთრებით გასაჩივრების შესაძლებლობის მნიშვნელობის გათვალისწინებით იმ მომჩივანისთვის, რომელსაც თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა ხანგრძლივი ვადით (*Labergère v. France*, § 20).

37. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება შეიძლება არსებითად შეილახოს პროცესუალური ნორმების დარღვევის შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც პროკურატურის მოხელემ, რომელიც პასუხისმგებელია ჯარიმების დაკისრებასთან, ან საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებული საჩივრების დასაშვებობის შესწავლაზე, თანამდებობრივ უფლებამოსილებებს გადააჭარბა და საჩივრის არსებით მხარესთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება, რითაც მომჩივანს მოუსპო მისი საქმის მოსამართლის მიერ განხილვის შესაძლებლობა (*Josseume v. France*, § 32).

38. იგივე მიდგომა გავრცელდა გადაწყვეტილებაზე, რომლითაც საჩივარი მცდარ საფუძველზე დაუშვებლად იქნა მიჩნეული, რის გამოც სტანდარტული ჯარიმის ოდენობის ტოლი სადეპოზიტო თანხა იქნა დაკავებული, და მიჩნეული იქნა, რომ ჯარიმა დაფარული იყო, ხოლო წარმოება შეწყდა, რის გამოც მომჩივანს აღარ

მიეცა ავტოსაგზაო წესების დარღვევასთან დაკავშირებული ბრალდების სასამართლო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა (*Célice v. France*, § 34).

39. კიდევ ერთი მაგალითი: მომჩივანის სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება უხეშად შეიზღუდა, როდესაც სამართლის საკითხზე მისი საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი დადგენილი ვადების დაუცველობის გამო, მაშინ როდესაც ვადაგადაცილება გამოწვეული იყო თავად სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მომჩივანისთვის დაგვიანებით წარდგენით, რომელიც იმ პერიოდში თავისუფლებააღკვეთილი იყო, და შესაბამისად, მისი ადგილსამყოფელის დროულად დადგენა შესაძლებელი იყო (*Davran v. Turkey*, §§ 40-47).

40. მანამდე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნა:

რაც შეეხება იმ მომჩივანების მიერ კანონთან დაკავშირებულ საკითხებზე წარდგენილი საჩივრების ავტომატურად დაუშვებლად ცნობას, რომლებიც არ ჩაბარდნენ სახელისუფლებო ორგანოებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი დაკავების ორდერები იქნა გაცემული:

- იმ შემთხვევებში, როდესაც კანონთან დაკავშირებულ საკითხებზე წარდგენილი საჩივრები დაუშვებლად იქნა ცნობილი იმ საფუძველზე, რომ მომჩივანი მიიძალა, ასეთი სანქცია არათანაზომიერადაა მიჩნეული დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობის პრინციპისა და დაცვის უფლებების მნიშვნელობის გათვალისწინებით (*Poitrimol v. France*, § 38; ასევე იხილეთ *Guérin v. France*, § 45; და *Omar v. France*, § 42).
- იმ შემთხვევებში, როდესაც კანონთან დაკავშირებულ საკითხებზე წარდგენილი საჩივრები დაუშვებლად იქნა ცნობილი მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ მომჩივანი არ ჩაბარდა სახელისუფლებო ორგანოებს გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნის შესაბამისად, რომლითაც მომჩივანს მოეთხოვებოდა წინასწარ ჩაბარება და მას თავისუფლება უნდა აღკვეთოდა მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გადაწყვეტილება ვერ იქნება მიჩნეული საბოლოო გადაწყვეტილებად სანამ აპელაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული, ან საჩივრის წარდგენის ვადა ამოიწურებოდა. მოცემული გადაწყვეტილება არათანაზომიერ ტვირთს აკისრებს მომჩივანს, რითაც სამართლიანი ბალანსი ირღვევა ერთის მხრივ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების აუცილებლობის ლეგიტიმურ მიზანს, ხოლო მეორეს მხრივ კი დაცვის უფლებას შორის (*Omar v. France*, §§ 40-41; *Guérin v. France*, § 43).

41. იგივე ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც კანონთან დაკავშირებულ საკითხებზე გასაჩივრების უფლება იზღუდება ჩაბარების მოთხოვნისთვის დაუმორჩილებლობის გამო (*Khalfaoui v. France*, § 46; *Papon v. France (no. 2)*, § 100).

42. მიუხედავად ამისა გასათვალისწინებელია, რომ დეპოზიტის განთავსების მოთხოვნა სიჩქარის გადაჭარბებასთან დაკავშირებული ჯარიმის გასაჩივრების

შემთხვევაში, რაც მიზნად ისახავს ავტოსაგზაო წესების დარღვევებთან დაკავშირებული საქმეების გაჭიანურების, ან არაკეთილსინდისიერი საჩივრების წარდგენის პრევენციას, ასეთი ზომა შეიძლება მიჩნეული იქნას სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების თანაზომიერ შეზღუდვად (*Schneider v. France*(dec.)).

43. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების სხვა სახის შეზღუდვებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როდესაც მაგალითად, ბრალდებულ პირს სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენლები დაარწმუნებენ უკან გაიწვიოს თავისი საჩივარი ცრუ დაპირების გამო, რომ მის მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელი შემსუბუქდება ან გაუქმდება (*Marpa Zeeland B.V. and Metal Welding B.V. v. the Netherlands*, §5 46-51); ან როდესაც სააპელაციო სასამართლო არ შეატყობინებს მსჯავრდებულს კანონის საკითხებზე საჩივრის წარდგენის ახალ ვადას მას შემდეგ, რაც მისთვის დანიშნულმა ადვოკატმა უარი განაცხადა მისთვის დახმარების გაწევაზე (*Kulikowski v. Poland*, § 70).

B. ინსტიტუციონალური მოთხოვნები

კონვენციის მუხლი 6 § 1

“...წარდგენილი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს... მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ...”

1. „სასამართლოს“ ცნება

44. დისციპლინურ ან ადმინისტრაციულ ორგანოს შეიძლება გააჩნდეს „სასამართლოს“ ნიშანთვისებები კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობით, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ორგანოებს შეიძლება არ ერქვათ „სასამართლო“ ეროვნული სისტემების შესაბამისად. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად სასამართლოს არსს განაპირობებს მისი **სასამართლოს ფუნქციები**, ანუ სასამართლოს კომპეტენციაში არსებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება კანონის დაცვით და დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გარდა ამისა, სასამართლომ მთელი რიგი სხვა მოთხოვნებიც უნდა დააკმაყოფილოს, კერძოდ: დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით კი აღმასრულებელი ხელისუფლებისგან; მიუკერძოებლობა; მოსამართლეთა თანამდებობაზე ყოფნის ვადა; სასამართლო პროცედურებით დადგენილი გარანტიები - საიდანაგ რამდენიმე თავად 6§ 1 მუხლშია ასახული (იხილეთ *Belilos v. Switzerland*, § 64; *Coëme and Others v. Belgium*, § 99; *Richert v. Poland*, § 43).

45. მსუბუქი „სისხლისამართლებრივი“ დანაშაულების გამოძიებისა და დასჯის უფლებამოსილების მინიჭება ადმინისტრაციული ორგანოებისთვის არ არის წინააღმდეგობაში კონვენციის მოთხოვნებთან იმ პირობით, რომ პირს მის მიმართ

მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების საშუალება აქვს, რომელიც მე-6 მუხლით დადგენილი გარანტიების დაცვას უზრუნველყოფს (*Öztürk v. Germany*, § 56; *A. Menarini Diagnostics S.R.L. v. Italy*). შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კონვენციის 6 § 1 მუხლის მოთხოვნებს, „სასამართლო ორგანოს მიერ შემდგომ გადასინჯვას“ უნდა დაექვემდებარონ. ასეთი ორგანოს ძირითადი განმსაზღვრელი მახასიათებლებია ქვემდგომი ორგანოს მიერ ყველა საკითხზე, მათ შორის კანონთან დაკავშირებულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის უფლებამოსილება (*Schmutzer v. Austria*, § 36; *Gradinger v. Austria*, § 44; *A. Menarini Diagnostics S.R.L. v. Italy*, § 59): მაგალითად, ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ გადასინჯვა, რომელიც კანონიერების „ფორმალური“ შესწავლის ფარგლებს გასცდა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაკისრებული სასჯელის მისაღებობისა და თანაზომიერების დეტალურ ანალიზს შეიცავდა (იხილეთ *A. Menarini Diagnostics S.R.L. v. Italy*, §§ 63-67, რომელიც შეეხებოდა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაკისრებულ ჯარიმას). სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გადასინჯვა შეიძლება აკმაყოფილებდეს მე-6 მუხლის მოთხოვნებს მაშინაც კი, თუ სანქციას თავად კანონი ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით (იხილეთ *Malige v. France*, §§ 46-51, რომელიც შეეხებოდა სანქციის სახით მართვის მოწმობის ქულების გამოკლებას).

46. „სასამართლოს“ ცნება მოიაზრებს სავალდებულო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას, რომლის გადასინჯვის უფლებამოსილება არა-სასამართლო ორგანოს არ გააჩნია (*Findlay v. the United Kingdom*, § 77).

2. კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო

47. კონვენციის 6 § 1 მუხლის შესაბამისად, სასამართლო „კანონის საფუძველზე“ უნდა იყოს შექმნილი. მოცემული მოთხოვნა ასახავს კანონის უზენაესობის პრინციპს, რომელიც დამახასიათებელია კონვენციითა და მისი ოქმებით დადგენილი გარანტიების სისტემისთვის (მაგალითად, იხილეთ *Jorgic v. Germany*, § 64; *Richert v. Poland*, § 41). ორგანოს, რომელიც არ არის შექმნილი კანონის შესაბამისად, არ ექნება ლეგიტიმურობა დემოკრატიულ საზოგადოებაში იმისთვის, რომ ინდივიდუალური საჩივრები განიხილოს (*Lavents v. Latvia*, § 114; *Gorgiladze v. Georgia*, § 67; *Kontalexis v. Greece*, § 38).

48. 6 § 1 მუხლის მნიშვნელობით „კანონში“ იგულისხმება სასამართლო ორგანოების კომპეტენციების განმსაზღვრელი კანონმდებლობა (*Lavents v. Latvia*, § 114; *Richert v. Poland*, § 41, *Jorgic v. Germany*, § 64) და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ნორმები, რომელთა დარღვევის შემთხვევაში საქმის განხილვაში ერთი ან მეტი მოსამართლის მონაწილეობა შეიძლება უკანონოდ იქნას მიჩნეული (*Gorgiladze v. Georgia*, § 68; *Pandjigidze and Others v. Georgia*, § 104). ფრაზა „კანონის საფუძველზე შექმნილი“ გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლო ორგანოების საქმიანობის განმსაზღვრელ კანონმდებლობას, არამედ ასევე სასამართლო ორგანოების მიერ მისი საქმიანობის მარეგულირებელი წესების დაცვას (*Gorgiladze v. Georgia*, § 68), და სასამართლოს

შემადგენლობას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში (*Posokhov v. Russia*, § 39; *Fatullayev v. Azerbaijan*, § 144; *Kontalexis v. Greece*, § 42).

49. შესაბამისად, თუ „სასამართლოს“ არ გააჩნია იურისდიქცია იმსჯელოს და გადაწყვეტილება მიიღოს მოპასუხის საქმეზე ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვით, იგი არ ჩაითვლება „კანონის საფუძველზე შექმნილად“ მუხლი და გადაწყვეტილების მიღების უფლება მუხლი 6 § 1-ის მნიშვნელობით (*Richert v. Poland*, § 41; *Jorgic v. Germany*, § 64).

50. სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლში ტერმინის - „კანონის საფუძველზე შექმნილი“ ჩაწერა მიზნად ისახავს იმის თავიდან აცილებას, რომ მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაზე არ იყოს დამოკიდებული და რომ აღნიშნული საკითხის რეგულირება ხდებოდეს *პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე* (*Coëme and Others v. Belgium*, § 98; *Richert v. Poland*, § 42). კოდიფიცირებული სამართლის მქონე ქვეყნებში, მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია არც მხოლოდ სასამართლო უწყებების დისკრეციაზე უნდა იყოს დამოკიდებული, რაც, ამის მიუხედავად, არ გამორიცხავს მათთვის აღნიშნულ სფეროში არსებული ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციის გარკვეული უფლების აღიარებას (*Coëme and Others v. Belgium*, § 98, *Gorgiladze v. Georgia*, § 69).

51. სასამართლოს მიერ მისი შექმნისა და კომპეტენციების განმსაზღვრელი ეროვნული სამართლებრივი დებულებების დარღვევა მუხლი 6 § 1-ის მოთხოვნების დარღვევად მოიაზრება. ამგვარად, სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს თუ რამდენად იქნა დაცული მოცემული თვალსაზრისით ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები. მიუხედავად ამისა გასათვალისწინებელია ის ზოგადი პრინციპი, რომლის შესაბამისადაც ეროვნული სასამართლოების პრეროგატივაში შედის ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია, სასამართლომ შეიძლება არ დააყენოს კითხვის ნიშნის ქვეშ ეროვნული სასამართლოს მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაცია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების უხემ დარღვევასა აქვს ადგილი (იხილეთ, *mutatis mutandis*, *Coëme and Others v. Belgium*, § 98, დაკავშირებული ჯარიმასთან, და *Lavents v. Latvia*, § 114). შესაბამისად, სასამართლოს ამოცანაა მხოლოდ იმის დადგენა, მოხდა თუ არა ხელისუფლების მიერ იურისდიქციის განსაზღვრა გონივრულ საფუძველზე (იხილეთ ასევე *Jorgic v. Germany*, § 65).

52. საქმეების მაგალითები, როდესაც სასამართლომ დაადგინა, რომ კონკრეტული ორგანო არ წარმოადგენდა „კანონის საფუძველზე შექმნილ სასამართლოს“:

- საკასაციო სასამართლოს მიერ ბრალდებული მინისტრების გარდა სხვა თანა-ბრალდებულების საქმის განხილვა, რადგანაც დაკავშირებული საქმეების წესი არ იყო კანონით დადგენილი (*Coëme and Others v. Belgium*, § 107-108);
- საქმეს განიხილავდა ორი მოსამართლისგან შემდგარი სასამართლო, რომლებიც არჩეული იყვნენ საქმეთა გადანაწილების და წელიწადში

მაქსიმუმ ორკვირიანი დატვირთვით მუშაობის წესების დარღვევით (*Posokhov v. Russia*, § 43);

- მსაჯულებისგან (ასესორებისგან) შემდგარმა სასამართლომ გააგრძელა არსებული ტრადიციების შესაბამისად საქმეების განხილვა, მიუხედავად იმისა, რომ მსაჯულთა შესახებ კანონი გაუქმდა და ახალი კანონი არ იყო ძალაში შესული (*Pandjigidze and Others v. Georgia*, §§ 108-111);
- სასამართლო, რომლის შემადგენლობა არ იყო განსაზღვრული კანონის დაცვით, რადგანაც კანონით ორი მოსამართლე დისკვალიფიცირებული იქნა და ჩამოერთვათ საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლება (*Lavents v. Latvia*, § 115).

53. სასამართლომ ქვემოთ მოცემულ საქმეებთან დაკავშირებით მიიჩნია, რომ „სასამართლო კანონის საფუძველზე“ იყო შექმნილი:

- გერმანული სასამართლო, რომელიც პირის მიერ ბოსნიაში ჩადენილი გენოციდის აქტებთან დაკავშირებულ საქმეს განიხილავდა (*Jorgic v. Germany*, §§ 66-71);
- სპეციალიზირებული სასამართლო, რომელიც კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული საქმეების განხილვის მიზნით შეიქმნა (*Fruni v. Slovakia*, § 140).

3. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

54. 6 § 1 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება გულისხმობს, რომ საქმე კანონის საფუძველზე შექმნილმა „დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა“ სასამართლომ უნდა განიხილოს. დამოუკიდებლობისა და ობიექტური მიუკერძოებლობის ცნებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ამ მიზეზის გამო სასამართლო ამ ორ მოთხოვნას ერთობლიობაში განიხილავს (*Findlay v. the United Kingdom*, § 73).

პრინციპები, რომელთა გამოყენებითაც დგინდება სასამართლოს „დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა“ თანაბრად ვრცელდება პროფესიონალ მოსამართლეებზე, მსაჯულებზე (ასესორებზე) და ნაფიც მსაჯულებზე (*Holm v. Sweden*, § 30).

a. დამოუკიდებელი სასამართლო

i. ზოგადი პრინციპები

55. კონვენციის მუხლი 6 § 1-ის მოთხოვნების შესაბამისად სასამართლო ხელისუფლება სხვა სახელისუფლებო შტოებისგან, ანუ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან და მხარეებისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს (*Ninn-Hansen v. Denmark*(dec.)).

56. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე პოლიტიკურ სახელისუფლებო ორგანოებსა და სასამართლო ხელისუფლებას შორის ძალაუფლების გამიჯვნა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, კონვენციის მე-6 მუხლი, ან მისი რომელიმე სხვა დებულება არ მოითხოვს

სახელმწიფოებისგან დაივან რაიმე თეორიული კონსტიტუციური მოთხოვნები ხელისუფლების ურთიერთქმედების დასაშვები ფარგლების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში საკითხი ყოველთვის შეეხება იმას, თუ რამდენად იყო დაცული კონვენციის მოთხოვნები (*Henryk Urban and Ryszard Urban v. Poland*, § 46).

ii. დამოუკიდებლობის შეფასების კრიტერიუმები

57. იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს სასამართლო ორგანო „დამოუკიდებლად“, სასამართლომ შემდეგი კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინოს (*Findlay v. the United Kingdom*, § 73):

- სასამართლო ორგანოს წევრების დანიშვნის მეთოდები და მათი უფლებამოსილების ვადა;
- გარეშე ზეწოლისგან დაცვის გარანტიების არსებობა;
- რამდენად ტოვებს სასამართლო ორგანო დამოუკიდებელი ორგანოს შთაბეჭდილებას.

ა. ორგანოში წევრების დანიშვნის მეთოდი

58. მოსამართლეების პარლამენტის მიერ დანიშვნის ფაქტი ვერ იქნება მიჩნეული მოსამართლეების დამოუკიდებლობაში ეჭვის შეტანისთვის საკმარის საფუძვლად (*Filippini v. San Marino* (dec.); *Ninn-Hansen v. Denmark* (dec.))

59. მსგავსად ზემოთხსენებულისა, მოსამართლეების დანიშვნა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დასაშვებია, იმ პირობით, რომ მოსამართლედ დანიშნული პირები თავიანთი სამოსამართლო ფუნქციების შესრულებისას დამოუკიდებელი არიან რაიმე ზეგავლენისგან, ან ზეწოლისგან (*Henryk Urban and Ryszard Urban v. Poland*, § 49; *Campbell and Fell v. the United Kingdom*, § 79).

60. მიუხედავად იმისა, რომ საქმის კონკრეტული მოსამართლის, ან სასამართლოსთვის გადაცემა ეროვნული ხელისუფლების დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ხდება, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ეს შესაბამისობაშია მუხლი 6 § 1-ის მოთხოვნებთან, კერძოდ კი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნასთან (*Moiseyev v. Russia*, § 176).

ბ. მოსამართლეების თანამდებობაზე ყოფნის ვადა

61. რაიმე კონკრეტული სავალდებულო მინიმალური ვადა დადგენილი არ არის. მოსამართლეთა თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში მათი შეუცვლელობა მოსამართლეთა დამოუკიდებლობიდან გამომდინარეობს. მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ თუ მოსამართლეთა შეუცვლელობა კანონით დადგენილი არ არის, ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ მოსამართლეები არ არიან დამოუკიდებელი იმ პირობით, რომ მოცემული პრინციპი აღიარებულია და სხვა სავალდებულო გარანტიები არსებობს (*Campbell and Fell v. the United Kingdom*, § 80).

გ. გარეშე ზეწოლისგან დაცვის გარანტიები

62. სასამართლოს დამოუკიდებლობა მოითხოვს, რომ მოსამართლეები თავისუფალი იყონ როგორც გარეშე, ასევე სასამართლოს შიდა ზეწოლისგან.

მოსამართლეთა შიდა დამოუკიდებლობაში იგულისხმება, რომ მოსამართლეები არ უნდა დაექვემდებარონ კოლეგა მოსამართლეების, ან სასამართლოს ადმინისტრაციული თანამდებობის პირების, მაგალითად სასამართლოს თავმჯდომარის, ან სასამართლოს დანაყოფის უფროსის მხრიდან ზეწოლას. მოსამართლეთა სასამართლოს შიგნით დამოუკიდებლობის, განსაკუთრებით კი სასამართლოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისგან დამოუკიდებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ქმედითი გარანტიების უქონლობის გამო სასამართლომ შეიძლება მიიჩნიოს, რომ მომჩივანის ეჭვი სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში შეიძლება ობიექტურად გამართლებულია (*Parlov-Tkalcic v. Croatia*, § 86; *Daktaras v. Lithuania*, § 36; *Moiseyev v. Russia*, § 184).

ბ. დამოუკიდებლობის შთაბეჭდილება

63. იმის დადგენისას, შეიძლება თუ არა სასამართლო მიჩნეული იყოს დამოუკიდებლად მუხლი 6 §1-ის მნიშვნელობით, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ტოვებს სასამართლო დამოუკიდებელი ორგანოს შთაბეჭდილებას. დემოკრატიულ საზოგადოებას უნდა გააჩნდეს განცდა, რომ სასამართლო დამოუკიდებელია. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირის შემთხვევაში კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ის, თუ რამდენად დამოუკიდებელი ორგანოს შთაბეჭდილებას ტოვებს სასამართლო (*Sahiner v. Turkey*, § 44).

64. იმის დადგენისას, არსებობს თუ არა ლეგიტიმური საფუძველი ვარაუდისა, რომ კონკრეტული სასამართლო არ არის საკმარისად დამოუკიდებელი ან მიუკერძოებელი, ბრალდებულის პოზიცია მნიშვნელოვანია, თუმცა არა გადამწყვეტი. მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ბრალდებულის ვარაუდი იმის თაობაზე, რომ სასამართლო არ არის დამოუკიდებელი, ან მიუკერძოებელი, ობიექტურადაა გამართლებული (*Incal v. Turkey*, § 71). სასამართლოს დამოუკიდებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, როდესაც სასამართლო მიიჩნევს, რომ „ობიექტური დამკვირვებლის“ თვალში სასამართლო დამოუკიდებელია (*Clarke v. the United Kingdom* (dec.)).

65. როდესაც სასამართლოს შემადგენლობაში თანამდებობების პირები შედიან, რომლებიც მათზე დაკისრებული მოვალეობებისა და სერვისის ორგანიზაციული ხასიათიდან გამომდინარე დავის რომელიმე მხარესთან არიან დაკავშირებული, ბრალდებულს შეიძლება გაუჩნდეს ლეგიტიმური ეჭვი ამ პირების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით (*Sahiner v. Turkey*, § 45).

ბ. მიუკერძოებელი სასამართლო

66. კონვენციის 6 §1 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად „სასამართლო“ მიუკერძოებელი უნდა იყოს. ზოგადად მიუკერძოებლობა გულისხმობს, რომ სასამართლო არ არის მიკერძოებელი, ან არ გააჩნია უარყოფითი წინასწარგანწყობა, რაც შეიძლება სხვადასხვა გზით შემოწმდეს (*Kyprianou v. Cyprus*[GC], § 118; *Micallef v. Malta* [GC], § 93).

i. მიუკერძოებლობის შეფასების კრიტერიუმები

67. სასამართლო ერთმანეთისაგან ასხვავებს:

- სუბიექტურ დამოკიდებულებას, ანუ კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში მოსამართლის პირადი ინტერესის, ან პირადი შინაგანი რწმენის არსებობის დადგენის მცდელობას; და
- ობიექტურ მიდგომას, ანუ იმის დადგენას, უზრუნველყო თუ არა მოსამართლემ საკმარისი გარანტიები იმისთვის, რომ მოცემული თვალსაზრისით რაიმე ეჭვი გამორიცხულიყო (*Kyprianou v. Cyprus*[GC], § 118; *Piersack v. Belgium*, § 30; and *Grievs v. the United Kingdom*[GC], § 69).

68. მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ამ ორ ცნებას შორის მკაფიო გამყოფი, რადგანაც მოსამართლის ქცევა შეიძლება არა მხოლოდ ხელს უწყობდეს გარეშე დამკვირვებლის ობიექტური ეჭვს მის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით (ობიექტურობის ტესტი), არამედ შეიძლება ასევე განაპირობებდეს ვარაუდს, რომ იგი თავისი შინაგანი რწმენის ზეგავლენით მოქმედებდა (სუბიექტური ტესტი). ამგვარად, ის, თუ რამდენად უნდა იყოს გამოყენებული კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში რომელიმე ერთი ზემოთხსენებული ტესტი, ან ორივე ტესტი, დამოკიდებულია გასაჩივრებულ ქცევასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე (*Kyprianou v. Cyprus* [GC], § 119 და 121).

ა. სუბიექტური მიდგომა

69. სუბიექტური ტესტის გამოყენებისას სასამართლომ არაერთგზის გაუსვა ხაზი, რომ დაცული უნდა იყოს მოსამართლის პირადი მიუკერძოებლობის პრეზუმფცია, სანამ არ იქნება საკმარისი მტკიცებულება საწინააღმდეგო ვარაუდისთვის (*Kyprianou v. Cyprus* [GC], § 119; *Hauschildt v. Denmark*, § 47).

70. რაც შეეხება სასამართლოს მიერ მოთხოვნილი მტკიცებულებების სახეებს, სასამართლომ შეიძლება მოითხოვოს მტკიცებულებები იმის დასადგენად, გამოავლინა თუ არა მოსამართლემ მტრული დამოკიდებულება, ან პირადი მიზეზების გამო ეცადა, რომ საქმე მისთვის გადაეცათ განსახილველად (*De Cubber v. Belgium*, § 25).

71. გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება რთული იყოს იმ მტკიცებულებების მოპოვება, რომლებიც უარყოფდა მოსამართლის მიუკერძოებლობის პრეზუმფციას, და ასეთ შემთხვევებში ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნა მნიშვნელოვან დამატებით გარანტიას წარმოადგენს. სასამართლო აღიარებს იმ სირთულეებს, რომლებიც დაკავშირებულია მე-6 მუხლის დარღვევის დადგენასთან სუბიექტური მიკერძოებულობის საფუძველზე, და უმეტეს შემთხვევებში ობიექტურ ტესტზე დაყრდნობით აკეთებს თავის დასკვნებს (*Kyprianou v. Cyprus* [GC], § 119).

ბ. ობიექტური მიდგომა

72. სასამართლოს შემადგენლობის მიმართ ობიექტური ტესტის გამოყენების შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ დამოუკიდებლად სასამართლოს შემადგენლობაში არსებული მოსამართლეების ქცევისა, არსებობდა

თუ არა რაიმე ფაქტები, რომელთა გამო შეიძლება საფუძვლიანი ეჭვი არსებობდეს სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით (*Castillo Algar v. Spain*, § 45).

73. იმის დადგენისას, არსებობს თუ არა ლეგიტიმური მიზეზი ვარაუდისა, რომ კონკრეტული ორგანო არ იყო მიუკერძოებელი, იმ პირების პოზიცია, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სასამართლო მიკერძოებელი იყო, მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტია. მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ის, თუ რამდენად ობიექტურად გამართლებულია ასეთი ვარაუდი (*Ferrantelli and Santangelo v. Italy*, § 58; *Padovani v. Italy*, § 27).

74. ობიექტურობის ტესტი ძირითადად შეეხება მოსამართლესა და სამართალწარმოებაში მონაწილე რომელიმე სხვა პირს შორის იერარქიულ ან სხვა კავშირებს, რომელთა გამო სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული ეჭვი შეიძლება გამართლებული იყოს, რის გამოც კონვენციის სტანდარტი ობიექტურობის ტესტის საფუძველზე არ იქნება მიჩნეული დაკმაყოფილებულად (იხილეთ *Micallef v. Malta* [GC], § 97). ამგვარად, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს ზემოთხსენებული კავშირის ხასიათი და ზეგავლენის მოცულობა, რათა დასკვნა გაკეთდეს „სასამართლოს“ მიუკერძოებლობის თვალსაზრისით არსებული პრობლემების თაობაზე (*Pullar v. the United Kingdom*, § 38).

75. მოცემული თვალსაზრისით ის, თუ რა შთაბეჭდილებას ტოვებს სასამართლო, უაღრესად მნიშვნელოვანია. მოცემულ შემთხვევაში სასწორზეა დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოსადმი ნდობა, მათ შორის ბრალდებულის მხრიდანაც. შესაბამისად, ნებისმიერი მოსამართლე, რომელთანაც დაკავშირებით ლეგიტიმური მიზეზი არსებობს ვარაუდისა, რომ იგი არ იქნება მიუკერძოებელი, საქმიდან ჩამოცილებული უნდა იქნას (იხილეთ *Castillo Algar v. Spain*, § 45).

76. ასევე, გათვალისწინებული უნდა იქნას შიდა ორგანიზაციული საკითხები (*Piersack v. Belgium*, § 30(d)). ეროვნულ დონეზე მიუკერძოებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროცედურების, კერძოდ კი მოსამართლეთა საქმიდან ჩამოცილებასთან დაკავშირებული წესების არსებობა, მნიშვნელოვანი ფაქტორია. ასეთი წესების არსებობა ადასტურებს ეროვნული კანონმდებლის სურვილს უზრუნველყოს მოსამართლის, ან სასამართლოს მიუკერძოებლობაში რაიმე ეჭვის გაქარწყლება და ასეთი ეჭვის საფუძვლების აღმოფხვრა. მოცემული წესები გარდა იმისა, რომ რეალურად არსებული მიკერძოებულობის აღკვეთას უზურუნველყოფენ, ასევე ხელს უწყობენ დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოსადმი ნდობის ამაღლებას (იხილეთ *Micallef v. Malta* [GC], § 99; *Meznaric v. Croatia*, § 27; *Harabin v. Slovakia*, § 132). სასამართლო ითვალისწინებს ასეთი წესების არსებობას, როდესაც აფასებს თუ რამდენად მიუკერძოებელი იყო „სასამართლო“, და არის თუ არა ობიექტურად გამართლებული მომჩივანის ვარაუდი, რომ სასამართლო შეიძლება მიკერძოებელი ყოფილიყო (იხილეთ *Pfeifer and Plankl v. Austria*, § 6; *Oberschlick v. Austria*(no.1), § 50, და *mutatis mutandis*, *Pescador Valero v. Spain*, §§ 24-29).

ii. ვითარებები, როდესაც სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით შეიძლება ეჭვი გაჩნდეს

77. არსებობს ორი სიტუაცია, როდესაც სასამართლოს მიუკერძოებულობის საკითხი შეიძლება დადგეს (*Kyprianou v. Cyprus* [GC], § 121):

- პირველი სიტუაცია თავისი ხასიათით ფუნქციონალურ ასპექტებთანაა დაკავშირებული, მაგალითად ერთი და იგივე პირის მიერ სხვადასხვა ფუნქციების შესრულება სამართალწარმოების პროცესში, ან ამ პროცესში მონაწილე სხვა პირებთან იერარქიული ან სხვა კავშირები;
- მეორე სიტუაცია პირადი ხასიათისაა, და დაკავშირებულია კონკრეტული მოსამართლის ქცევასთან გარკვეული საქმის განხილვის პროცესში.

ა. ფუნქციონალური ხასიათის სიტუაციები

- *ა. სამართალწარმოების პროცესში სხვადასხვა ფუნქციების შესრულება*

78. მხოლოდ ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი სასამართლოს მოსამართლემ წინასასამართლო ეტაპზეც მიიღო საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილება, მათ შორის პირის წინასწარი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილება, თავისთავად არ არის საკმარისი იმ შიშის ობიექტურობის დასაბუთებისთვის, რომ მოსამართლე არ იქნება მიუკერძოებელი; მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ამ გადაწყვეტილებების ხასიათი და ზემოქმედების მოცულობა (*Fey v. Austria*, § 30; *Sainte-Marie v. France*, § 32; *Nortier v. the Netherlands*, § 33). როდესაც წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო, აუცილებელია პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით „ძალიან ნათელი არგუმენტების მოყვანა“, და სასამართლოს აზრით შესაბამისი სასამართლოების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით შეიძლება ეჭვი გაჩნდეს და მიჩნეული იქნას, რომ მომჩივანის შიში სასამართლოს მიუკერძოებულობის შესახებ ობიექტურად გამართლებულია (*Hauschildt v. Denmark*, §§ 49-52).

79. ის გარემოება, რომ მოსამართლე ერთ დროს სახელმწიფო პროკურატურაში მსახურობდა, არ არის საკმარისი მიზეზი ვარაუდისა, რომ იგი მიუკერძოებელი იქნება; მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ თუ პირი პროკურატურაში მისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამო მოცემულ საქმეზე მუშაობდა, და შემდგომში იმავე საქმეზე მოსამართლედ დაინიშნა, საზოგადოებას გონივრული ვარაუდი უჩნდება, რომ იგი თავისი მიუკერძოებლობის საკმარის გარანტიებს ვერ უზრუნველყოფს (*Piersack v. Belgium*, § 30(b) და (d)).

80. ერთსა და იმავე საქმეზე მოსამართლის მიერ გამოძიებაში და შემდგომ ეტაპზე საქმის განხილვაში მონაწილეობის შემთხვევაში სასამართლომ შეიძლება ასევე მიიჩნიოს, რომ მომჩივანის შიში სასამართლოს მიუკერძოებულობის შესახებ ობიექტურად გამართლებულია (*De Cubber v. Belgium*, §§ 27-30).

მაგრამ აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქმის განმხილველი მოსამართლე მოკლე დროის განმავლობაში იღებდა მონაწილეობას გამოძიებაში და მისი მონაწილეობა ორი მოწმის დაკითხვით შემოიფარგლა და მას არ

განუხორციელება მტკიცებულებების შეფასება, ან არ გაუკეთებია რაიმე დასკვნები, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანის ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ეროვნული სასამართლო არ იყო მიუკერძოებელი, ვერ ჩაითვლება ობიექტურად გამართლებულად (*Bulut v. Austria*, §§ 33-34).

81. მოსამართლეთა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კითხვები არ ჩნდება, როდესაც მოსამართლეს უკვე მიღებული აქვს წმინდად ფორმალური და პროცესუალური ხასიათის გადაწყვეტილებები სამართალწარმოების სხვა ეტაპებზე; მაგრამ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით პრობლემები შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ სამართალწარმოების სხვა ეტაპებზე მოსამართლემ უკვე გამოხატა თავისი მოსაზრება ბრალდებულის ბრალეულობასთან დაკავშირებით (*Gómez de Liaño y Botella v. Spain*, §§ 67-72).

82. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსამართლეს უკვე აქვს გამოტანილი გადაწყვეტილება მსგავს საქმეზე, რომელიც არ იყო დაკავშირებული მოცემულ საქმესთან, ან ის, რომ მოსამართლემ ცალკე სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება თანა-ბრალდებულის საქმეზე, არ არის თავისთავად საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ სხვა საქმის განხილვასთან დაკავშირებით მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვი იქნას შეტანილი დაუკავშირებელ საქმეზე (*Kriegisch v. Germany*(dec.)); *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia*, § 544). განსხვავებული ვითარება იქნება, როდესაც მოსამართლის მიერ წინა საქმეებთან მიღებული გადაწყვეტილებებიდან ნათელი ხდება, რომ მომდევნო სამართალწარმოებასთან მიმართებაში მოსამართლეს მიკერძოებული დამოკიდებულება ექნება (*Poppe v. the Netherlands*, § 26; *Schwarzenberger v. Germany*, § 42; *Ferrantelli and Santangelo v. Italy*, § 59).

83. მიუკერძოებლობის ვალდებულება არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ, რომელიც გააუქმებს ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ვალდებულია მოცემული საქმე სხვა იურისდიქციის მქონე სასამართლო ორგანოს, ან ამ ორგანოს სხვა დანაყოფს უნდა დაუბრუნოს ხელახალი განხილვის მიზნით, რომლის მოსამართლეთა შემადგენლობა განსხვავებული იქნება (*Thomann v. Switzerland*, § 33; *Stow and Gai v. Portugal*(dec.)).

• *ბ. სამართალწარმოების სხვა მონაწილეებთან იერარქიული, ან სხვა სახის კავშირები*

იერარქიული კავშირები

84. სამხედრო ტრიბუნალების მიერ სამხედრო მოსამსახურეების მიმართ წაყენებულ სისხლის სამართლებრივ ბრალდებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება თავისთავად არ არის შეუთავსებელი კონვენციის მე-6 მუხლის დებულებებთან (*Cooper v. the United Kingdom* [GC], § 110). მაგრამ აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სამხედრო-საველე სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი ყველა პირი იმ ოფიცერზე უფრო დაბალი რანგის იყო, ვინც სასამართლოს მოწვევა მოითხოვა, და ისინი მის დაქვემდებარებაში შედიოდნენ, მომჩივანის ეჭვი სასამართლოს დამოუკიდებლობის და

მიუკერძოებლობის თაობაზე შეიძლება ობიექტურად გამართლებული იყოს (*Findlay v. the United Kingdom*, § 76; *Miller and Others v. the United Kingdom*, §§ 30-31).

85. სამოქალაქო პირების გასამართლება სასამართლოს მიერ, რომლის წევრთა ნაწილი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები არიან, შეიძლება წარმოადგენდეს საფუძველს ლეგიტიმური ვარაუდისთვის, რომ სასამართლო მიუკერძოებელი დამოკიდებულების მქონე პირების ზეგავლენის ქვეშ მოექცევა (*Incal v. Turkey*, § 72; *Ibrahim Ülger v. Turkey*, § 26). იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამხედრო სასამართლოს მოსამართლე სამოქალაქო პირის წინააღმდეგ აღძრული სამართალწარმოების ფარგლებში მხოლოდ შუალედური დადგენილების მიღებაში იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ძალაში რჩება, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამართალწარმოების პროცესი არ განხორციელდა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ (*Öcalan v. Turkey* [GC], § 115).

86. იმ ვითარებებში, როდესაც სამხედრო სასამართლოს იურისდიქციაში შედის სამოქალაქო პირების გასამართლება შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების გამო, შეიძლება გონივრული ეჭვი გაჩნდეს ასეთი სასამართლოს ობიექტურ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ისეთი სასამართლო სისტემა, რომლის პირობებშიც სამხედრო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს იმ პირის ბრალეულობა, რომელიც არ შედის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, შეიძლება აღიქმებოდეს როგორც ორგანო, რომელიც სრულად უგულებელყოს იმ აუცილებელი დისტანციის მოთხოვნას, რომელიც უნდა არსებობდეს სასამართლოსა და სისხლის სამართალწარმოების მხარეებს შორის, მაშინაც კი, თუ ასეთი სასამართლოს დამოუკიდებლობის საკმარისი გარანტიები არსებობს (*Ergin v. Turkey (no. 6)*, § 49).

87. სამოქალაქო პირის სისხლის სამართლებრივი ბრალეულობის დადგენა სამხედრო სასამართლოს მიერ შეიძლება მხოლოდ გამონაკლის გარემოებებში იქნას მიჩნეული როგორც მე-6 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისი (*Martin v. the United Kingdom*, § 44).

სხვა კავშირები

88. სასამართლომ დაადგინა ობიექტურად გამართლებული ეჭვის არსებობა პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რადგანაც მისი მეუღლე გამომძიებელთა იმ ჯგუფის ხელმძღვანელი იყო, რომელმაც მომჩივანის საქმეს იძიებდა (*Dorozhko and Pozharskiy v. Estonia*, §§ 56-58).

89. ის გარემოება, რომ „სასამართლოს“ წევრი პირადად იცნობს ერთ-ერთ მოწმეს, თავისთავად არ ნიშნავს, რომ იგი ამ მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებას მიიჩნევს სარწმუნო ჩვენებად. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, თუ რა ხასიათისაა ეს ნაცნობობა და მოახდენს თუ არა იგი ზეგავლენას სასამართლოს მიუკერძოებლობაზე (*Pullar v. the United Kingdom*, § 38, რომელიც შეეხებოდა იმ ვითარებას, როდესაც მსაჯულების შემადგენლობის ერთ-ერთი წევრი ბრალდების ორი ძირითადი მოწმიდან ერთ-ერთი მოწმის დაქირავებული პირი იყო; *Hanif and*

Khan v. the United Kingdom, § 141, ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობაში პოლიციის ოფიცერთან დაკავშირებული საქმე).

ბ. პირადი ხასიათის გარემოებები

90. მოსამართლეებს ევალებათ მაქსიმალური კეთილგონიერება გამოიჩინონ მათ მიერ განსახილველ საქმეებთან მიმართებაში, რათა არ შელახონ სასამართლოს მიუკერძოებლობის შთაბეჭდილება. მათ თავი უნდა შეიკავონ პრესის საშუალებით საკუთარი მოსაზრებების გამოხატვისგან მაშინაც კი, თუ ისინი პროვოცირებული იქნებიან ასე მოიქცნენ. მოცემული ვალდებულება მართლმსაჯულების მაღალი ინტერესებიდან და სამოსამართლო თანამდებობის მნიშვნელობიდან გამომდინარეობს (*Buscemi v. Italy*, § 67; *Lavents v. Latvia*, § 118). ამგვარად, როდესაც სასამართლოს თავმჯდომარემ საჯაროდ განაცხადა, რომ მას მომჩივანის საქმესთან დაკავშირებით უკვე ჩამოუყალიბდა უარყოფითი პოზიცია მანამდე, სანამ საქმის მოსმენა გაიმართებოდა, მისი განცხადების ხასიათიდან გამომდინარე ბრალდებულის ეჭვი სასამართლოს დამოუკიდებლობის თაობაზე ობიექტურად გამართლებული იყო (*Buscemi v. Italy*, § 68; იხილეთ ასევე *Lavents v. Latvia*, § 119, რომელიც დაკავშირებულია მოსამართლის მიერ დაცვის საჯაროდ გაკრიტიკებასთან და გაოცების გამოხატვასთან, რომ ბრალდებულმა არ ცნო თავი დამნაშავედ).

91. სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-6 მუხლი არ დარღვეულა ეროვნული იურიდიული სამსახურის რამდენიმე წარმომადგენლის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებების და მოსამართლეთა და პროკურორთა ეროვნული ასოციაციის მიერ გამოქვეყნებული სტატიის შედეგად, რომელშიც გაკრიტიკებული იქნა ის პოლიტიკური გარემო, რომელშიც სასამართლო განხილვა მიმდინარეობდა, და ასევე მთავრობის მიერ შემოთავაზებული საკანონმდებლო რეფორმები და თავდაცვის სტრატეგია, მაგრამ არანაირი განცხადება არ გაკეთდა მომჩივანის ბრალეულობასთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში მომჩივანის საქმის განხილველი სასამართლოს შემადგენლობაში მხოლოდ პროფესიონალი მოსამართლეები შედიოდნენ, რომელთა მოცოდინებამ და ტრენინგმა მათ საშუალება მისცა თავი აერიდებინათ გარეშე ზეგავლენისთვის (*Previti v. Italy*(dec.), § 253).

C. პროცესუალური მოთხოვნები

1. სამართლიანობა

მუხლი 6 § 1

“ ...წარდგენილი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი ... სასამართლოს მიერ ...”

a. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითი პროცესი

92. მხარეთა თანასწორობა სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი მახასიათებელია. მოცემული გულისხმობს, რომ ყოველ მხარეს თავისი მოსაზრებების წარდგენის გონივრული შესაძლებლობა უნდა მიეცეს ისეთ ვითარებაში, რომელიც არ ჩააყენებს მას მის ოპონენტთან შედარებით არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში (*Foucher v. France*, § 34; *Bulut v. Austria*; *Bobek v. Poland*, § 56; *Klimentyev v. Russia*, § 95). მხარეთა თანასწორობის პრინციპი მოითხოვს მხარეებს შორის სამართლიანი ბალანსის დამყარებას და იგი თანაბრად ვრცელდება როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე.

93. შეჯიბრებითი სასამართლო პროცესის უფლება გულისხმობს, რომ მხარეებს უფლება აქვთ გაეცნონ საქმესთან დაკავშირებით არსებულ ყველა მტკიცებულებებს და მოსაზრებებს და კომენტარები გააკეთონ ამასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით. შეჯიბრებითი სასამართლო პროცესის უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული მხარეთა თანასწორობასთან და გარკვეულ შემთხვევებში სასამართლოს ამ ორივე პრინციპის ერთობლიობაში განხილვის საფუძველზე დაუდგენია 6 § 1 მუხლის დარღვევა.

94. სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა საზოგადოების თვალში სასამართლოს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის და მართლმსაჯულების სამართლიანი აღსრულების განცდის მნიშვნელობის გათვალისწინებით (*Borgers v. Belgium*, § 24).

95. სისხლის სამართლის საქმეების შემთხვევაში მუხლი 6 § 1 განიხილება ერთობლიობაში მუხლი 6 § 3-ით გათვალისწინებულ გარანტიებთან, თუმცა ეს არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ მუხლით დადგენილი მინიმალური უფლებებით. მართლაც, 6 § 3 მუხლში ასახული გარანტიები მთელ რიგ სხვა ელემენტებთან ერთად წარმოადგენენ 6 § 1 მუხლში ასახული სამართლიანი სასამართლო განხილვის შემადგენელ ელემენტებს.

მხარეთა თანასწორობა

96. საქმეზე *Borgers v. Belgium* სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა დაცვის უფლებების შეზღუდვას, როდესაც მომჩივანს არ მიეცა საშუალება ეპასუხა საკასაციო სასამართლოსთვის გენერალური პროკურორის თანაშემწის მიერ წარდგენილ მოსაზრებებზე და წინასწარ არ მიეწოდა მისი წარდგინება. მხარეთა თანასწორობის თვალსაზრისით მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა მოსამართლეთა თათბირში გენერალური პროკურორის თანაშემწის მრჩევლის სტატუსით მონაწილეობის შედეგად.

97. სასამართლომ დაადგინა მუხლი 6 § 1 -ის დარღვევა ერთობლიობაში მუხლთან 6 § 3 სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, როდესაც დაცვის ადვოკატს 15 საათის განმავლობაში მოუწია ლოდინი სანამ საქმესთან დაკავშირებით თავისი არგუმენტების წარდგენის საშუალება მიეცა, რაც საბოლოოდ მომდევნო დღის ადრე დილით მოხდა (*Makhfi v. France*). მსგავსად ზემოთხსენებულისა, სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეთა თანასწორობის

პრინციპი დაირღვა სისხლის სამართლის საქმეზე უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. მომჩივანს, რომელიც დამნაშავედ იქნა ცნობილი სააპელაციო ინსტანციის მიერ, არ მიეცა საშუალება დასწრებოდა წინასასამართლო განხილვას დახურულ სასამართლო სხდომაზე (*Zhuk v. Ukraine*, § 35).

98. განსხვავებით ზემოთხსენებულისგან, მხარეთა თანასწორობის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი მისი აშკარა დაუსაბუთებლობის საფუძველზე. კერძოდ, მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ პროკურორი მხარეებთან მიმართებაში უფრო შემალღებულ ადგილას იდგა სასამართლო განხილვის პროცესში. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამის გამო დაცვის მხარე არ აღმოჩნდა არახელსაყრელ მდგომარეობაში და მისი ინტერესები არ დაზარალებულა (*Diriöz v. Turkey*, § 25).

99. მხარეთა თანასწორობის პრინციპი შეიძლება დაირღვეს იმის გამო, რომ სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული პროცესუალური ასპექტები არ არის კანონმდებლობაში გაწერილი, რადგანაც ასეთი ნორმები უზრუნველყოფენ მოპასუხის დაცვას ხელისუფლების მხრიდან არამართლზომიერი ქმედებებისგან, და შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი წესები არ არის ნათლად გაწერილი, ყველაზე უფრო დაცვის ინტერესები დაზარალდება (*Coëme and Others v. Belgium*, § 102).

100. ბრალდებისა და დაცვის მოწმეებისადმი თანასწორი მოპყრობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი. იმისთვის, რომ ამ თვალსაზრისით დარღვევა იქნას მიჩნეული, უნდა დადგინდეს იყო თუ არა რომელიმე მხარის მოწმე უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში (*Bonisch v. Austria*, § 32; განსხვავებით ზემოთხსენებულისგან, იხილეთ საქმე *Brandstetter v. Austria*, § 45,).

101. დაცვის მხარისთვის მტკიცებულებების გაუმჟღავნებლობის შემთხვევაში შეიძლება დაირღვეს მხარეთა თანასწორობის პრინციპი (ისევე როგორც შეჯიბრებითი სასამართლო განხილვის უფლება) (*Kuopila v. Finland*, § 38, სადაც დაცვას არ მიეცა შესაძლებლობა კომენტარები გაეკეთებინა პოლიციის მიერ წარდგენილ დამატებით ანგარიშთან დაკავშირებით).

102. მხარეთა თანასწორობის პრინციპი შეიძლება ასევე დაირღვეს, როდესაც იზღუდება ბრალდებულის უფლება გაეცნოს საქმის მასალებს ან სხვა დოკუმენტებს საჯარო ინტერესების მიზეზით (*Matyjek v. Poland*, § 65).

i. შეჯიბრებითი პროცესი

103. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ერთ-ერთი ფუნდამენტალური ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესი, მათ შორის პროცესუალურ ასპექტებთან დაკავშირებული ელემენტები, შეჯიბრებითი უნდა იყოს და ბრალდებისა და დაცვის მხარეების თანასწორობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი. შეჯიბრებითი სასამართლო განხილვის უფლება გულისხმობს, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესში როგორც ბრალდებას, ასევე დაცვას მეორე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და მოსაზრებების გაცნობის საშუალება

უნდა ჰქონდეს. გარდა ამისა, მუხლი 6 § 1 მოითხოვს, რომ ბრალდების მხარემ დაცვის მხარეს უნდა გაუმჟღავნოს ბრალდებულის წინააღმდეგ მის ხელთ არსებული არსებითი ხასიათის მტკიცებულებები (*Rowe and Davis v. the United Kingdom*[GC], § 60).

104. სისხლის სამართლის პროცესთან მიმართებაში ძირითადად მუხლი 6 § 1 თანხვედრაში მოდის მუხლი 6 § 3-ით გათვალისწინებულ უფლებებთან, კერძოდ კი მოწმის დაკითხვის უფლებასთან.

105. იმ საქმეებთან მიმართებაში, როდესაც დაცვის მხარეს არ მიეწოდა მტკიცებულებები საჯარო ინტერესების მიზეზით, სასამართლო თავად არ განიხილავს, თუ რამდენად გამართლებული იყო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილება, რომლის საფუძველზე ინფორმაციის გამჟღავნება არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად, არამედ სასამართლო განიხილავს გადაწყვეტილების მიღების პროცედურას და იმას, თუ რამდენად შეესაბამებოდა მოცემული პროცედურა შეჯიბრებითი პროცესისა და მხარეთა თანასწორობის მოთხოვნებს, და ითვალისწინებდა თუ არა იგი დამცავ მექანიზმებს ბრალდებულის ინტერესების დასაცავად.

106. საქმეზე *Rowe and Davis v. the United Kingdom* [GC], სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მუხლი 6 § 1-ის დარღვევას, რადგანაც ბრალდებამ არ წარუდგინა საქმის განმხილველ მოსამართლეს მტკიცებულება, რათა მას განჩინება მიეღო მტკიცებულებების გამჟღავნების თაობაზე, რითაც მომჩივანების სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება შეიზღუდა. განსხვავებით ზემოთხსენებულისგან, საქმეზე *Jasper v. the United Kingdom*[GC] (§ 58), სასამართლომ მიიჩნია, რომ მუხლი 6 § 1-ის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, რადგანაც მასალა, რომელიც არ იქნა გამჟღავნებული მხარისთვის, არ ყოფილა გამოყენებული ბრალდების მიერ და არ ყოფილა წარდგენილი მსაჯულებისთვის.

107. აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებების გამჟღავნების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება. სისხლის სამართალწარმოების პროცესში შეიძლება არსებობდეს ისეთი ურთიერთსაპირისპირო ინტერესები, როგორცაა ეროვნული უსაფრთხოება, ან მოწმის დაცვის აუცილებლობა, რომელიც შეიძლება შურისძიების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ან პოლიციის მიერ დანაშაულის გამოძიების მიზნით გამოყენებული მეთოდების შესახებ საიდუმლოების შენახვა. აუცილებელია ასეთი ურთიერთსაპირისპირო ინტერესების შეჯერება ბრალდებულის უფლებებთან. ზოგ შემთხვევებში შეიძლება საჭირო გახდეს დაცვის მხარისგან გარკვეული მტკიცებულებების დაფარვა სხვა პირის ძირითადი უფლებების, ან მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით. მიუხედავად ამისა გასათვალისწინებელია, რომ მუხლი 6 § 1-ით დაშვებულია დაცვის უფლებების მხოლოდ იმ მოცულობით შეზღუდვა, რაც მკაცრად აუცილებელია (*Van Mechelen and Others v. the Netherlands*, § 58). გარდა ამისა, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ბრალდებულის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დაცვა, ნებისმიერი სირთულეები, რაც დაცვას შეიძლება შეექმნას ამ უფლებით სარგებლობის შეზღუდვის შედეგად, საკმარისად დაბალანსებული

უნდა იქნას იმ პროცედურით, რომელსაც სასამართლო ხელისუფლება მიმართავს (*Doorson v. the Netherlands*, § 72; *Van Mechelen and Others v. the Netherlands*, § 54).

108. საქმე *Edwards and Lewis v. the United Kingdom*[GC] შეეხებოდა მომჩივანებს, რომლებსაც შეეზღუდათ მტკიცებულებების გაცნობის უფლება, რის გამოც მათ ადვოკატებს არ მიეცათ მოსამართლის წინაშე იმის ეფექტურად მტკიცების უფლება, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულის წაქეზებას მომჩივანების მხილების განზრახვით. სასამართლომ დაადგინა, რომ მუხლი 6 § 1 დაირღვა, რადგანაც მტკიცებულებების გამჟღავნების საკითხის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურა და დანაშაულის წაქეზება არ შეესაბამებოდა მხარეთა თანასწორობის მოთხოვნას, და იგი არ ითვალისწინებდა საკმარის დამცავ გარანტიებს ბრალდებულის ინტერესების დასაცავად.

109. შეჯიბრებითი პროცესის უფლება დარღვეულად იქნა მიჩნეული იმ შემთხვევებში, როდესაც მხარეებს სასამართლო განხილვამდე არ წარედგინათ მომხსენებელი მოსამართლის ანგარიში, რის გამოც გენერალურ ადვოკატს არ ჰქონდა შესაძლებლობა ეპასუხა მხარის წარდგინებაზე (*Reinhardt and Slimane-Kaid v. France*, §§ 105-106).

b. სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთება

110. კარგად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის შესაბამისად მართლმსაჯულების ეფექტური ადმინისტრირება გულისხმობს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები სათანადოდ უნდა ასახავდნენ იმ მიზეზებს, რომელთა საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება მოხდა (*Papon v. France* (dec.)).

111. დასაბუთებული გადაწყვეტილება ემსახურება მხარეებისთვის იმის დემონსტრირებას, რომ მათი მოსაზრებები მოსმენილი და გათვალისწინებული იქნა, რაც მათ მიერ სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, მოცემული პრინციპი ავალდებულებს მოსამართლეებს გადაწყვეტილება მიიღონ ობიექტურ არგუმენტებზე დაყრდნობით და დაიცვან დაცვის მხარის უფლებები. აღსანიშნავია, რომ მიზეზების დასახელების ვალდებულება განსხვავდება გადაწყვეტილების ხასიათიდან გამომდინარე, და ამის თაობაზე გადაწყვეტილება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე მიიღება (*Ruiz Torija v. Spain*, § 29).

112. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოები არ არიან ვალდებული დეტალური პასუხი გასცენ ყველა არგუმენტთან დაკავშირებით (*Van de Hurk v. the Netherlands*, § 61), გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იქნას სასამართლოს მოსაზრებები საქმის გამამწყვეტ ასპექტებთან დაკავშირებით (იხილეთ *Boldea v. Romania*, § 30).

113. ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისად ნათლად უნდა მიუთითონ ის საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობითაც მათ გადაწყვეტილება მიიღეს, რათა დავის მხარეებს გასაჩივრების უფლების ეფექტურად სარგებლობის საშუალება ჰქონდეთ (*Hadjianastassiou v. Greece*; და *Boldea v. Romania*).

i. ნაფიცი მსაჯულების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება

114. სისხლის სამართლის საქმეების შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულები იშვიათად ასაბუთებენ მათ მიერ მიღებულ ვერდიქტს, და კომისიამ და ზოლო პერიოდში სასამართლომაც რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით ისაუბრა ამ გარემოების ზეგავლენაზე სამართლიან განხილვაზე.

115. კონვენცია არ მოითხოვს ნაფიცი მსაჯულებისგან მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას, და მუხლი 6 არ კრძალავს მოპასუხის საქმის განხილვას ნაფიცი მსაჯულების მიერ მაშინაც კი, თუ ვერდიქტში არ არის დასახელებული მისი განმაპირობებელი მიზეზები (*Saric v. Denmark* (dec.)). მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია რომ იმისთვის, რომ დაკმაყოფილებული იქნას სამართლიანი სასამართლო განხილვის მოთხოვნა ბრალდებულს, და საზოგადოებას უნდა შეეძლოს მიღებული ვერდიქტის გაგება. გარდა ამისა, ეს მიკერძოებულობისგან დაცვის მნიშვნელოვანი მექანიზმია (*Taxquet v. Belgium*[GC], § 92; *Legillon v. France*, § 53).

116. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემთხვევაში გასათვალისწინებელია სპეციალური პროცედურები, რადგანაც ზოგადად ნაფიც მსაჯულებს არ მოეთხოვებათ, ან უფლება არა აქვთ დაასაბუთონ თავისი პირადი მოსაზრება. ასეთ გარემოებებში მე-6 მუხლი მოითხოვს იმის შეფასებას, არსებობდა თუ არა საკმარისი გარანტიები იმისთვის, რომ თავიდან აცილებულიყო მიკერძოებულობის რაიმე რისკი, და ესმოდა თუ არა ბრალდებულს მისი მსჯავრდების მიზეზები. ასეთი პროცესუალური გარანტიების შეიძლება იყოს თავმჯდომარე მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის სამართლებრივ საკითხებთან, ან მტკიცებულებებთან დაკავშირებით მიწოდებული ინსტრუქციები და რჩევები, ან მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის დასმული ნათელი და არაორაზროვანი შეკითხვები, რომლებიც ვერდიქტის საფუძვლების დადგენაში ეხმარება ნაფიც მსაჯულებს, ან იმ ფაქტის საკმარისად დაბალანსება, რომ ნაფიცი მსაჯულების პასუხების განმაპირობებელი მიზეზები არ არის დასახელებული (იხილეთ *R. v. Belgium*(dec.), *Zarouali v. Belgium*(dec.), *Planka v. Austria*(dec.) და *Papon v. France* (dec.)). როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ყველა მოპასუხესთან დაკავშირებით არ სვამს ნათელ შეკითხვებს დამამძიმებელი გარემოებების არსებობის თაობაზე, რითაც ნაფიც მსაჯულებს არ ეძლევათ მომჩივანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის საშუალება, სასამართლომ დაადგინა, რომ ეს მუხლი 6§ 1-ის დარღვევას წარმოადგენს (*Goktepe v. Belgium*, § 28).

117. საქმეზე *Bellerín Lagares v. Spain*(dec.) სასამართლომ განაცხადა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომელსაც თან ერთვოდა ნაფიც მსაჯულთა თათბირის ოქმი, შეიცავდა იმ ფაქტების ჩამონათვალს, რომელზე დაყრდნობითაც ნაფიცმა მსაჯულებმა მომჩივანი დამნაშავედ ცნეს; ასევე ამ ფაქტების სამართლებრივი ანალიზი, და განაჩენის გამოტანის მიზნებში იმ გარემოებებზე მითითება, რომლებმაც ზეგავლენა იქონიეს მომჩივანის პასუხისმგებლობის ხარისხის დადგენაზე. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის

მუხლი 6§ 1-ის მიზნებში გასაჩივრებული გადაწყვეტილება საკმარისი მოცულობით შეიცავდა მისი განმაპირობებელი მიზეზების დასახელებას.

118. გათვალისწინებული უნდა იქნას მსჯავრდებულის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალებების არსებობა (*Taxquet v. Belgium*[GC], § 92). საქმეში *Taxquet v. Belgium*[GC] მომჩივანთან დაკავშირებით მხოლოდ ოთხი შეკითხვა იყო დასმული. შეკითხვები სხვა თანა-ბრალდებულებისთვის დასმული შეკითხვების მსგავსად იყო ჩამოყალიბებული, და მომჩივანს არ შეეძლო მისი მსჯავრდების ფაქტობრივი, ან სამართლებრივი საფუძვლების გაგება. ამგვარად, იმის გამო, რომ მომჩივანმა ვერ გაიგო, თუ რატომ იქნა ცნობილი დამნაშავედ, სასამართლო განხილვა არ იყო სამართლიანი (§ 100).

119. საქმეზე *Judge v. the United Kingdom*(dec.), სასამართლომ დაადგინა, რომ შოტლანდიის ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული ვერდიქტი, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იყო დასაბუთებული, მომჩივანისთვის გასაგები იყო. გარდა ამისა, სასამართლო დარწმუნდა, რომ შოტლანდიის კანონმდებლობით გათვალისწინებული გასაჩივრების საშუალებები საკმარისად ეფექტური იყო იმისთვის, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული არამართლობიერი გადაწყვეტილება გადაესინჯა. არსებული კანონმდებლობით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის ფართო უფლებამოსილება გააჩნდა და შეეძლო ბათილად ეცნო ნებისმიერი მსჯავრდება, რომელიც დარღვევებით იქნა მიღებული.

c. დუმის უფლება და თვითმამხილებელი ჩვენებების მიცემისგან დაცვის გარანტიები

i. განცხადება და გამოყენების სფერო

120. ყველა პირს, ვისაც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი, დუმის და თვითმამხილებელი ჩვენებების მიცემისგან თავის შეკავების უფლება აქვს (*Funke v. France*, § 44; ასევე იხილეთ *O'Halloran and Francis v. the United Kingdom* [GC], § 45; *Saunders v. the United Kingdom*, § 60). მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლში ამის თაობაზე არ არის ცალსახად აღნიშნული, დუმისა და თვითმამხილებელი ჩვენებების მიცემისგან თავის შეკავების უფლება საზოგადოად აღიარებული საერთაშორისო სტანდარტია, რომელიც მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლო განხილვის ცნების განუყოფელი ნაწილია. მოცემული გარანტიები იცავს ბრალდებულს ხელისუფლების მხრიდან მიუღებელი იძულებისაგან, ხელს უწყობენ მართლმსაჯულების ხარვეზების პრევენციას და მე-6 მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაცვას (*John Murray v. the United Kingdom*, § 45).

121. თვითმამხილებელი ჩვენებების მიცემისგან თავის შეკავების უფლება ვრცელდება ყველა სახის სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებულ წარმოებაზე, დაწყებული ყველაზე მარტივი დანაშაულებიდან და ყველაზე რთული და მძიმე დანაშაულებით დამთავრებული (*Saunders v. the United Kingdom*, § 74).

122. დუმილის უფლება ვრცელდება იმ მომენტიდან, როდესაც ეჭვმიტანილი პოლიციის მიერ იკითხება (*John Murray v. the United Kingdom*, § 45).

ii. გავრცელების სფერო

123. თვითმამხილებელი ჩვენებების მიცემისგან თავის შეკავების უფლება გულისხმობს, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესში ბრალდების მხარემ ბრალდებულის ბრალეულობა უნდა ამტკიცოს მისი ნების წინააღმდეგ იძულების გზით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენების გარეშე (*Saunders v. the United Kingdom*, § 68; ასევე იხილეთ *Bykov v. Russia*[GC], § 92).

124. მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ თვითმამხილებელი ჩვენებების მიცემისგან დაცვა არ ვრცელდება სისხლის სამართალწარმოების პროცესში ისეთი მასალების გამოყენებაზე, რომლებიც მოპოვებული იყო ბრალდებულისგან მისი ნების წინააღმდეგ იძულებითი ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილების გამოყენების გზით, მაგალითად: შესაბამისი ორდერის საფუძველზე მოძიებული დოკუმენტები, სუნთქვის, სისხლის ან შარდის ნიმუშები, ან სხეულის ქსოვილის ნიმუშები დნმ ანალიზის ჩატარების მიზნით (*Saunders v. the United Kingdom*, § 69; ასევე იხილეთ *O'Halloran and Francis v. the United Kingdom* [GC] § 47).

125. ადვოკატის ადრეულ ეტაპზევე ხელმისაწვდომობა პროცესუალური გარანტიების ნაწილია და სასამართლო განსაკუთრებით ამხვილებს ყურადღებას ამ ასპექტზე იმის შეფასებისას, ხომ არ შელახა გამოყენებულმა პროცედურამ თვითმამხილების წინააღმდეგ დაცვის გარანტიის არსი. იმისთვის, რომ 6 § 1 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება „პრაქტიკული და ეფექტური“ იყოს, როგორც წესი, ადვოკატის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეჭვმიტანილის პოლიციის მიერ პირველივე დაკითხვიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ყოველი ცალკეული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე შეიძლება იმის დამტკიცება, რომ ამ უფლების შეზღუდვის საფუძვლიანი მიზეზები არსებობდა (*Salduz v. Turkey*[GC], §§ 54-55).

126. პოლიციის მიერ დაკავებულ პირებს უფლება აქვთ შეინარჩუნონ დუმილი, არ მისცენ თვითმამხილებელი ჩვენებები, და დაკითხვის შემთხვევაში ისარგებლონ ადვოკატის მომსახურებით. ეს უფლებები საკმაოდ ნათელია: რომელიმე ერთ უფლებაზე უარის თქმა არ გულისხმობს სხვა უფლებაზე უარის თქმას. მიუხედავად ამისა გასათვალისწინებელია, რომ ეს უფლებები ურთიერთდაკავშირებულია, რადგანაც პოლიციის მიერ დაკავებულ პირებს *a fortiori* უნდა შეეძლოთ ადვოკატის მომსახურებით სარგებლობა, როდესაც მათ მანამდე არ მიეწოდათ ინფორმაცია სახელისუფლებო ორგანოს წარმომადგენლების მიერ იმის თაობაზე, რომ მათ დუმილის უფლება გააჩნიათ (*Navone and Others v. Monaco*, § 74; *Brusco v. France*, § 54). ეჭვმიტანილისთვის ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, რომ მას დუმილის უფლება გააჩნია უაღრესად მნიშვნელოვანია, მაშინაც კი, როდესაც პირი საკუთარი ნებით თანხმობას აცხადებს პოლიციისთვის ჩვენების მიცემაზე მას შემდეგ, როდესაც მას განემარტა, რომ მისი ჩვენება შეიძლება მის წინააღმდეგ მტკიცებულების სახით

იყოს გამოყენებული, ასეთი განმარტების მიწოდების გამო ვერ ჩაითვლება, რომ პირმა სრულად ინფორმირებული არჩევანი გააკეთა, თუ მას ნათლად არ განემარტა, რომ მას დუმილის უფლება აქვს, და თუ მან ჩვენების მიცემის გადაწყვეტილება ისე მიიღო, რომ მას ადვოკატი არ ეხმარებოდა (*Navone and Others v. Monaco*, § 74; *Stojkovic v. France and Belgium*, § 54).

127. დუმილის და თვითმამხილებელი ჩვენებების მიცემისგან თავის შეკავების უფლება ემსახურება ექვმიტანილის არჩევანის უფლების დაცვას იმასთან დაკავშირებით, დაკითხვის პროცესში მისცეს ჩვენება პოლიციას, თუ დუმილი შეინარჩუნოს. სწორედ არჩევანის თავისუფლება დაირღვა საქმეზე, როდესაც ექვმიტანილმა დაკითხვის დროს დუმილის უფლებით ისარგებლა, ხოლო სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენლებმა სხვადასხვა ხერხს მიმართეს მამხილებელი, ან აღიარებითი ჩვენებების მიღების მიზნით, როდესაც ექვმიტანილის დაკითხვის შედეგად ასეთი ჩვენებები ვერ მოიპოვეს (მოცემულ შემთხვევაში ექვმიტანილმა აღიარებითი განცხადება პოლიციის ინფორმატორის წინაშე გააკეთა, რომელიც იმავე საკანში იჯდა), და როდესაც ასეთი გზით მიღებული ჩვენებები მტკიცებულების სახით სასამართლოს წარედგინა (*Allan v. the United Kingdom*, § 50).

128. განსხვავებით ზემოთხსენებულისგან, საქმეში *Bykov v. Russia*[GC] მომჩივანი არ დაექვემდებარა რაიმე ზეწოლას ან იძულებას, და არ იყო დაკავებული, მაგრამ შეეძლო საკუთარი არჩევანით შეხვედროდა პოლიციის ინფორმატორს და ესაუბრა მასთან, ან უარი ეთქვა ამაზე. გარდა ამისა, სასამართლო პროცესზე ამ საუბრის ჩანაწერი არ იყო განხილული როგორც აღიარება, რომელზე დაყრდნობითაც პირის ბრალეულობა დადგინდებოდა; მოცემულმა მტკიცებულებამ არ ითამაშა გადამწყვეტი როლი სასამართლოს მიერ მტკიცებულებების დიდი მოცულობის შეფასებისას (§§ 102-103).

iii. შეფარდებითი უფლება

129. დუმილის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება (*John Murray v the United Kingdom*, § 47).

130. იმის შეფასებისას, ხომ არ შეილახა გამოყენებული პროცედურის შედეგად თვითმამხილებელი ჩვენებების მიცემისგან დაცვის გარანტია, სასამართლო შემდეგ ელემენტებზე ამახვილებს ყურადღებას:

- იძულების ხასიათი და ხარისხი;
- პროცედურით გათვალისწინებული დამცავი მექანიზმების არსებობა;
- ასეთი გზით მოპოვებული რაიმე მასალის გამოყენების გზა (*Jalloh v. Germany*[GC], § 101; ასევე იხილეთ *O'Halloran and Francis v. the United Kingdom*[GC], § 55; *Bykov v. Russia*[GC], § 104).

131. ერთის მხრივ, მსჯავრდება არ უნდა მოხდეს მხოლოდ ექვმიტანილის დუმილის, შეკითხვებზე პასუხის გაცემაზე უარის, ან მის მიერ მიცემული ჩვენებების საფუძველზე. მეორეს მხრივ, დუმილის უფლება არ გულისხმობს, რომ ისეთ ვითარებებში, როდესაც აუცილებელია ბრალდებულის განმარტებები, და იგი დუმილს ინარჩუნებს, ეს ფაქტორი გათვალისწინებული იქნება ბრალდების

მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასებისას. შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომ ბრალდებულის გადაწყვეტილება დუმილი შეინარჩუნოს მთელი სამართალწარმოების ფარგლებში, არ მოახდენს ზეგავლენას და ვერ იქნება გათვალისწინებული ბრალეულობის დადგენის პროცესში.

132. წარმოადგენს თუ არა ბრალდებულის დუმილზე დაყრდნობით უარყოფითი დასკვნების გამოტანა მე-6 მუხლის დარღვევას, უნდა დადგინდეს საქმის ყველა გარემოებების ერთობლიობის გათვალისწინებით, და განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეროვნული სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასებისას ამ დასკვნებისთვის მინიჭებულ წონას, და ამ სიტუაციაში გამოყენებული იძულების ხარისხს (*John Murray v. the United Kingdom*, § 47).

133. გარდა ამისა, შეიძლება გათვალისწინებული იქნას ის წონა, რომელიც შეიძლება მინიჭებული იქნას საჯარო ინტერესისთვის, რომელიც მდგომარეობს რომელიმე კონკრეტული სახის დანაშაულის გამოძიებასა და დასჯაში, და ეს შეჯერებული უნდა იქნას პირის ინტერესთან, რომ მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები კანონიერად იქნას მოძიებული. მიუხედავად ამისა, საჯარო ინტერესებით ვერ იქნება გამართლებული ისეთი ზომები, რომლებიც მომჩივანის დაცვის უფლებებს, მათ შორის თვითმამხილებელი ჩვენებების მიცემისგან დაცვის უფლებას არღვევენ (*Jalloh v. Germany*[GC], § 97). საჯარო ინტერესებით ვერ იქნება გამართლებული არა-სასამართლო გამოძიების პროცესში იძულების გზით მიღებული მტკიცებულებების გამოყენება სასამართლო განხილვის პროცესში (*Heaney and McGuinness v. Ireland*, § 57).

d. უკანონოდ, ან კონვენციის მოთხოვნების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება

134. მუხლი 6 სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან დაკავშირებულ გარანტიებს ადგენს, მაგრამ იგი არ შეიცავს მტკიცებულებების დასაშვებობასთან დაკავშირებულ წესებს, რაც ძირითადად ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება (*Schenk v. Switzerland*, §§ 45-46; *Heglas v. the Czech Republic*, § 84).

135. შესაბამისად, სასამართლოს ფუნქციებში არ შედის იმის დადგენა, რამდენად დასაშვებად შეიძლება იქნას მიჩნეული მტკიცებულებების გარკვეული კატეგორიები, მათ შორის ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები. კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს იმაში მდგომარეობს, რამდენად სამართლიანი იყო მთლიანი სამართალწარმოების პროცესი, მათ შორის მტკიცებულებების მოძიება. მოცემული გულისხმობს გასაჩივრებული ქმედებების უკანონობისა და კონვენციით დაცული უფლებების დარღვევის ფაქტის დადგენას (*Khan v. the United Kingdom*, § 34; *P.G. and J.H. v. the United Kingdom*, § 76; *Allan v. the United Kingdom*, § 42).

136. როდესაც სასამართლო მსჯელობს იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი იყო სამართალწარმოება მთლიანობაში, ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რამდენად დაცული იყო დაცვის უფლებები. კერძოდ, უნდა შეფასდეს მიეცა თუ არა მომჩივანს შესაძლებლობა ედავა მტკიცებულებების ავთენტურობაზე და

შეწინააღმდეგებოდა ამ მტკიცებულებების გამოყენებას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მტკიცებულებათა ხარისხი, ის გარემოებები, რომლებიც მტკიცებულებები იქნა მოპოვებული, და რამდენად ეჭვს ბადებს ეს გარემოებები მტკიცებულებების ნამდვილობასა და სარწმუნობასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ არ არის სავალდებულო, რომ სამართლიანობაში ეჭვის შეპარვის საფუძველი წარმოიქმნას, თუ მოპოვებული მტკიცებულება არ არის გამყარებული სხვა მასალებით, ხაზგასასმელია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც მტკიცებულება საკმაოდ წონიანია, და არ არსებობს იმის რისკი, რომ იგი შეიძლება არასარწმუნოდ იქნას მიჩნეული, დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის მით უფრო ნაკლები აუცილებლობა არსებობს (*Bykov v. Russia* [GC], § 89; *Jalloh v. Germany*[GC], § 96). გარდა ამისა, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, იქონია თუ არა კონკრეტულმა მტკიცებულებამ გადამწყვეტი ზეგავლენა სისხლის სამართალწარმოების შედეგზე (*Gäfgen v. Germany*).

137. რაც შეეხება კონვენციის დადგენილი დარღვევის შინაარსის განხილვას, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ კითხვა – მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულების სახით გამოყენებამ გახადა თუ არა საქმის სასამართლო განხილვა მთლიანობაში არასამართლიანი მე-6 მუხლის საწინააღმდეგოდ – უნდა განისაზღვროს საქმის ყველა გარემოების, მათ შორის, განმცხადებლის დაცვის უფლებისა და სადავო მტკიცებულების ხარისხისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით (*Gäfgen v. Germany*[GC], § 165).

138. თუმცა მტკიცებულებასთან დაკავშირებით, რომელიც მე-3 მუხლის დარღვევითაა მოპოვებული, შეიძლება სხვა მიდგომა გავრცელდეს. ისეთი მტკიცებულების გამოყენება, რომელიც კონვენციით გარანტირებული ძირითადი და აბსოლუტური უფლებების დარღვევითაა მოპოვებული, ყოველთვის ბადებს სერიოზულ კითხვებს სამართალწარმოების სამართლიანობასთან დაკავშირებით, მაშინაც კი, თუ ასეთი მტკიცებულება არ იყო გადამწყვეტი მსჯავრდებისთვის (*Jalloh v. Germany*[GC], §§ 99 და 105; *Harutyunyan v. Armenia*, § 63).

139. ამგვარად, სისხლის სამართალწარმოების პროცესში მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება, დამოუკიდებლად იმისა, შეიძლება თუ არა მოპოვების კვალიფიცირება როგორც წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპოვება, სამართალწარმოებას მთლიანობაში ავტომატურად არასამართლიანს ხდის, რაც მე-6 მუხლის დარღვევას წარმოადგენს (*El Haski v. Belgium*; *Gäfgen v. Germany*[GC], § 166). ეს მართებულია სარწმუნო მტკიცებულებებთან მიმართებაშიც, რომლებიც წამების შედეგად იქნა მოპოვებული (*Jalloh v. Germany*[GC], § 105; *Gäfgen v. Germany*[GC], § 167). მე-3 მუხლის მოთხოვნების დარღვევით, ანუ არაადამიანური მოპოვების სახით კვალიფიცირებული ქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებად ცნობა, როდესაც ასეთი მოქმედებები თავისი სიმძიმით არ აღწევს წამებას, მე-6 მუხლის დარღვევას წარმოადგენს, თუ დამტკიცდება, რომ მე-3 მუხლის დარღვევამ ზეგავლენა იქონია მოპასუხის წინააღმდეგ აღძრული სამართალწარმოების შედეგზე, ანუ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი (*El Haski v. Belgium*, § 85; *Gäfgen v. Germany*[GC], § 178).

140. მოცემული პრინციპები ვრცელდება არა მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც მე-3 მუხლით აკრძალული ქმედებების მსხვერპლი მოპასუხეა, არამედ მესამე მხარეებზეც (*El Haski v. Belgium*, § 85). კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო პროცესზე წამების გზით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება მართლმსაჯულებაზე უარის თქმის ტოლფასად ჩაითვლება მაშინაც კი, როდესაც ის პირი, რომლისგანაც მტკიცებულებები ასეთი გზით იქნა მოპოვებული, მესამე მხარეს წარმოადგენს (*Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom*, §§ 263 და 267).

e. დანაშაულის წაქეზება მისი მხილების განზრახვით

i. ზოგადი მოსაზრებები

141. სასამართლო აღიარებს, რომ სახელისუფლებო ორგანოებს განსაკუთრებული საგამოძიებო მეთოდებისთვის მიმართვა უწევთ, რაც განსაკუთრებით საჭიროა ორგანიზებული დანაშაულსა და კორუფციასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიების პროცესში. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ განსაკუთრებული საგამოძიებო მეთოდები, კერძოდ ფარული ოპერაციების ჩატარების ტექნიკა თავისთავად არ არღვევს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას. მიუხედავად ამისა, იმის გამო, რომ ასეთი ტექნიკის გამოყენება დაკავშირებულია დანაშაულის წაქეზების რისკთან, მათი გამოყენება მკაცრად დაცულ ფარგლებში უნდა იყოს დასაშვები (*Ramanauskas v. Lithuania*[GC], § 51).

142. ორგანიზებული დანაშაულის დონის ზრდა სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ზომების გატარებას მოითხოვს, მიუხედავად ამისა ხაზგასასმელია, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, რაც მართლმსაჯულების სათანადო აღსრულებას მოიაზრებს, ყველა სახის სისხლის სამართლის დანაშაულზე ვრცელდება, დაწყებული მსუბუქი დანაშაულიდან, და დამთავრებული მძიმე და რთული დანაშაულებით. მართლმსაჯულების სამართლიანი აღსრულების უფლებას იმდენად დიდი მნიშვნელობა ეკისრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომ იგი ვერ იქნება უგულვებელყოფილი მიზანშეწონილობის გამო (*იქვე*, § 53). ამასთან დაკავშირებით სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ პოლიცია უფლებამოსილია ჩაატაროს ფარული ოპერაციები, მაგრამ არა წააქეზოს დანაშაული (*Khudobin v. Russia*, § 128).

143. აღსანიშნავია, რომ კონვენცია არ კრძალავს დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე წინასწარი გამოძიების ეტაპზე ისეთ წყაროებზე დაყრდნობას, როგორცაა ანონიმური ინფორმატორები, მაგრამ განსხვავებული ვითარებაა, თუ პირველი ინსტანციის სასამართლო ამ წყაროებზე დაყრდნობით დაადგენს პირის ბრალეულობას (*Teixeira de Castro v. Portugal*, § 35). ამ ზომებისთვის მიმართვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკმარისი და ადეკვატური გარანტიები არსებობს ამ ზომების ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის, კერძოდ კი განსაზღვრულია საგამოძიებო ღონისძიების გატარების უფლების გაცემის, განხორციელებისა და ზედამხედველობის ნათელი და განჭვრეტადი პროცედურა (*Ramanauskas v. Lithuania* [GC], § 51). რაც შეეხება ფარულ ოპერაციებზე კონტროლის

უფლებამოსილებას, სასამართლოს აზრით მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო კონტროლი ყველაზე ეფექტური საშუალებაა, შეიძლება სხვა სახის ზედამხედველობის დამყარება, იმ პირობით, რომ არსებობს ადეკვატური პროცედურები და დამცავი მექანიზმები, მაგალითად, პროკურატურის მიერ ზედამხედველობა (*Bannikova v. Russia*, § 50).

144. მიუხედავად იმისა, რომ ფარული აგენტების გამოყენება შეიძლება დასაშვებად იყოს მიჩნეული იმ პირობით, რომ ამასთან დაკავშირებით ნათელი ინსტრუქციები და დამცავი მექანიზმები არსებობს, საჯარო ინტერესით ვერ იქნება გამართლებული პოლიციის მიერ დანაშაულის წაქეზების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ბრალდებულის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება წარმოების დასაწყისიდანვე იზღუდება (*Ramanauskas v. Lithuania* [GC], § 54).

145. შესაბამისად, სასამართლო იმის შეფასებისას, თუ რამდენად იყო დაცული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ფარული აგენტების გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმეზე, პირველ რიგში შეისწავლის ჰქონდა თუ არა ადგილი დანაშაულის წაქეზებას მისი მხილების განზრახვით („წაქეზების სუბსტანციური ტესტი“), და დაადგინოს, ჰქონდა თუ არა მომჩივანს ეროვნული სასამართლოების წინაშე საკუთარი თავის დასაცავად იმ არგუმენტის მოყვანა, რომ მან წაქეზებით (მახის დაგების გზით) ჩაიდინა დანაშაული (*Bannikova v. Russia*, §§ 37 and 51). თუ აგენტის ქმედებები, დამოუკიდებლად იმისა, იგი სახელმწიფოს, თუ კერძო პირის მიერ არის დაქირავებული სახელისუფლებო ორგანოსთვის დახმარების გაწევის მიზნით, წარმოადგენდა დანაშაულის წაქეზებას პირის მხილების მიზნით, და ასეთი გზით მოპოვებული მტკიცებულებები სისხლის სამართალწარმოების პროცესში მის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული, სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 6 §1 მუხლის დარღვევას (*Ramanauskas v. Lithuania* [GC], § 73).

ii. დანაშაულის წაქეზების სუბსტანციური ტესტი

146. სასამართლომ მხილების მიზნით დანაშაულის წაქეზებასა და ლეგიტიმურ ფარულ ოპერაციებს შორის გამიჯვნის მიზნით,² დანაშაულის წაქეზება განსაზღვრა როგორც სიტუაცია, როდესაც სამართალდამცავი ორგანოების, ან უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლები, ან მათი ინსტრუქციებით მოქმედი სხვა პირები, არ შემოიფარგლებიან მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულის პასიური გამოძიებით, არამედ მტკიცებულებების მოძიებისა და წარმოების დაწყების მიზნით ისეთ ზემოქმედებას ახდენენ სუბიექტზე, რომ იგი ხელს უწყობს ამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, რომელსაც იგი ასეთი წაქეზების გარეშე არ ჩაიდენდა (*Ramanauskas v. Lithuania* [GC], § 55).

147. იმის დადგენისას, იყო თუ არა გამოძიება „ძირითადად პასიური“ ხასიათის, სასამართლო ფარული ოპერაციის განმაპირობებელ მიზეზებს, და სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენლების ქცევას შეისწავლის. კერძოდ,

2. სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ტერმინები წაქეზება, მახის დაგება და აგენტების მიერ პროვიცირება ურთიერთჩანაცვლებადია.

სასამართლო ადგენს ობიექტური ეჭვის არსებობას იმის თაობაზე, რომ მომჩივანი დანაშაულებრივ საქმიანობაში იყო ჩართული, ან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის განზრახვა გააჩნდა (*Bannikova v. Russia*, § 38).

148. შეფასების პროცესში სასამართლო მთელ რიგ ფაქტორებს ითვალისწინებს. მაგალითად, შედარებით ადრეულ პრეცედენტულ საქმეში *Teixeira de Castro v. Portugal* სასამართლომ მთელ რიგ სხვა ფაქტორებთან ერთად ასევე ის გარემოება გაითვალისწინა, რომ მომჩივანს წინა ნასამართლეობა არ გააჩნდა, მის მიმართ სისხლის სამართლის გამოძიება არ ყოფილა წამოწყებული, ის, რომ პოლიციის ოფიცრებს მის შესახებ მანამდე ინფორმაცია არ გააჩნდათ, რომ მის სახლში არ იყო ნაპოვნი ნარკოტიკები, და რომ ნარკოტიკების ოდენობა, რაც მას დაკავებისას აღმოაჩნდა, არ აღემატებოდა ფარული აგენტების მიერ მოთხოვნილი ნარკოტიკების ოდენობას. სასამართლომ დაადგინა, რომ აგენტების ქმედებები გასცდა ფარული აგენტების მოქმედების უფლებამოსილების ფარგლებს, და არაფერი არ მიაჩნებდა იმაზე, რომ მათი ჩარევის გარეშე პირი ამ დანაშაულს ჩაიდენდა (§§ 37-38).

149. სისხლის სამართლის დანაშაულში წინა მსჯავრდების არსებობა თავისთავად არ მიუთითებს იმაზე, რომ პირი მიდრეკილია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისკენ (*Constantin and Stoian v. Romania*, § 55). მიუხედავად ამისა, ის რომ მომჩივანი ინფორმირებული იყო ნარკოტიკების არსებული ფასების შესახებ და შეეძლო მათი შოვნა დროის მოკლე პერიოდში, ერთობლიობაში იმ გარემოებასთან, რომ მან არ თქვა უარი გარიგებაზე მიუხედავად იმისა, რომ ამის საშუალება ჰქონდა, სასამართლოს აზრით იმის მიმანიშნებელია, რომ იგი მანამდე ჩართული იყო დანაშაულებრივ საქმიანობაში, ან დანაშაულის ჩადენის განზრახვა გააჩნდა (*Shannon v. the United Kingdom*(dec.)).

150. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც სასამართლო ითვალისწინებს შეფასებისას, არის ის, ჩაიდინა თუ არა დანაშაული მომჩივანმა ზეწოლის შედეგად. მაგალითად, მომჩივანთან საკუთარი ინიციატივით დაკავშირება, მაშინ როდესაც არ არსებობდა რაიმე დასაბუთებული ეჭვი იმისა, რომ მომჩივანი დანაშაულებრივ საქმიანობაში იყო ჩართული, ან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის განზრახვა ჰქონდა (*Burak Hun v. Turkey*, § 44), შეთავაზებით რამდენიმეჯერ მიმართვა მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა პირველ შეთავაზებაზე უარი განაცხადა (*Ramanauskas v. Lithuania* [GC], § 67), საშუალოზე უფრო მაღალი ფასის შეთავაზება (*Malininas v. Lithuania*, § 37) და მომჩივანში თანაგრძნობის გამოწვევა იმაზე საუბრით, რომ აბსტინენციის სინდრომი აქვს და იტანჯება (*Vanyan v. Russia*, §§ 11 და 49), სასამართლოს მიერ მიჩნეული იქნა ქმედებებად, რომლებიც მომჩივანზე ზეწოლის ტოლფასია, რის გამოც მან დანაშაული ჩაიდინა, დამოუკიდებლად იმისა, აგენტი უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი იყო, თუ კერძო პირი, რომელიც მისი ინსტრუქციებით მოქმედებდა.

151. გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, სახელმწიფო აგენტები „მიუერთდნენ“ ან „ჩაინერგნენ“ დანაშაულებრივ ჯგუფში, თუ დანაშაულებრივი ქმედებების ინიციატორები თავად იყვნენ. პირველ შემთხვევაში აგენტების ქმედებები მიჩნეული იქნება როგორც ფარული ოპერაციების განხორციელების

დასაშვებ ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები. საქმეზე *Miliniene v. Lithuania* სასამართლომ დაასკვნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ გავლენა იქონია მოვლენების მსვლელობაზე იმით, რომ კერძო პირს ტექნიკური აღჭურვილობა გადასცა საუბრების ჩასაწერად და ხელს უწყობდა მომჩივანისთვის ფინანსური შეთავაზების გაკეთებას, პოლიციის ქმედებები კვალიფიცირებული იქნან როგორც დანაშაულებრივ საქმიანობასთან „მიერთება“; და არა როგორც ამ საქმიანობის ინიცირება, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში ინიციატივა კერძო პირისგან მოდიოდა. ამ უკანასკნელმა იჩივლა პოლიციასთან, რომ მომჩივანი ქრთამს მოითხოვდა მისი საქმის მისთვის ხელსაყრელი შედეგით დასრულებისთვის, და მხოლოდ ამ კერძო პირის საჩივრის საფუძველზე გენერალური პროკურორის მოადგილემ ოპერაციის ჩატარების ნებართვა გასცა და იგი ასევე ოპერაციას ზედამხედველობდა საჩივართან დაკავშირებული ვითარების შესწავლის მიზნით ((§§ 37-38); იგივე მსჯელობაა მოცემული საქმესთან დაკავშირებით *Sequeira v. Portugal*(dec.); და *Eurofinacom v. France* (dec.)).

152. იმის დადგენისას, გახდა თუ არა მომჩივანი მხილების მიზნით დანაშაულში წაქეზების ობიექტი, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას ის, თუ როგორ იქნა წამოწყებული და განხორციელებული ფარული ოპერაცია. თუ გასაჩივრებული საგამომიებო ღონისძიების ჩატარების ნებართვის გაცემის, მისი განხორციელებისა და ზედამხედველობის პროცედურები არ არის ნათელი და განჭვრეტადი, უფრო მეტი ალბათობაა იმისა, რომ საგამომიებო ქმედებები მიჩნეული იქნას როგორც დანაშაულში წაქეზება (იხილეთ, მაგალითად *Teixeira de Castro v. Portugal*, სადაც სასამართლომ აღნიშნა ის გარემოება, რომ ფარული აგენტების ჩარევა არ წარმოადგენდა ნარკოდანაშაულთან ბრძოლის ოფიციალური ოპერაციის ნაწილს, რომელიც მოსამართლის ზედამხედველობით ხორციელდება (§ 38); *Ramanauskas v. Lithuania* [GC], სადაც არ იყო რაიმე მინიშნება იმაზე, თუ რა მიზეზებმა, ან პირადმა მოტივმა განაპირობა ის, რომ ფარული აგენტი თავისი ინიციატივით მივიდა მომჩივანთან ისე, რომ მისი ზემდგომი პირები ამის შესახებ არ იყვნენ ინფორმირებული (§ 64); და *Vanyan v. Russia*, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის ოპერაციის ჩატარების ნებართვა იმ ორგანოს მარტივი ადმინისტრაციული ბრძანების ფორმით გაიცა, რომელმაც შემდგომ ეს ოპერაცია ჩაატარა, და რომ ეს ადმინისტრაციული ბრძანება ძალიან მწირ ინფორმაციას შეიცავდა დაგეგმილი საკონტროლო შესყიდვის მიზნის თაობაზე, და რომ ოპერაცია სასამართლო, ან რაიმე სხვა დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს კონტროლის გარეშე ჩატარდა (§§ 46-47). რუსეთის სახელისუფლებო ორგანოს მიერ გამოყენებული „საკონტროლო შესყიდვის“ ტექნიკა იყო დეტალური შესწავლის საგანი საქმეში *Veslov and Others v. Russia*, რომელთან დაკავშირებითაც სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემული პროცედურა ხარვეზიანი იყო, და რომ მომჩივანები პოლიციის მხრიდან თვითნებურ ქმედებებს დაექვემდებარნენ, რამაც მათ წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობა შელახა. გარდა ამისა, სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ შეისწავლეს სათანადოდ მომჩივანების მიერ საკუთარი თავის დასაცავად წამოყენებული არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მათი მხილების მიზნით დანაშაულის წაქეზებას ჰქონდა ადგილი;

გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლოებმა არ შეისწავლეს საკონტროლო შესყიდვის მიზეზები და პოლიციისა და მისი ინფორმატორების ქცევა მომჩივანებთან მიმართებაში (§ 127).

iii. დანაშაულის წაქეზების თაობაზე დაცვის არგუმენტის სასამართლოს მიერ შესწავლა

153. მხილების მიზნით დანაშაულის წაქეზება შეიძლება მიჩნეული იქნას მე-6 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანს სასამართლო განხილვის პროცესში საშუალება ჰქონდა განეცხადებინა შეპასუხების, ან სხვა ფორმით, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულის წაქეზებას, და მოცემული საკითხი სასამართლოს მიერ იქნა შესწავლილი. მხოლოდ ისეთი ზოგადი გარანტიების არსებობა, როგორცაა მხარეთა თანასწორობა, ან დაცვის უფლებების პატივისცემა, არ არის საკმარისი (*Ramanauskas v. Lithuania* [GC], § 69). ასეთ შემთხვევებში სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდების ვალდებულებაა დაამტკიცოს, რომ წაქეზებას ადგილი არ ჰქონია, იმ პირობით, რომ მოპასუხის მტკიცება არ არის სრულიად არასარწმუნო.

154. როდესაც ბრალდებული საკუთარი თავის დაცვის მიზნით არგუმენტად ასახელებს, რომ დანაშაულის წაქეზებას ჰქონდა ადგილი, და არსებობს გარკვეული prima facie მტკიცებულებები, რომლებიც ამას ადასტურებს, სასამართლომ უნდა შეისწავლოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისი ზომები გაატაროს სიმართლის დადგენის მიზნით. თუ დადასტურდა, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულის წაქეზებას, დასკვნები კონვენციის მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა გაკეთდეს (*იქვე*, § 70). ის გარემოება, რომ მომჩივანმა აღიარა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, არ ათავისუფლებს სასამართლოს დანაშაულის წაქეზების შესახებ განცხადების შესწავლის ვალდებულებისგან (*იქვე*, § 72).

155. ამასთან დაკავშირებით სასამართლო პირველ რიგში შეისწავლის prima facie საჩივარი მხილების მიზნით დანაშაულის წაქეზების თაობაზე წარმოადგენს თუ არა არსებით არგუმენტს ბრალდებულის დასაცავად ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ან წარმოადგენს თუ არა მოცემული არგუმენტი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის საფუძველს (*Bannikova v. Russia*, § 54). მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ხელისუფლების პრეროგატივაა იმის გადაწყვეტა, თუ რა სახის პროცედურა უნდა არსებობდეს იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებული დანაშაულის წაქეზებასთან დაკავშირებულ საჩივარს წარადგენს, სასამართლო მოითხოვს რომ მოცემული პროცედურა იყოს შეჯიბრებითი, საფუძვლიანი, ნათელი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას უზრუნველყოფდეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით (*იქვე*, § 57). გარდა ამისა, საგამომიებო ორგანოების მიერ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის კონტექსტში სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითი პროცესის პრინციპების დაცვას (*იქვე*, § 58).

156. როდესაც ბრალდებული ამტკიცებს, რომ მან წაქეზებით (მახის დაგებით) ჩაიდინა დანაშაული, სასამართლოებმა საქმის მასალები გულდასმით უნდა

შეისწავლონ, რადგანაც იმისთვის, რომ სასამართლო პროცესი სამართლიანად იქნას მიჩნეული კონვენციის მუხლი 6 § 1-ის მნიშვნელობით, ყველა მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებული იქნა პოლიციის მიერ დანაშაულის წაქეზების გზით ამორიცხული უნდა იქნას. ეს განსაკუთრებით შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც პოლიციის ოპერაცია სათანადო საკანონმდებლო ჩარჩოს ან ეფექტური დამცავი მექანიზმების უქონლობის პირობებში ჩატარდა (*Ramanauskas v. Lithuania* [GC], § 60).

157. თუ სასამართლოს ხელთ არსებული ინფორმაცია არ აძლევს მას იმის დადგენის საშუალებას, დაექვემდებარა თუ არა მომჩივანი წაქეზებას, სასამართლომ დაადგინა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა წაქეზების ფაქტის სასამართლოს მიერ შესწავლა (*Edwards and Lewis v. the United Kingdom* [GC], § 46; *Ali v. Romania*, § 101; ასევე იხილეთ, *Khudobin v. Russia*, სადაც ეროვნულმა სასამართლოებმა არ შეისწავლეს შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი ელემენტები, რათა განესხვავებინათ დანაშაულის წაქეზება კანონიერი საგამომიებო მოქმედებებისგან; *V. v. Finland*, სადაც მომჩივანს არ შეეძლო საკუთარი თავის დასაცავად ემტკიცებინა, რომ დანაშაულის წაქეზებას ჰქონდა ადგილი; და *Shannon v. the United Kingdom*, სადაც კერძო პირის მიერ გამოყენებული მახის დადების მეთოდი ეროვნული სასამართლოების მხრიდან დეტალურ შესწავლას დაექვემდებარა, და საბოლოოდ მიჩნეული იქნა, რომ ბრალდებულის მტკიცება უსაფუძვლო იყო).

f. სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიებზე უარის თქმა

158. კონვენციის მე-6 მუხლის არც ტექსტი, და არ მისი სულისკვეთება არ უკრძალავს პირს საკუთარი ნებით ცალსახად, ან ჩუმი თანხმობის გზით უარი განაცხადოს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებაზე. მიუხედავად ამისა გასათვალისწინებელია, რომ იმისთვის, რომ ასეთი უარი კონვენციის მიზნებთან შესაბამისად ჩაითვალოს, ასეთი უარი არ უნდა იძლეოდეს ეჭვის შეტანის საშუალებას, და ამ ვითარების თანაზომიერი დაცვის გარანტიები უნდა არსებობდეს. გარდა ამისა, იგი არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში რაიმე მნიშვნელოვან საჯარო ინტერესთან (იხილეთ *Hermi v. Italy* [GC], § 73; *Sejdovic v. Italy* [GC], § 86).

159. მანამდე, სანამ ცალსახად იმის მტკიცება იქნება შესაძლებელი, რომ ბრალდებულმა თავისი ქცევით, ან ჩუმი თანხმობით უარი განაცხადა კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული მნიშვნელოვანი უფლებით სარგებლობაზე, უნდა დამტკიცდეს, რომ მას შეეძლო მისი ქცევის შედეგების განჭვრეტა (*Hermi v. Italy* [GC], § 74; *Sejdovic v. Italy* [GC], § 87).

2. საჯარო სასამართლო განხილვა

მუხლი 6 § 1

“ ... პირის მიმართ წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს“.

a. საჯაროობის პრინციპი

160. სასამართლო პროცესის საჯაროობა იცავს დავის მხარეებს მართლმსაჯულების ფარული აღსრულებისგან ისე, რომ მასზე საზოგადოების კონტროლი არ არსებობდეს. გარდა ამისა, ეს სასამართლოებისადმი ნდობის ხელშეწყობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. მართლმსაჯულების საჯაროობის უზრუნველყოფა ხელს უწყობს 6 § 1 მუხლით დასახული მიზნის მიღწევას, კერძოდ კი სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების რეალიზაციას, რაც ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს (*Sutter v. Switzerland*, § 26; *Riepan v. Austria*, § 27; *Krestovskiy v. Russia*, § 24).

161. საჯარო სასამართლო განხილვის პრინციპი ორ ასპექტს მოიცავს: ღია სასამართლო განხილვა და გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადება (*Tierce and Others v. San Marino*, § 93; *Sutter v. Switzerland*, § 27).

b. ზეპირი სასამართლო განხილვისა და სასამართლო პროცესზე დასწრების უფლება

162. 6 § 1 მუხლით გათვალისწინებული „საჯარო სასამართლო განხილვა“ გულისხმობს „ზეპირი სასამართლო განხილვის“ უფლებას (*Döry v. Sweden*, § 37).

163. ზეპირი და საჯარო სასამართლო განხილვის პრინციპი უაღრესად მნიშვნელოვანია სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში, და პირს, რომელსაც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი, სასამართლოზე დასწრება უნდა შეეძლოს (*Tierce and Others v. San Marino*, § 94; *Jussila v. Finland* [GC], § 40).

164. თუ პირი თავად არ ესწრება სასამართლო პროცესს, რთულია იმის მტკიცება, რომ პირს შეუძლია ისარგებლოს მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის (c), (d) და (e) ქვეპარაგრაფებით გათვალისწინებული უფლებებით, კერძოდ კი შემდეგი

უფლებებით: „დაიცვას საკუთარი თავი პირადად“, „დაკითხოს, ან დააკითხინოს“, და „ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე“. შესაბამისად, სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირის სასამართლო პროცესზე დასწრების უფლება კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვალდებულებაა (*Hermi v. Italy*[GC], §§ 58-59; *Sejdovic v. Italy*[GC], §§ 81 and 84).

165. მიუხედავად იმისა, რომ თუ სასამართლო განხილვა ბრალდებულის დაუსწრებლად თავისთავად არ არის შეუთავსებელი მე-6 მუხლის მოთხოვნებთან, თუ პირის მსჯავრდება დაუსწრებლად მოხდა, და შემდგომში იგი ვერ იღებს სასამართლოსგან ახალ დადგენილებას ბრალდების არსებით მხარესთან დაკავშირებით როგორ ფაქტობრივ, ასევე სამართლის საკითხებზე, და იმ შემთხვევებში, როდესაც არ იქნა დადგენილი, რომ მან უარი თქვა თავის უფლებაზე დასწრებოდა სასამართლოს და თავი დაეცვა, ან აპირებდა მართლმსაჯულებისგან მიმალვას, მიჩნეული იქნება, რომ მას უარი ეთქვა სამართლიან სასამართლო განხილვაზე (*Sejdovic v. Italy*[GC], § 82).

166. აღსანიშნავია, რომ მე-6 მუხლის სისხლის სამართლის მხარის მოთხოვნების გათვალისწინებით, სასამართლო განხილვის მოწყობის ვალდებულება არ არის ყველა შემთხვევაში აბსოლუტური. იმის გათვალისწინებით, რომ „სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდების“ ცნება ასევე ვრცელდება იმ დანაშაულებზე, რომლებიც ტრადიციული სისხლის სამართლით ასეთად არ მოიაზრება (მაგ. ადმინისტრაციული სახდელები, საბაჟო კანონმდებლობა და ზედმეტობით დაკისრებული საგადასახადო ვალდებულებები), „სისხლის სამართლის ბრალდება“ შეიძლება სხვადასხვა წონის იყოს. მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის მიმე დანაშაულის შემთხვევაში სამართლიანი სასამართლო განხილვასთან მიმართებაში მკაცრი მოთხოვნები არსებობს, მე-6 მუხლის სისხლის სამართლის ასპექტით გათვალისწინებული გარანტიები შეიძლება ამდენად მკაცრად არ ვრცელდებოდეს დანაშაულის სხვა კატეგორიებზე, რომლებიც ამ მუხლის სისხლის სამართლის ასპექტის ფარგლებში ხვდება, და ამ დანაშაულებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სტიგმა არ არსებობს (*Jussila v. Finland* [GC], §§ 41-43).

167. იმ გარემოებებსა და დანაშაულის ხასიათზე მსჯელობისას, რომლის შემთხვევაშიც შეიძლება გამართლებული იყოს ზეპირი განხილვის ჩაუტარებლობა, ძირითადად განხილული უნდა იქნას ის, თუ რამდენად იყო დაკავშირებული საქმე ისეთ ფაქტობრივ, ან სამართლებრივ გარემოებებთან, რომლებზეც გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ საქმის მასალებზე დაყრდნობით შეუძლებელი იქნებოდა. ზეპირი მოსმენა შეიძლება არ იყოს საჭირო, როდესაც მტკიცებულებები სარწმუნოა, ან ფაქტები არ არის სადაო და ამასთან დაკავშირებით არ არის საჭირო მტკიცებულებების ზეპირი წარდგენა ან მოწმეების ჯვარედინი დაკითხვა, და როდესაც ბრალდებულს საშუალება ჰქონდა წერილობით ფორმაში წარედგინა თავისი მოსაზრებები მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებების გასაქარწყლებლად (*Jussila v. Finland* [GC], §§ 41-42, 47-48). ასეთ შემთხვევაში მართლზომიერია, რომ ეროვნული ხელისუფლება

ეფექტიანობისა და ეკონომიის საჭიროებებს ითვალისწინებდეს (*Jussila v. Finland* [GC], §§ 41-43, 47-48, დამატებითი გადასახადების დაკისრებასთან დაკავშირებული წარმოება; და *Suhadolc v. Slovenia*(dec.), ავტოსაგზაო დანაშაულებთან დაკავშირებული გამარტივებული წარმოება).

c. სასარჩელო წარმოება

168. მოპასუხის პირადი დასწრება პროცესზე არ არის იმდენად გადამწყვეტი მნიშვნელობის სასარჩელო წარმოებისას, როგორც პირველი ინსტანციის მიერ საქმის განხილვისას. ის, თუ როგორ გავრცელდება მე-6 მუხლი სასარჩელო წარმოებაზე, დამოკიდებულია თავად ამ წარმოების სპეციფიკურ მახასიათებლებზე, და გათვალისწინებული უნდა იქნას ეროვნული სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებული სამართალწარმოების სისტემა მის მთლიანობაში, და ასევე სააპელაციო სასამართლოს როლი ამ სისტემაში (*Hermi v. Italy*[GC], § 60).

169. სააპელაციო წარმოება და წარმოება, რომელიც მხოლოდ სამართლის საკითხებს შეეხება, და არა ფაქტობრივ საკითხებს, შეიძლება შეესაბამებოდეს მე-6 მუხლის მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, რომ აპელანტს არ მიეცა სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს წინაშე პირადად გამოსვლა, იმ პირობით, რომ პირველი ინსტანციის დონეზე საჯარო განხილვა გაიმართა (იხილეთ *Monnell and Morris v. the United Kingdom*, § 58, სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით, და *Sutter v. Switzerland*, § 30, საკასაციო სასამართლოსთან დაკავშირებით).

170. იმ შემთხვევებშიც, როდესაც სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციაში შედის როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებების, ასევე სამართლის საკითხების გადასინჯვა, მე-6 მუხლი ყოველთვის არ მოითხოვს საჯარო სასამართლო განხილვის, ან სასამართლოს პროცესზე დასწრების უფლების დაცვას (*Fejde v. Sweden*, § 31). მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნას კონკრეტული სამართალწარმოების სპეციფიკური მახასიათებლები, და ის, თუ რანაირად იყო წარმოდგენილი და დაცული მომჩივანის ინტერესები სააპელაციო სასამართლოში, განსაკუთრებით იმ საკითხების ხასიათის გათვალისწინებით, რომლებთან დაკავშირებითაც სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა მიეღო (*Seliwiak v. Poland*, § 54; *Sibgatullin v. Russia*, § 36).

171. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ როდესაც სააპელაციო სასამართლო საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლის საკითხებს შეისწავლის, და პირის ბრალეულობის თუ უდანაშაულობის სრულ შეფასებას ახორციელებს, სასამართლო იმის დადგენისას, ჩაიდინა თუ არა პირმა ის სისხლის სამართლის დანაშაული, რომელშიც მას ბრალი ედება, ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას პირადად ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენებების პირდაპირი შეფასების გარეშე (*Popovici v. Moldova*, § 68; *Lacadena Calero v. Spain*, § 38). საჯარო სასამართლო განხილვის პრინციპი გულისხმობს, რომ ბრალდებულმა სააპელაციო სასამართლოს პირადად უნდა მისცეს ჩვენება. მოცემული თვალსაზრისით,

საჯაროობის პრინციპი ბრალდებულის დაცვის უფლებების გარანტიას წარმოადგენს (*Tierce and Others v. San Marino*, § 95).

d. გამონაკლისები საჯაროობის წესიდან

172. საჯარო სასამართლო განხილვის მოთხოვნიდან გარკვეული გამონაკლისებია დაშვებული. ეს ნათელია თავად 6 § 1 მუხლის ტექსტიდან, რომელიც შეიცავს დათქმას, რომლის შესაბამისადაც „...მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნოება ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს“. მთლიანად, ან ნაწილობრივ დახურული სასამართლო პროცესის აუცილებლობა საქმის გარემოებებით უნდა იყოს განპირობებული (*Welke and Biatek v. Poland*, § 74; *Martinie v. France* [GC], § 40).

173. იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან მეტი ზემოთხსენებული გამონაკლისების დაშვებაა საჭირო, ხელისუფლება არ არის ვალდებული, თუმცა უფლებამოსილია დაადგნოს დახურული სასამართლო განხილვის ჩატარება, თუ იგი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს (*Toeva v. Bulgaria*(dec.)).

174. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესთან დაკავშირებით მისი საჯაროობის მაღალი მოლოდინი არსებობს, გარკვეულ შემთხვევებში მუხლი 6 უშვებს, რომ ღია და საჯარო განხილვის უფლება უნდა შეიზღუდოს, რათა მოწმეების უსაფრთხოება ან პირადი ცხოვრება იყოს დაცული, ან მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე საჭიროა ინფორმაციისა და მოსაზრებების თავისუფალი გაცვლის ხელშეწყობა (*B. and P. v. the United Kingdom*, § 37).

175. სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით მთელ რიგ შემთხვევებში უსაფრთხოების პრობლემა წარმოიშვება, მაგრამ ისეთი საქმეები, როდესაც მხოლოდ უსაფრთხოების მოსაზრებებითაა გამართლებული საზოგადოებისთვის სასამართლო პროცესის დახურვა, უაღრესად იშვიათია (*Riepan v. Austria*, § 34). უსაფრთხოების ზომები არსებული საჭიროებების მკაცრად თანაზომიერი უნდა იყოს. სასამართლო ხელისუფლებამ ყველა შესაძლებელი ალტერნატივა უნდა განიხილოს სასამართლო დარბაზში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით და უპირატესობა მიანიჭოს ნაკლებად მკაცრ ზომებს, თუ მათი გამოყენებით იგივე მიზნის მიღწევაა შესაძლებელი (*Krestovskiy v. Russia*, § 29).

176. საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და უსაფრთხოების პრობლემებით შეიძლება გამართლებული იყოს საზოგადოებისთვის მსჯავრდებული პირების მიმართ დისციპლინური წარმოება (*Campbell and Fell v. the United Kingdom*, § 87).

177. სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სასამართლო განხილვის ციხეში მოწყობა აუცილებლად არ ნიშნავს, რომ ეს პროცესი არ არის საჯარო. მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ იმისთვის, რომ სასამართლო დარბაზის

ფარგლებს გარეთ სასამართლო სხდომის გამართვასთან დაკავშირებული დაბრკოლებების დასაძლევად სახელმწიფო ვალდებულია საკომპენსაციო ზომები გაატაროს, რათა უზრუნველყოს, რომ საზოგადოება და მედია სათანადოდ არიან ინფორმირებული სასამართლო განხილვის ადგილის თაობაზე და სასამართლო პროცესზე დასწრება შეუძლიათ (*Riepan v. Austria*, §§ 28-29).

178. საქმის მასალებში გასაიდუმლოებული ინფორმაციის არსებობა ავტომატურად არ ნიშნავს, რომ საჭიროა დახურული სასამართლო განხილვის გამართვა, ისე, რომ საჯაროობის აუცილებლობა არ იქნას შეჯერებული ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან. სისხლის სამართალწარმოების პროცესის საზოგადოებისთვის დახურვამდე სასამართლომ უნდა შეისწავლოს და დაადგინოს, რომ დახურული პროცესის საჭიროება განპირობებულია სახელმწიფო ინტერესებით, და იმავდროულად უზრუნველყოს, რომ საიდუმლოების დაცვით განპირობებული შეზღუდვები ამ ინტერესების დაცვის აუცილებლობის მკაცრად თანაზომიერია (*Belashev v. Russia*, § 83; *Welke and Biatek v. Poland*, § 77).

e. გადაწყვეტილებების საჯაროდ გამოცხადება

179. სასამართლომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად განესაზღვრა სიტყვების „საჯაროდ გამოცხადების“ ზუსტი ინტერპრეტაცია (*Sutter v. Switzerland*, § 33; *Campbell and Fell v. the United Kingdom*, § 91).

180. მიუხედავად მუხლის ტექსტისა, რომლიდანაც გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი მოითხოვს გადაწყვეტილების წაკითხვას ღია სასამართლო სხდომაზე, გადაწყვეტილების სხვა გზებით გასაჯაროება ასევე შეიძლება მუხლი 6 § 1-ის მოთხოვნებთან შესაბამისად იქნას მიჩნეული. როგორც წესი, მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული „გადაწყვეტილების“ გასაჯაროების წესები უნდა შეფასდეს წარმოების სპეციფიკური მახასიათებლების და მოცემულ კონტექსტში მუხლი 6 § 1-ით დასახული მიზნის, კერძოდ კი, სასამართლოზე საზოგადოების კონტროლის დამყარების მოთხოვნის გათვალისწინებით, რომლის მიზანია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დაცვა. ზემოთხსენებული შეფასების ჩატარებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მთლიანი სამართალწარმოების პროცესი (*Welke and Biatek v. Poland*, § 83, როდესაც დახურული სასამართლო პროცესის პირობებში გადაწყვეტილებების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის გასაჯაროება განხორციელდა, რაც არ იქნა მიჩნეული მე-6 მუხლის დარღვევად).

181. საზოგადოებისგან სასამართლო გადაწყვეტილების მთლიანად დამალვა ვერ იქნება მიჩნეული გამართლებულად. უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ლეგიტიმური მიზნები შეიძლება სხვადასხვა ტექნიკების გამოყენებით იქნას მიღწეული, მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილების იმ ნაწილების გასაიდუმლოება, რომელთა გამჟღავნება ზიანს მიაყენებდა ეროვნული უშიშროების ინტერესებს, ან სხვების უსაფრთხოებას (*Raza v. Bulgaria*, § 53; *Fazliyski v. Bulgaria*, §§ 67-68).

3. გონივრული ვადა

მუხლი 6 § 1

“... ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის ... განხილვის უფლება ...”

a. სამართალწარმოების ხანგრძლივობის განსაზღვრა

182. სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებაში მუხლი 6 § 1, რომელიც ადგენს, რომ ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის განხილვის უფლება, მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრალდებულ პირებს არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრალდებულის სტატუსში ყოფნა, და რომ მისი ბარლეულობის საკითხზე გადაწყვეტილება იქნას მიღებული (*Wemhoff v Germany*, § 18; *Kart v. Turkey*[GC], § 68).

i. ვადის დინების დაწყების პერიოდის გათვალისწინება

183. მოცემული პერიოდის ათვლა იმ მომენტიდან იწყება, როდესაც პირს ბრალი წაეყენა (*Neumeister v. Austria*, § 18).

184. „გონივრული ვადის“ ათვლა შეიძლება დაიწყოს მანამდე, სანამ საქმე განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაეცემა (*Deweert v. Belgium*, § 42), მაგალითად, დაკავების მომენტიდან (*Wemhoff v. Germany*, § 19), იმ ვადიდან, როდესაც პირს ბრალი წაეყენა (*Neumeister v. Austria*, § 18), ან წინასწარი გამოძიების დაწყების თარიღიდან (*Ringeisen v. Austria*, § 110).

185. მუხლი 6 § 1-ის მიზნებში ტერმინი „ბრალდება“ განიმარტება შემდეგნაირად: „სახელმწიფო ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მხრიდან პირისათვის ოფიციალური შეტყობინება, რომ მის მიერ ჩადენილია სისხლის სამართლით დასჯადი დარღვევა“ (*Deweert v. Belgium*, § 46), ანუ, მოცემული დეფინიცია ასევე შეესაბამება ტექსტს, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს, მოახდინა თუ არა ვითარებამ „მნიშვნელოვანი ზეგავლენა“ ექვმიტანილზე (*Deweert v. Belgium*, § 46; *Neumeister v. Austria*, § 13; *Eckle v. Germany*, § 73; *McFarlane v. Ireland*[GC], § 143).

ii. ვადის დასასრული

186. სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებაში სასამართლომ დაადგინა, რომ ვადა, რომელიც მე-6 მუხლითაა გათვალისწინებული, სამართალწარმოების მთელ პერიოდს (*König v. Germany*, § 98), მათ შორის გასაჩივრების წარმოებასაც გულისხმობს (*Delcourt v. Belgium*, §§ 25-26; *König v. Germany*, § 98; *V. v. the United Kingdom*[GC], § 109). გარდა ამისა, მუხლი 6 § 1-ი წარმოების დასრულების პერიოდად ასახელებს წაყენებულ ბრალთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების ვადას; ეს შეიძლება იყოს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც, როდესაც სააპელაციო სასამართლო ბრალეულობასთან დაკავშირებით იღებს გადაწყვეტილებას (*Neumeister v. Austria*, § 19).

187. პერიოდი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას, არის პირის მიმართ გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის მიღება, მაშინაც კი, თუ გადაწყვეტილება მიღებულია აპელაციის წარდგენის შემდეგ. ამგვარად, არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც საქმის განხილვის გაჭიანურებისგან დაცვის გარანტიების გავრცელება საქმის პირველი მოსმენის მომენტისთვის უნდა დასრულდეს: ასევე თავიდან უნდა იქნას აცილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის გაუმართლებელი გაჭიანურება ან განხილვის გადადება (*Wemhoff v. Germany*, § 18).

188. მსჯავრდების შემთხვევაში არ ხდება „სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევა“ მუხლი 6 § 1-ის მნიშვნელობით, რადგანაც განაჩენი არ არის საბოლოო (*Eckle v. Germany*, § 77; *Ringeisen v. Austria*, § 110; *V. v. the United Kingdom*[GC], § 109).

189. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება აღქმულ უნდა იქნეს როგორც სასამართლო განხილვის განუყოფელი ნაწილი მე-6 მუხლის მიზნებისთვის (*Assanidze v. Georgia*[GC], § 181). თუმცა კონვენციის მე-6 მუხლით მინიჭებული გარანტიები ილუზორული იქნებოდა, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული სისტემა მისცემდა იმის შესაძლებლობას, რომ სასამართლოს გამამართლებელი გადაწყვეტილება დარჩენილიყო აღუსრულებელი გამართლებული პირის საზიანოდ. სისხლის სამართალწარმოება შეადგენს ერთ მთლიან ნაწილს და მე-6 მუხლით გარანტირებული დაცვა არ წყვეტს მოქმედებას პირველ ინსტანციაში მიღებული გამამართლებელი გადაწყვეტილების შემდგომ (*იქვე*, § 182). იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ხელისუფლების ადმინისტრაციულ ორგანოები უარს იტყოდნენ ან არ აღასრულებდნენ მომჩივნის გამამართლებელ გადაწყვეტილებას, ან თუნდაც გადაავადებდნენ აღსრულებას, მე-6 მუხლით დადგენილი გარანტიები, რომლებითაც მომჩივანი სარგებლობდა სასამართლო სამართალწარმოების ეტაპზე, ნაწილობრივ ილუზორული იქნებოდა (*იქვე*, § 183).

b. გონივრული ვადის შეფასება

i. პრინციპები

190. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (*Boddaert v. Belgium*, § 36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (*Dobbetin v. France*, § 44).

191. მე-6 მუხლი მოითხოვს, რომ სასამართლო განხილვა დროული იყოს, მაგრამ იგი ასევე განსაზღვრავს მართლმსაჯულების სათანადო ადმინისტრირების უფრო ზოგად პრინციპებსაც. სამართლიანი ბალანსი უნდა იქნას მიღწეული ამ ძირითადი მოთხოვნის სხვადასხვა ასპექტებს შორის (*Boddaert v. Belgium*, § 39).

ii. კრიტერიუმები

192. სასამართლო იმის დადგენისას, თუ რამდენად გონივრულ ვადაში მოხდა საქმის განხილვა, ისეთ ფაქტორებს ითვალისწინებს, როგორცაა საქმის სირთულე, მომჩივანის ქცევა და შესაბამისი ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების მოქმედებები (*König v. Germany*, § 99; *Neumeister v. Austria*, § 21; *Ringeisen v. Austria*, § 110; ასევე იხილეთ *Pélissier and Sassi v. France* [GC], § 67; and *Pedersen and Baadsgaard v. Denmark*, § 45).

193. საქმის სირთულე შეიძლება განპირობებული იყოს მაგალითად, რამდენიმე ბრალდებით, საქმის განხილვაში მონაწილე პირების, ანუ მოპასუხეებისა და მოწმეების რაოდენობით, ან საქმის საერთაშორისო ხასიათით (*Neumeister v. Austria*, § 20: მოცემულ საქმეში ტრანსაქციები რამდენიმე ქვეყანასთან იყო დაკავშირებული, და მოითხოვდა ინტერპოლის დახმარებას და სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულებების ამოქმედებას; საქმე შეეხებოდა 22 ადამიანს, საიდანაც რამდენიმე საზღვარგარეთ ცხოვრობდა). საქმე შეიძლება უაღრესად რთული ხასიათის იყოს, როდესაც ეკონომიკური დანაშაულის შესახებ ეჭვი არსებობს, მაგალითად, მასშტაბური თაღლითობა, რომელიც რამდენიმე კომპანიას მოიცავდა და რთულ ტრანსაქციებს შეეხებოდა, რომელთა მიზანი იყო საგამომიებო ორგანოების მხრიდან საქმიანობის შესწავლისგან თავის არიდება, და მოცემული საქმის შესწავლა საბუღალტრო და ფინანსური ექსპერტიზის დიდი მოცულობით გამოყენებას საჭიროებდა (*C.P. and Others v. France*, § 30).

194. მიუხედავად იმისა, რომ საქმე შეიძლება რთული ხასიათის იყოს, სასამართლო ვერ მიიჩნევს სათანადო მიზეზის გარეშე უმოქმედობის ხანგრძლივი პერიოდების არსებობას „გონივრულად“ (*Adiletta v. Italy*, § 17: მოცემულ შემთხვევაში წარმოების მთლიანი ხანგრძლივობა წარმოადგენდა 13 წელს და 5 თვეს, ხუთწლიანი დაყოვნების ჩათვლით, საქმის გამომძიებელი მოსამართლისთვის გადაცემიდან და ბრალდებულის და მოწმეების დაკითხვამდე; და 1 წელი და 9 თვე დაყოვნება იმ ვადიდან, როდესაც საქმე გამომძიებელ მოსამართლეს დაუბრუნდა, და სანამ მომჩივანების საქმე ხელახლა იქნა განხილული).

195. მომჩივანის ქცევა. მე-6 მუხლი არ მოითხოვს, რომ მომჩივანმა აქტიურად ითანამშრომლოს სასამართლო ხელისუფლებასთან. გარდა ამისა, მომჩივანს ვერ გაამტყუნებ იმის გამო, რომ იგი ცდილობს შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალებით ისარგებლოს. მიუხედავად ამისა, მომჩივანების ქცევა წარმოადგენს ობიექტურ ფაქტს, რომელიც ვერ მიეწერება მოპასუხე სახელმწიფოს და რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას იმის დადგენისას, წარმოების ხანგრძლივობა აღემატებოდა თუ არა გონივრულ ვადას (*Eckle v. Germany*, § 82: მოცემულ საქმეში მომჩივანები გამუდმებით მიმართავდნენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც აყოვნებდა წარმოებას, მაგალითად, მოსამართლეების აცილება; ზოგი მათი ქმედება მართლმსაჯულების პროცესისთვის განზრახ ხელის შეშლის ტოლფასი იყო).

196. შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მომჩივანის ისეთი ქცევა, რომელიც აშკარად მეტყველებს მის განზრახვაზე გააჭიანუროს

სამართალწარმოება, რაც საქმის მასალებიდან ხდება ნათელი (*I.A. v. France*, § 121: მოცემულ შემთხვევაში მომჩივანი დაელოდა, სანამ მას შეატყობინეს, რომ მისი საქმე პროკურორს გადაეცა, რის შემდეგაც დამატებითი საგამომძიებო ღონისძიებების ჩატარება მოთხოვა).

197. მომჩივანს არ შეუძლია დააყრდნოს თავისი მოსაზრებები იმ პერიოდს, როდესაც იგი სხვა ქვეყანაში მიიძალა თავის ქვეყანაში პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მიზნით. როდესაც ბრალდებული იმ სახელმწიფოდან გარბის, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპს იცავს, ნავარაუდევია, რომ მას არა აქვს უფლება იჩივლოს წარმოების მიუღებელი ხანგრძლივობის გამო მას შემდეგ რაც იგი მიიძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას საკმარისი მიზეზების მოყვანა შეუძლია ამ პრეზუმფციის საწინააღმდეგოდ (*Vayıç v. Turkey*, § 44).

198. შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების ქცევა. მუხლი 6§ 1 ხელშემკვრელ მხარე სახელმწიფოებს ვალდებულებას აკისრებს ისეთი სახით უზრუნველყონ სასამართლო სისტემის ორგანიზება, რომ სასამართლოებმა ამ მუხლით დაკისრებული ყველა მოთხოვნების სათანადოდ შესრულება შეძლონ (*Abdoella v. the Netherlands*, § 24; *Dobbertin v. France*, § 44).

199. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოების დროებითი გადატვირთულობა, რაც განსახილველად დაგროვილი საქმეების რაოდენობითაა განპირობებული, არ წარმოადგენს წევრი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დაყენების საფუძველს იმ პირობით, რომ ამ გამონაკლისი სიტუაციის გამოსასწორებლად შესაბამისი ზომები დროულად ტარდება (*Milasi v. Italy*, § 18; *Baggetta v. Italy*, § 23), ხელისუფლების მიერ არგუმენტად სასამართლოს გადატვირთულობის დასახელებას და ამ ვითარების გამოსწორებაზე მიმართული სხვადასხვა ზომების გატარებას სასამართლო იშვიათად მიიჩნევს გადამწყვეტი მნიშვნელობის, ან წონიან არგუმენტად (*Eckle v. Germany*, § 92).

200. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ის, თუ რა დევს სასწორზე მომჩივანისთვის. მაგალითად, როდესაც პირი წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, მოცემული ფაქტორი გათვალისწინებული უნდა იქნას იმის შეფასებისას, თუ რამდენად დროულად განისაზღვრა მისი ბრალი (*Abdoella v. the Netherlands*, § 24: მოცემულ საქმეში უზენაესი სასამართლოსთვის საქმის დოკუმენტების გადაცემას ერთ შემთხვევაში 21 თვე დასჭირდა, ხოლო მეორე შემთხვევაში კი 25 თვე. სასამართლომ მიიჩნია, რომ უმოქმედობის ასეთი ხანგრძლივი პერიოდები მიუღებელია განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებული წინასწარ პატიმრობაშია).

c. რამდენიმე მაგალითი

i. გონივრული ვადის გადაჭარბება

- 9 წელი და 7 თვე, როდესაც საქმე არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული სირთულით, თუ არ გავითვალისწინებთ საქმეში მონაწილე პირების რაოდენობას (35), მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება უწყსრიგობების

შედეგად სასამართლოს გამონაკლისი გადატვირთულობის მხრივ არსებული ვითარების გამოსწორებას ცდილობდა (*Milasi v. Italy*, §§ 14-20).

- 13 წელი და 4 თვე, პოლიტიკური პრობლემები რეგიონში და სასამართლოს უაღრესი გადატვირთულობა, სახელმწიფომ მხოლოდ წლების შემდეგ წარმართა გარკვეული ძალისხმევა სასამართლოებში სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე (*Baggetta v. Italy*, §§ 20-25).
- 5 წელი, 5 თვე და 18 დღე გადაწყვეტილების მიღებიდან და პასუხისმგებელი მოსამართლის მიერ სრული ვერსიის წერილობით ფორმაში მომზადებას შორის, რასთან დაკავშირებითაც არანაირი დისციპლინური ზომები არ გატარებულა (*B.v. Austria*, §§ 48-55).
- 5 წელი და 11 თვე, უკანონო განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო მითვისებასთან დაკავშირებული რთული საქმე, რომელთანაც დაკავშირებით დიდი რაოდენობის ადამიანების დაკითხვა იყო საჭირო, და შესასწავლი დოკუმენტები უაღრესად ტექნიკური ხასიათის იყო, თუმცა ამითი ვერ იქნება გამართლებული ის, რომ გამოძიებას 5 წელი და 2 თვე დასჭირდა; ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განხილვის პროცესის ხანგრძლივობა მისაღები იყო, ვერ იქნება მიჩნეული, რომ გამოძიება ეფექტურად და გულმოდგინედ ჩატარდა (*Rouille v. France*, § 29).
- 12 წელი, 7 თვე და 10 დღე, საქმე არ იყო ძალიან რთული ხასიათის, და მომჩივანი არ ცდილობდა წარმოების გაჭიანურებას, მაგრამ ადმინისტრაციულ სასამართლოში საჩივრის წარდგენასა და საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ პირველადი მოსაზრებების მიღებას შორის ორი წელი და 9 თვე გავიდა (*Clinique Mozart SARL v. France*, §§ 34-36).

ii. გონივრული ვადა არ იქნა გადაჭარბებული

- 5 წელი და 2 თვე, თაღლითობასა და თაღლითურ გაკოტრებასთან დაკავშირებული საქმეების სირთულე, გარდა ამისა, მომჩივანმა დიდი რაოდენობის შუამდგომლობები და საჩივრები წარადგინა არა მხოლოდ მის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, არამედ ასევე მოსამართლეების აცილებასთან დაკავშირებით, და მოითხოვდა საქმის განსახილველად სხვა იურისდიქციებისთვის გადაცემას (*Ringeisen v. Austria*, § 110).
- 7 წელი და 4 თვე: ის გარემოება, რომ 7 წელზე მეტი გავიდა ბრალის წაყენებიდან, ისე, რომ ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი ან გამამართლებელი გადაწყვეტილება არ ყოფილა გამოტანილი, ნამდვილად ხანგრძლივი ვადაა, რაც უმეტეს შემთხვევებში მიჩნეული იქნებოდა, როგორც გონივრული ვადის გადაჭარბება; გარდა ამისა, 15 თვის განმავლობაში მოსამართლეს არ დაუკითხავს რომელიმე თანაბრალდებული ან მოწმე, ან რაიმე სხვა მოქმედებები საქმესთან დაკავშირებით არ გაუტარებია; მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია, რომ საქმე უაღრესად რთული ხასიათის იყო (რამდენიმე ბრალდება, საქმესთან დაკავშირებული პირების დიდი რაოდენობა, საქმის საერთაშორისო ხასიათი, რის გამოც საჭირო იყო უცხო

ქვეყნიდან სამართლებრივი დახმარების მიღება და აღსრულების შესახებ თხოვნებით მიმართვა) (*Neumeister v. Austria*, § 21).

III. კონკრეტული გარანტიები

A. უდანაშაულობის პრეზუმფცია

მუხლი 6 § 2

“ ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად“.

1. მტკიცების ტვირთი

201. უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი მოითხოვს, რომ სასამართლოს წარმომადგენლებმა მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას არ უნდა იხელმძღვანელონ წინასწარ შექმნილი აზრით, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა ის დანაშაული, რომელშიც მას ბრალი ედება. მტკიცების ტვირთი ბრალდებას ეკისრება და ნებისმიერი ეჭვი მოპასუხის სასარგებლოდ უნდა იყოს. ბრალდება ვალდებულია შეატყობინოს ბრალდებულს, თუ რა სახის დანაშაულში ედება მას ბრალი, რათა მას თავისი დაცვის მომზადება შესაბამისად შეეძლოს, და პროკურატურამ უნდა წარადგინოს საკმარისი მტკიცებულებები იმისთვის, რომ პირის მსჯავრდება მოხდეს (*Barberà, Messegue and Jabardo v. Spain*, § 77; *Janosevic v. Sweden*, § 97). უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვევა, თუ მტკიცების ტვირთი ბრალდების ნაცვლად დაცვას დაეკისრება (*Telfner v. Austria*, § 15). მტკიცების ვერ იქნება შებრუნებული კომპენსაციასთან დაკავშირებული წარმოების შემთხვევაში, რომელიც წარმოების შეწყვეტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგაა წამოწყებული (*Capeau v. Belgium*, § 25).

202. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება არ გულისხმობს იმავე ფაქტებთან დაკავშირებით კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას მტკიცების ტვირთთან მიმართებაში ნაკლებად მკაცრი მოთხოვნების გამო (*Ringvold v. Norway*, § 38; *Y v. Norway*, § 41; *Lundkvist v. Sweden*(dec.)).

2. ფაქტობრივი და სამართლებრივი პრეზუმფცია

203. პირის უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, და უფლება მოითხოვოს, რომ ბრალდებას დაეკისროს მტკიცების ტვირთი და მოიყვანოს საკმარისი მტკიცებულებები მისი ბრალეულობის დასადგენად, არ არის აბსოლუტური უფლება, რადგანაც ფაქტების ან სამართლის საკითხებთან დაკავშირებული პრეზუმფცია ყველა სისხლის

სამართლის სისტემაში არსებობს და პრინციპში არ იკრძალება კონვენციით (*Falk v. the Netherlands*(dec.), საქმე შეეხებოდა დარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელისთვის ჯარიმის დაკისრებას, რომელიც არ მართავდა ამ სატრანსპორტო საშუალებას იმ დროს, როდესაც ავტოსაგზაო წესების დარღვევას ჰქონდა ადგილი). წევრმა სახელმწიფოებმა გარკვეულ პირობებში შეიძლება მარტივი ან ობიექტური ფაქტის საფუძველზე შეუფარდონ პირს სასჯელი, დამოუკიდებლად იმისა, ეს ფაქტი დანაშაულებრივი განზრახვის, თუ დაუდევრობის შედეგია (*Salabiaku v. France*, § 27, საქმე შეეხებოდა კონტრაბანდასთან დაკავშირებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ პრეზუმფციას, რაც გამომდინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ პირს ნარკოტიკები აღმოაჩნდა; *Janosevic v. Sweden*, § 100, საქმე შეეხებოდა გადასახადის დაკისრებას ობიექტურ საფუძველზე დაყრდნობით, და მოცემული საგადასახადო ვალდებულების აღსრულების უზრუნველყოფას მანამდე, სანამ სასამართლო გამოიტანდა გადაწყვეტილებას). მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ მუხლი 6 § 2 მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს უზრუნველყონ ამ პრეზუმფციების გონივრულ ფარგლებში მოქცევა და გაითვალისწინონ ის, თუ რა დევს სასწორზე და პატივი სცენ დაცვის უფლებებს (*Salabiaku v. France*, § 28; *Radio France and Others v. France*, § 24, საქმე შეეხებოდა რედაქციის დირექტორის სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალეულობის პრეზუმფციას რადიოპროგრამებით გადაცემული ცილისმწამებლური განცხადებების გამო; *Klouvi v. France*, § 41, საქმე შეეხებოდა განზრახ სასამართლო წესით დევნასთან დაკავშირებული ბრალდებისგან თავის დაცვის შეუძლებლობას კანონით დადგენილი პრეზუმფციის გამო, რომ მტკიცებულებების უკმარისობის საფუძველზე გამართლებული ბრალდებულის მიმართ ბრალის წაყენება მიუღებელია).

204. სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პრეზუმფციის დაშვებისას წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან დაიცვან ბალანსი იმას შორის, თუ რა დევს სასწორზე, და დაცვის უფლებებს შორის, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოყენებული საშუალებები გონივრულ ფარგლებში თანაზომიერი უნდა იყონ იმ ლეგიტიმური მიზნისა, რომლის მიღწევაა დასახული (*Janosevic v. Sweden*, § 101; *Falk v. the Netherlands* (dec.)).

3. მუხლი 6 § 2-ის გავრცელების სფერო

a. სისხლის სამართალწარმოება

205. მუხლი 6 § 2 ვრცელდება სისხლის სამართალწარმოებაზე მის მთლიანობაში, დამოუკიდებლად მისი შედეგისა, და არა მხოლოდ ბრალდების არსის შესწავლაზე (იხილეთ *Poncelet v. Belgium*, § 50; *Minelli v. Switzerland*, § 30; *Garycki v. Poland*, § 68).

206. უდანაშაულობის პრეზუმფციის გავრცელება არ წყდება მხოლოდ იმიტომ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვა დასრულდა მოპასუხის მსჯავრდებით როდესაც საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში გრძელდება (*Konstas v. Greece*, § 36).

207. როდესაც ბრალდებულის ბრალეულობა ნამდვილად დადგინდება, მუხლი 6 § 2 ვერ გავრცელდება მსჯავრდების პროცესში ბრალდებულის ხასიათსა და ქცევასთან დაკავშირებულ ბრალდებებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ბრალდებები ისეთი ხასიათის და ხარისხისაა, რომ ისინი კონვენციის მნიშვნელობით ახალი „ბრალდების“ წაყენების ტოლფასია (*Phillips v. the United Kingdom*, § 35; *Böhmer v. Germany*, § 55; *Geerings v. the Netherlands*, § 43).

208. აღსანიშნავია, რომ პირის უფლება მიჩნეული იქნას უდანაშაულოდ და მოითხოვოს ბრალდებისგან მის მიმართ წაყენებული ბრალდებების დასამტკიცებლად მტკიცებულებების მოყვანა, კონვენციის 6 §1 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მოცემული მუხლის მოთხოვნები სასჯელის შეფარდების პროცედურაზე ვრცელდება (*Phillips v. the United Kingdom*, §§ 39-40; *Grayson and Barnham v. the United Kingdom*, §§ 37 და 39).

ბ. მომდევნო სამართალწარმოება

209. უდანაშაულობის პრეზუმფცია ასევე იმ პირებზე ვრცელდება, რომლებიც გამართლებული იყვნენ და სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალი მოეხსნათ, ან რომლებთანაც მიმართებაში აღძრული სისხლის სამართალწარმოება გაგრძელდა და მოცემული პრეზუმფცია იცავს მათ სახელისუფლებო ორგანოებისა და საჯარო მოხელეების მხრიდან ისეთი მოპყრობისგან, თითქოს მათ ის დანაშაული ჩაიდინეს, რომელშიც მათ ბრალი ედებათ. პირის გამართლების ან წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების პატივისცემის გარეშე მუხლი 6 § 2-ით დადგენილი გარანტიები თეორიული და ილუზორული იქნება. გარდა ამისა, სისხლის სამართალწარმოების დასრულების შემდეგ ასევე სასწორზე დევს პირის რეპუტაცია და ის, თუ როგორ აღიქმება იგი საზოგადოების მხრიდან (*Allen v. the United Kingdom* [GC], § 94).

210. მიუხედავად ამისა, მუხლი 6 § 2-ის გავრცელების შესაძლებლობის საკითხი დგება მომდევნო წარმოების კონტექსტში, როდესაც მომჩივანმა უნდა დაამტკიცოს კავშირის არსებობა დასრულებულ სისხლის სამართალწარმოებასა და მომდევნო წარმოებას შორის. ასეთი კავშირები შეიძლება არსებობდეს, როდესაც მაგალითად მომდევნო სამართალწარმოების ფარგლებში საჭიროა წინა სისხლის სამართალწარმოების შედეგის შესწავლა, განსაკუთრებით თუ სასამართლომ სისხლის სამართლის დანაშაულში მსჯავრდება უნდა გააანალიზოს, სისხლის სამართლის საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებები შეაფასოს, ან გადასინჯოს, შეაფასოს მომჩივანის მონაწილეობა სისხლის სამართლის ბრალდების განმაპირობებელ ქმედებებში, ან მათ ნაწილში, ან კომენტარები გააკეთოს მომჩივანის ბრალეულობაზე მიმანიშნებელ გარემოებებზე (*Allen v. the United Kingdom* [GC], § 104).

211. სასამართლომ განიხილა მუხლი 6 § 2-ის გავრცელების შესაძლებლობა სისხლის სამართალწარმოების დასრულების შემდეგ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც შეეხება:

- (a) ყოფილი ბრალდებულის ვალდებულებას დაფაროს სასამართლო წარმოებისა და ბრალდების ხარჯები;
- (b) ყოფილი ბრალდებულის შუამდგომლობა წინასწარი პატიმრობის, ან სისხლის სამართალწარმოებით გამოწვეული სხვა პრობლემების გამო კომპენსაციის მიღების თაობაზე;
- (c) ყოფილი ბრალდებულის შუამდგომლობა დაცვის ხარჯების დაფარვის თაობაზე;
- (d) ყოფილი ბრალდებულის შუამდგომლობა უკანონო, ან არამართლზომიერი გამოძიებით, ან სამართალწარმოებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის თაობაზე;
- (e) სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფარგლებში მსხვერპლისთვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულების დაკისრება;
- (f) მომჩივანის მიერ დამზღვევის წინააღმდეგ წარდგენილ სამოქალაქო სარჩელზე უარი;
- (g) ბავშვზე მზრუნველობის ორდერის ძალაში დატოვება მას შემდეგ, რაც ბრალდებამ გადაწყვიტა არ წაეყენებინა მშობლისთვის ბრალი ბავშვის მიმართ არასათანადო მოპყრობაში;
- (h) დისციპლინური ან გათავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები; და
- (i) მომჩივანის სოციალურ საცხოვრისზე უფლების გაუქმება (იხილეთ [Allen v. the United Kingdom](#)[GC], § 98 და შემდგომი რეფერენციები).

4. პრეიუდიციული განცხადებები

212. მუხლი 6 § 2 მიზნად ისახავს სასამართლო პროცესთან დაკავშირებული პრეიუდიციული განცხადებების შედეგად ამ პროცესის სამართლიანობის შელახვის პრევენციას. იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთ წარმოებას ადგილი არა აქვს, ან არ ჰქონია, სისხლის სამართლის დანაშაულებრივ, ან სხვა გასაკიცხ ქმედებებში ბრალეულობასთან დაკავშირებული განცხადებები ძირითადად უფრო რელევანტურია ცილისწამებისგან დაცვის და სასამართლოს ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რათა პირმა თავისი სამოქალაქო უფლებების დაცვა შეძლოს, რაც კონვენციის მე-8 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებულ საკითხებს შეეხება ([Zollmann v. the United Kingdom](#), [Ismoilov and Others v. Russia](#), § 160).

213. ერთმანეთისგან მკაცრად გამიჯნული უნდა იქნას განცხადება იმის თაობაზე, რომ პირი უბრალოდ ეჭვიმტანილია დანაშაულის ჩადენაში, და ცალსახა განცხადება პირის ბრალეულობის თაობაზე, როდესაც მის მიმართ საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენი არ გამოტანილა ([Ismoilov and Others v. Russia](#), § 166; [Nešťák v. Slovakia](#), § 89). ეს უკანასკნელი სასამართლოს მიერ მიიჩნევა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად, მაშინ როდესაც პირველი ითვლება მისაღებ განცხადებად ([Garycki v. Poland](#), § 67).

214. წარმოადგენს თუ არა მოსამართლის, ან სხვა სახელისუფლებო ორგანოს წარმომადგენლის განცხადება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დარღვევას, უნდა დადგინდეს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, რომლებშიც გასაჩივრებული განცხადება გაკეთდა (*Daktaras v. Lithuania*, § 42; *A.L. v. Germany*, § 31).

215. მოსამართლის მიერ გაკეთებული განცხადებები უფრო მკაცრ შესწავლას ექვემდებარებიან, ვიდრე საგამომიებო ორგანოების მიერ გაკეთებული განცხადებები (*Pandy v. Belgium*, § 43).

216. ეჭვიტანილის უდანაშაულობის თაობაზე მოსაზრებების გაზიარება დასაშვებია თუ სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში ბრალდების საფუძვლიანობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ არის მიღებული (*Sekanina v. Austria*, § 30). აღსანიშნავია, რომ როდესაც პირის გამამართლებელი გადაწყვეტილება საბოლოო გახება, მისი ბრალეულობის შესახებ რაიმე ეჭვის გაჟღერება შეუთავსებელია უდანაშაულობის პრეზუმფციასთან (*Rushiti v. Austria*, § 31; *O. v. Norway*, § 39; *Geerings v. the Netherlands*, § 49; *Paraponiaris v. Greece*, § 32).

5. სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან გაკეთებული განცხადებები

217. უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვევა თუ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებულ სასამართლო დადგენილებაში ასახული იქნება მოსაზრებები მისი ბრალეულობის თაობაზე მანამდე, სანამ მისი ბრალი კანონის შესაბამისად არ დადგენილა. ასეთ შემთხვევაში საკმარისი იქნებოდა, თუ მსჯელობიდან ნათელი გახდებოდა, რომ სასამართლოს აზრით ეჭვიტანილი დამნაშავეა (იხილეთ *Minelli v. Switzerland*, § 37; და უფრო ახალი საჩივარი *Nerattini v. Greece*, § 23; *Didu v. Romania*, § 41). სასამართლოს მიერ ასეთი მოსაზრების დროზე ადრე გაჟღერება უდავოდ წარმოადგენს მოცემული პრეზუმფციის დარღვევას (*Nešťák v. Slovakia*, § 88; *Garycki v. Poland*, § 66).

218. მუხლი 6 § 2-ის დებულებების გავრცელებისას მნიშვნელოვანია გაკეთებული განცხადებების ნამდვილი მნიშვნელობა, და არა განცხადების ბუკვალური ტექსტი (*Lavents v. Latvia*, § 126).

219. ის გარემოება, რომ მომჩივანი დამნაშავედ იქნა ცნობილი, არ ნიშნავს, რომ გაუქმდა მისი თავდაპირველ ეტაპზე არსებული უფლება უდანაშაულოდ იყოს მიჩნეული მანამდე, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდა კანონის შესაბამისად (იხილეთ *Matijašević v. Serbia*, § 49; *Nešťák v. Slovakia*, § 90, რომელიც შეეხებოდა მომჩივანის წინასწარი პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს).

6. სახელმწიფო მოხელეების მიერ გაკეთებული განცხადებები

220. უდანაშაულობის პრეზუმფცია შეიძლება დაარღვიონ არა მხოლოდ მოსამართლემ ან სასამართლომ, არამედ ასევე სხვა სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებმაც (*Allenet de Ribemont v. France*, § 36; *Daktaras v. Lithuania*, § 42; *Petyo Petkov v. Bulgaria*, § 91). მუხლი 6 § 2 კრძალავს სახელმწიფო მოხელეების მიერ

განხილვის მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიებებთან დაკავშირებით ისეთი საჯარო განცხადებების გაკეთებას, რომელთა შედეგადაც საზოგადოებას უჩნდება განცდა, რომ ეჭვმიტანილი დამნაშავეა, ან კომპეტენტური სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება წინასწარ შექმნილ აზრზე დაყრდნობით ხდება (*Ismoilov and Others v. Russia*, § 161; *Butkevicius v. Lithuania*, § 53).

221. უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი არ ზღუდავს ხელისუფლების უფლებას მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიებების თაობაზე, მაგრამ მოცემული პრინციპი მოითხოვს, რომ ეს წინდახედულად და უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვით განხორციელდეს (*Fatullayev v. Azerbaijan*, § 159; *Allenet de Ribemont v. France*, § 38; *Garycki v. Poland*, § 69).

222. სასამართლომ ხაზი გაუსვა სახელმწიფო მოხელის მიერ იმ პირებთან მიმართებაში საჯარო განცხადებების გაკეთების დროს სიტყვების ფრთხილად შერჩევის აუცილებლობას, რომელთა ბრალეულობა ჯერ არ დადგენილა (*Daktaras v. Lithuania*, § 41; *Arrigo and Vella v. Malta* (dec.); *Khuzhin and Others v. Russia*, § 94).

7. საინფორმაციო საშუალებების საზიანო კამპანიები

223. დემოკრატიულ საზოგადოებაში ზოგჯერ გარდაუვალია პრესის მიერ მწვავე კომენტარების გაკეთება ისეთ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც საზოგადოებაში მაღალ ინტერესს იწვევენ (*Viorel Burzo v. Romania*, § 160; *Akay v. Turkey* (dec.)).

224. საინფორმაციო საშუალებების მხრიდან მასშტაბურმა კამპანიებმა შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ სასამართლოს სამართლიანობაზე და საზოგადოებრივ აზრზე და შესაბამისად, იმ ნაფიც მსაჯულებზე, რომლებმაც პირის ბრალეულობაზე უნდა იმსჯელონ (*Kuzmin v. Russia*, § 62). მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტია არა ეჭვმიტანილის სუბიექტური წარმოდგენა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიკერძოებულობასთან დაკავშირებით, არამედ ის, თუ საქმის გარემოებების გათვალისწინებით რამდენად ობიექტურად გამართლებულია მისი ეჭვი (იხილეთ *Wloch v. Poland* (dec.), *Daktaras v. Lithuania* (dec.), *Priebke v. Italy* (dec.); და *Mustafa Kamal Mustafa (Abu Hamza) (no. 1) v. the United Kingdom* (dec.), §§ 37-40, რომელიც შეეხებოდა პრესის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიუკერძოებლობის საკითხის გაშუქებას).

225. ეროვნულ სასამართლოებს, რომლებიც პროფესიონალი მოსამართლეებითაა დაკომპლექტებული, განსხვავებით ნაფიცი მსაჯულებისგან შესაბამისი გამოცდილება გააჩნიათ და ტრენინგი აქვთ გავლილი, რათა ნებისმიერ გარეშე ზეწოლას გაუმკლავდნენ (*Craxi v. Italy (no. 1)*, § 104; *Mircea v. Romania*, § 75).

226. ეჭვმიტანილის ფოტოების გამოქვეყნება თავისთავად არ წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას (*Y.B. and Others v. Turkey*, § 47). გარკვეულ გარემოებებში ეჭვმიტანილის ტელევიზიით ჩვენება შეიძლება გახდეს მუხლი 6 § 2-ის გავრცელების საფუძველი (*Rupa v. Romania (no. 1)*, § 232).

8. ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო დაკისრებული სანქციები

227. უდანაშაულობის პრეზუმფცია მჭიდროდაა დაკავშირებული თვითმამხილებელი მტკიცებულებების მიცემისგან თავის შეკავების უფლებასთან (*Heaney and McGuinness v. Ireland*, § 40).

228. ავტოსაგზაო დარღვევასთან დაკავშირებით მანქანის მფლობელის ვინაობის დასახელების მოთხოვნა არ არის შეუთავსებელი კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებთან (*O'Halloran and Francis v. the United Kingdom* [GC]).

229. მძღოლებისგან სისხლში ალკოჰოლის დონის დადგენის მიზნით სუნთქვის ანალიზატორში ჩაბერვის, ან სისხლის ანალიზის მოთხოვნა არ არის შეუთავსებელი უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპთან (*Tirado Ortiz and Lozano Martin v. Spain* (dec.)).

B. მუხლი 6 § 3: დაცვის უფლებები

მუხლი 6 § 3

“ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

a) მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

b) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

c) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

d) დაკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები და გამოამახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში;

e) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე.

230. კონვენციის მუხლი 6 § 3-ის დაცვის უფლებებთან დაკავშირებული მოთხოვნები მუხლი 6 § 1-ით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასპექტია (*Sakhnovskiy v. Russia*[GC], § 94; *Gäfgen v. Germany* [GC], § 169).

231. მუხლში 6 § 3 ასახული გარანტიები სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ ტიპიურ პროცესუალურ კონტექსტში სამართლიანი სასამართლო განხილვის ცნების უმნიშვნელოვანესი ასპექტია, მაგრამ ამ გარანტიების მიზანია სისხლის სამართალწარმოების მთლიანი პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, მუხლში 6 § 3 ასახული გარანტიები თვითმიზანი

არ არის, და მოცემული გარანტიები ინტერპრეტირებული უნდა იყოს იმ ფუნქციის გათვალისწინებით, რაც მათ გააჩნიათ მთლიანი სამართალწარმოების კონტექსტში (*Mayzit v. Russia*, § 77; *Can v. Austria*, § 48).

1. მუხლი 6 § 3(a)

მუხლი 6 § 3 (a)

“ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

a) მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

a. ზოგადი

232. მუხლი 6 § 3(a)-ს გავრცელების სფერო კონვენციის მუხლი 6 § 1-ით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფრო ფართო უფლების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს. სისხლის სამართლის საქმეების კონტექსტში მოპასუხისთვის სრული და დეტალური ინფორმაციის მიწოდება მისთვის წარდგენილი ბრალდების თაობაზე, და ასევე იმ სამართლებრივი კვალიფიკაციის თაობაზე, რაც სასამართლომ შეიძლება ამ დანაშაულს მიანიჭოს, სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფის წინაპირობაა (*Pélissier and Sassi v. France*[GC], § 52; *Sejdovic v. Italy*[GC], § 90).

233. მუხლი 6 § 3-ის ქვეპარაგრაფები (a) და (b) ურთიერთდაკავშირებულია იმ თვალსაზრისით, რომ ბრალდებულის უფლება ინფორმირებული იყოს წარდგენილი ბრალდების არსისა და საფუძველის თაობაზე განხილული უნდა იქნას ერთობლიობაში მის უფლებასთან მოემზადოს საკუთარი თავის დაცვისთვის (*Pélissier and Sassi v. France*[GC], § 54; *Dallos v. Hungary*, § 47).

b. ინფორმაცია წაყენებული ბრალდების თაობაზე

234. მუხლი 6 § 3(a) მიუთითებს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოპასუხისთვის მისთვის წაყენებული „ბრალდების“ შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. დანაშაულთან დაკავშირებულ დეტალებს გადამწყვეტი როლი აქვთ სისხლის სამართალწარმოების პროცესში, რადგანაც სწორედ იმ მომენტიდან, როდესაც ექვმიტანილს წერილობით ფორმაში წარედგინება შეტყობინება, იგი ოფიციალურად ინფორმირებულია მის მიმართ წაყენებული ბრალდების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველების თაობაზე (*Kamasinski v. Austria*, § 79; *Pélissier and Sassi v. France*[GC], § 51).

235. მუხლი 6 § 3(a) ადგენს, რომ ბრალდებულს უფლება აქვს ინფორმირებული იქნას არა მხოლოდ ბრალდების განმარტობებელი „მიზეზის“, ანუ იმ ქმედებების თაობაზე, რომელიც მან სავარაუდოდ ჩაიდინა და რომლებსაც ბრალდება ეყრდნობა, არამედ ასევე ბრალდების „არსის“ თაობაზე, ანუ ამ ქმედებების

სამართლებრივი კვალიფიკაციის თაობაზე (*Mattoccia v. Italy*, § 59; *Penev v. Bulgaria*, § 33 და 42, 2010 წლის 7 იანვარი).

236. არ არის სავალდებულო, რომ მიწოდებული ინფორმაცია ასევე შეიცავდეს მითითებას იმ მტკიცებულებების შესახებ, რომლებსაც ბრალდება ეფუძნება (*X. v. Belgium* (dec); *Collozza and Rubinat v. Italy*).

237. მუხლი 6 § 3(a) არ ადგენს რაიმე სპეციალურ ფორმალურ მოთხოვნებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მიეწოდოს ბრალდებულს ინფორმაცია მისთვის წაყენებული ბრალის არსისა და საფუძვლების თაობაზე (*Pélissier and Sassi v. France*[GC], § 53; *Drassich v. Italy*, § 34; *Giosakis v. Greece (no. 3)*, § 29).

238. ბრალდებულისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მთლიანად ბრალდების მხარეს ეკისრება და ამ ვალდებულების შესრულება პასიურად ინფორმაციის გასაჯაროების გზით, ისე რომ დაცვას ამის შესახებ ინფორმაცია არ წარედგინოს, არ შეესაბამება მოცემულ მოთხოვნას (*Mattoccia v. Italy*, § 65; *Chichlian and Ekindjian v. France*, § 71).

239. ინფორმაცია პირადად ბრალდებულს უნდა მიეწოდოს. სამართლებრივი პრეზუმცია, რომ მან ეს ინფორმაცია მიიღო, არ არის საკმარისი (*C. v. Italy* (dec.)).

240. თუ გასაჩივრებული ვითარება თავად ბრალდებულის ქცევითაა გამოწვეული, ამ უკანასკნელს არა აქვს უფლება ამტკიცოს, რომ დაცვის უფლებები შეიზღუდა (*Erdogan v. Turkey* (dec); *Campbell and Fell v. the United Kingdom*, § 96).

241. ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების შემთხვევაში ხელისუფლებას ვალდებულება ეკისრება გაატაროს დამატებითი ზომები, რათა ეს პირი დეტალურად იქნას ინფორმირებული მის მიმართ წაყენებული ბრალდების არსისა და საფუძვლების თაობაზე (*Vaudelle v. France*, § 65).

c. ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლა

242. ბრალდებული სრულად და დეტალურად უნდა იცოს ინფორმირებული მის მიმართ წაყენებულ ბრალდებაში ცვლილებების, მათ შორის ბრალდების საფუძვლების გადასინჯვის შესახებ, და მას საკმარისი დრო და საშუალებები უნდა წარედგინოს იმისთვის, რომ თავისი დაცვისთვის მოემზადოს ახალი ინფორმაციის, ან ბრალდების გათვალისწინებით (*Mattoccia v. Italy*, § 61; *Bäckström and Andersson v. Sweden* (dec.)).

243. წაყენებულ ბრალთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის ის სამართლებრივი კვალიფიკაცია, რაც სასამართლომ შეიძლება მიანიჭოს კონკრეტულ ქმედებებს, ბრალდებულის სასამართლო განხილვამდე უნდა მიეწოდოს საბრალდებო აქტის პროექტის ფორმით, ან მოგვიანებით ეტაპზე ნათლად უნდა წარედგინოს ინფორმაცია ბრალდებაში ცვლილებების თაობაზე. მხოლოდ იმის აბსტრაქტულ შესაძლებლობაზე მითითება, რომ სასამართლომ შეიძლება ბრალდებისგან განსხვავებული დასკვნა გააკეთოს დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, ამკარად არ არის საკმარისი (*I.H. and Others v. Austria*, § 34).

244. სამართალწარმოების პროცესში საქმის გარემოებების რეკვალიფიკაციის შემთხვევაში ბრალდებულს საშუალება უნდა მიეცეს დროულად და ეფექტურად ისარგებლოს თავისი დაცვის უფლებით (*Pélissier and Sassi v. France*[GC], § 62; *Block v. Hungary*, § 24).

245. დანაშაულის გადაკვალიფიცირება ბრალდებულისთვის საკმარისად განჭვრეტადი უნდა იყოს, თუ საქმე შეეხება ბრალდებისთვის დამახასიათებელ ელემენტს (*De Salvador Torres v. Spain*, § 33; *Sadak and Others v. Turkey (no. 1)*, §§ 52 და 56; *Juha Nuutinen v. Finland*, § 32).

246. ბრალდების შესახებ შეტყობინებასთან დაკავშირებული ხარვეზები შეიძლება გასაჩივრების გზით გამოსწორდეს, თუ ბრალდებულს საშუალება აქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს წინაშე თავის სასარგებლოდ ამტკიცოს, რომ ბრალდების რეფორმულირებას ჰქონდა ადგილი და გაასაჩივროს მისი მსჯავრდება იმ სამართლებრივ და ფაქტობრივ ასპექტებთან ერთად, რომლებზე დაყრდნობითაც მოხდა მისი მსჯავრდება (*Dallos v. Hungary*, §§ 49-52; *Sipavičius v. Lithuania*, §§ 30-33; *Zhupnik v. Ukraine*, §§ 39-43; *I.H. and Others v. Austria*, §§ 36-38; *Juha Nuutinen v. Finland*, § 33).

d. დეტალურად

247. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის „დეტალურობის“ ხარისხი შეიძლება იცვლებოდეს საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ბრალდებულს საკმარისი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს იმისთვის, რომ მან სათანადოდ გააცნობიეროს მისთვის წაყენებული ბრალდება და დაცვისთვის ეფექტურად მომზადება შეძლოს.

248. მოცემულ კონტექსტში ინფორმაციის ადეკვატურობა უნდა შეფასდეს მუხლი 6 § 3(b)-ს მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლის შესაბამისადაც ყველას უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად, და ასევე 6 § 1 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლო განხილვის უფრ ზოგადი უფლების გათვალისწინებით (*Mattoccia v. Italy*, § 60; *Bäckström and Andersson v. Sweden* (dec.)).

e. დაუყოვნებლივ

249. ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს ბრალდებულს, რათა მან საკუთარი დაცვისთვის მომზადება შეძლოს, რაც 6 § 3(a) მუხლით დასახული მიზნის მიღწევის ფუძემდებლური პრინციპია (*C. v. Italy*(dec.), სადაც მომჩივანისთვის მის მიმართ წაყენებული ბრალდების შესახებ ინფორმაცია სასამართლო განხილვამდე 4 თვით ადრე იქნა მიწოდებული, რაც მისაღებ ვადად ჩაითვალა; განსხვავებით ზემოთხსენებული საქმისგან, საქმეში *Borisova v. Bulgaria*, §§ 43-45, მომჩივანს მხოლოდ რამდენიმე საათი ჰქონდა ადვოკატის გარეშე საკუთარი თავის დაცვისთვის მოსამზადებლად).

250. მუხლი 6 § 3(a)-ს მოთხოვნებთან შესაბამისობის შესწავლის პროცესში სასამართლო ითვალისწინებს სიტყვების „ბრალად ედება“ და „ბრალდების“ ავტონომურ მნიშვნელობას, რაც ინტერპრეტირებული უნდა იყოს უფრო

ობიექტური, და არა ფორმალური სიტუაციის გათვალისწინებით (*Padin Gestoso v. Spain* (dec.); *Cassev. Luxembourg*, § 71).

f. ენა

251. თუ დადასტურდა, ან საკმარისი საფუძველი არსებობს იმის ვარაუდისა, რომ ბრალდებულმა არასაკმარისად კარგად იცოდა ის ენა, რომელზეც მას ინფორმაცია მიეწოდა, ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს იგი თარჯიმნით/თარგმანით (*Brozicek v. Italy*, § 41; *Tabaï v. France* (dec)).

252. რადგანაც მუხლი 6 § 3(a) არ აკონკრეტებს, რომ შესაბამისი ინფორმაცია უცხო ქვეყნის მოქალაქე ბრალდებულს წერილობით ფორმაში უნდა მიეწოდოს, ან ნათარგმნი იყოს, და ისე მიეწოდოს, გასათვალისწინებელია, რომ ის მოპასუხე, რომელმაც არ იცის ენა, რომელზეც სამართალწარმოება მიმდინარეობს, შეიძლება არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, თუ მას არ მიეწოდება წერილობით ფორმაში საბრალდებო დასკვნა, რომელიც მისთვის გასაგებ ენაზე იქნება ნათარგმნი (*Kamasinski v. Austria*, § 79; *Hermi v. Italy*[GC], § 68).

253. მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ საკმარისი ინფორმაცია შეიძლება მიწოდებულად ჩაითვალოს, თუ საბრალდებო აქტის ზეპირი თარგმანი განხორციელდება, რაც ბრალდებულს საკუთარი დაცვის მომზადების საშუალებას მისცემს (*Kamasinski v. Austria*, § 81; *Husain v. Italy* (dec)).

254. მოცემული დებულება არ ადგენს ბრალდებულის უფლებას, რომ საქმის ყველა მასალები იყოს ნათარგმნი (*X. v. Austria* (dec), p. 70).

255. მუხლი 6 § 3(e) ადგენს, რომ ბრალდებულს უფლება აქვს ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით, და შესაბამისად საბრალდებო დასკვნის თარგმანთან დაკავშირებული ხარჯები სახელმწიფომ უნდა გაიღოს (*Luedicke, Belkacem and Koç v. Germany*, § 45).

2. მუხლი 6 § 3(b)

მუხლი 6 § 3 (b)

“ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

b) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

a. ზოგადი მოსაზრებები

256. კონვენციის მუხლი 6 § 3(b) შეეხება დაცვის ორ ელემენტს, კერძოდ დროს და შესაძლებლობებს. მოცემული დებულება გულისხმობს, რომ ბრალდებულის დაცვას უნდა გააჩნდეს „აუცილებელი“ შესაძლებლობები, იმისთვის, რომ სასამართლო პროცესისთვის მოემზადოს. ბრალდებულს უნდა შეეძლოს საკუთარი თავის დაცვისთვის სათანადოდ მომზადება, და პირველი ინსტანციის

სასამართლოსთვის თავისი არგუმენტების შეუზღუდავად წარდგენის შესაძლებლობა, რათა გავლენა მოახდინოს სასამართლო პროცესის შედეგზე (*Can v. Austria*, § 53; *Gregačević v. Croatia*, § 51).

257. ბრალდებულისთვის უზრუნველყოფილი დროისა და შესაძლებლობების ადეკვატურობა უნდა შეფასდეს ყოველი ცალკეული საქმის გარემოებების გათვალისწინებით (*Iglin v. Ukraine*, § 65; *Galstyan v. Armenia*, § 84).

b. საკმარისი დრო

258. მუხლი 6 § 3(b) იცავს ბრალდებულს დაჩქარებული სასამართლო განხილვისგან (*Kröcher and Möller v. Switzerland* (dec); *Bonzi v. Switzerland* (dec)). მიუხედავად იმისა, რომ დროული სამართალწარმოება უაღრესად მნიშვნელოვანია, ეს არ უნდა მოხდეს რომელიმე მხარის პროცესუალური უფლებების შეზღუდვის ხარჯზე (*OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia*, § 540).

259. იმის შეფასებისას, ჰქონდა თუ არა ბრალდებულს საკმარისი დრო საკუთარი დაცვის მოსამზადებლად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სამართალწარმოების ხასიათზე, საქმის სირთულეზე და წარმოების ეტაპზე (*Gregačević v. Croatia*, § 51). გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იყოს, თუ რამდენად გადატვირთულია საქმეებით მისი დამცველი; საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ბრალდებულის დამცველს ეთხოვოს საქმეების გადანაწილება იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული საქმე გადაუდებელ განხილვას საჭიროებს (*Mattick v. Germany* (dec.)).

260. კონვენციის მუხლი 6 § 3(b) არ მოითხოვს, რომ სასამართლო პროცესისთვის მზადება დასრულდეს საქმის პირველ განხილვამდე. სასამართლო პროცესის მიმდინარეობა წინასწარ ზუსტად ვერ განისაზღვრება, და ამ პროცესში შეიძლება სხვადასხვა გარემოებები და ელემენტები გამოვლინდეს, რომლებიც მანამდე არ იყო ცნობილი, და რომლებთანაც დაკავშირებით მხარეებს დამატებითი მომზადება დასჭირდებათ (*Mattick v. Germany* (dec.)).

261. დაცვას დამატებითი დრო უნდა მიეცეს სასამართლო პროცესის მსვლელობისას გამოვლენილი სხვადასხვა გარემოებების შემთხვევაში, რათა მან თავისი პოზიციის შესაბამისად გადასინჯვა მოახდინოს, მოამზადოს შუამდგომლობა, წარადგინოს საჩივარი და ასე შემდეგ (*Miminoshvili v. Russia*, § 141). ასეთ „გარემოებებში“ იგულისხმება ცვლილებები ბრალდებაში (*Pélissier and Sassi v. France*[GC], § 62), ბრალდების მიერ ახალი მტკიცებულებების წარდგენა (*G.B. v. France*, §§ 60-62), ან სასამართლო პროცესის მსვლელობისას ექსპერტის მიერ თავისი მოსაზრების ძირეული შეცვლა (*G.B. v. France*, §§ 69-70).

262. ბრალდებულმა შეიძლება მოითხოვოს სასამართლო განხილვის შეჩერება, ან გადავადება, თუ მისი აზრით მისთვის მიცემული ვადა საკმარისი არ არის (*Campbell and Fell v. the United Kingdom*, § 98; *Bäckström and Andersson v. Sweden* (dec.); *Craxi v. Italy* (no. 1), § 72), გარდა გამონაკლისი ვითარებებისა (*Goddi v. Italy*, § 31), ან როდესაც ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა ასეთ უფლებას არ ითვალისწინებს (*Galstyan v. Armenia*, § 85).

263. გარკვეულ გარემოებებში სასამართლომ შეიძლება საკუთარი შუამდგომლობით მოითხოვოს სასამართლო განხილვის გადავადება, რათა დაცვას საკმარისი დრო მიეცეს (*Sadak and Others v. Turkey (no. 1)*, § 57; *Sakhnovskiy v. Russia* [GC], §§ 103 და 106).

264. იმისთვის, რომ ბრალდებულმა ეფექტურად ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით, ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისი სიცხადით უნდა მიუთითონ თავისი გადაწყვეტილების საფუძვლები (*Hadjianastassiou v. Greece*, § 33). როდესაც სრულად დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილება არ არის მომზადებული საჩივრის წარდგენის ვადის ამოწურვის პერიოდისთვის, ბრალდებულს საკმარისი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს, რათა მან საჩივრის წარდგენა შეძლოს (*Zoon v. the Netherlands*, §§ 40-50; *Baucher v. France*, §§ 46-51).

265. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, მუხლი 6 § 3-ით დადგენილი გარანტიებით სარგებლობის შესაძლებლობა გააჩნიათ. მსჯავრდებულ აპელანტებზე ვალდებულების დაკისრება თავად დაადგინონ, თუ როდის დაიწყება დადგენილი ვადის დინება, ან როდის ამოიწურება ეს ვადა, არ შეესაბამება მხარე სახელმწიფოების ვალდებულებას „სათანადოდ“ უზრუნველყონ, რომ მე-6 მუხლით დადგენილი გარანტიების ეფექტურად სარგებლობა შესაძლებელია (*Vacher v. France*, § 28).

c. საკმარისი შესაძლებლობები

i. მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა

266. „შესაძლებლობებში“, რომლებიც ყველა პირისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, იგულისხმება პირის უფლება საკუთარი დაცვის მომზადების მიზნით გაეცნოს სამართალწარმოების ფარგლებში ჩატარებული გამოძიების შედეგებს (*Huseyn and Others v. Azerbaijan*, § 175; *OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia*, § 538).

267. როდესაც პირი წინასასამართლო პატიმრობაში იმყოფება, „შესაძლებლობების“ ცნება შეიძლება გულისხმობდეს პატიმრობის ისეთ პირობებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ პირს წაიკითხოს და დაწეროს ისეთ ვითარებაში, რომელიც მას ნორმალური კონცენტრაციის საშუალებას აძლევს (*Mayzit v. Russia*, § 81; *Moiseyev v. Russia*, § 221). გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რომ როგორც ბრალდებულს, ასევე მის დაცვას საშუალება ჰქონდეს მონაწილეობა მიიღონ სამართალწარმოების პროცესში და ზედმეტი დაბრკოლებების გარეშე წარადგინონ თავისი მოსაზრებები და არგუმენტები (*Makhfi v. France*, § 40; *Barberà, Messegué and Jabardo v. Spain*, § 70).

268. ბრალდებულისთვის უზრუნველყოფილი შესაძლებლობები შემოიფარგლება ისეთი საშუალებებით, რომლებიც დაეხმარება, ან შეიძლება დაეხმაროს მას საკუთარი დაცვის მომზადებაში (*Padin Gestoso v. Spain* (dec.)); *Mayzit v. Russia*, § 79).

269. არ არის სავალდებულო, რომ ბრალდებულისთვის საქმის მასალები იყოს პირდაპირ ხელმისაწვდომი, არამედ საკმარისია, რომ იგი მისი

წარმომადგენლების მიერ იყოს ინფორმირებული საქმის მასალების თაობაზე (*Kremzow v. Austria*, § 52). მიუხედავად ამისა, ბრალდებულის საქმის მასალებისადმი შეზღუდული წვდომა არ უნდა ზღუდავდეს მის უფლებას სასამართლო განხილვამდე გაეცნოს არსებულ მტკიცებულებებს და მას საშუალება უნდა მიეცეს კომენტარები გააკეთოს ამ მტკიცებულებებზე მისი ადვოკატის მიერ წერილობითი, თუ ზეპირი ფორმით წარდგენილი მოსაზრებების მეშვეობით (*Öcalan v. Turkey*[GC], § 140).

270. როდესაც ბრალდებულს უფლება ენიჭება პირადად დაიცვას საკუთარი თავი, მისთვის საქმის მასალებისადმი წვდომის შეზღუდვა დაცვის უფლებების შეზღუდვის ტოლფასია (*Foucher v. France*, §§ 33-36).

271. დაცვის ხელშეწყობის მიზნით, ბრალდებულს არ უნდა შეეზღუდოს საქმის მასალებში არსებული შესაბამისი დოკუმენტების ასლების მიღებისა და ჩანაწერების გაკეთებისა და მათი გამოყენების უფლება (*Rasmussen v. Poland*, §§ 48-49; *Moiseyev v. Russia*, §§ 213-218; *Matyjek v. Poland*, § 59; *Seleznov v. Russia*, §§ 64-69).

272. საქმის მასალებისადმი წვდომის უფლება არ არის აბსოლუტური. ზოგ შემთხვევებში შეიძლება საჭირო გახდეს დაცვისგან გარკვეული მტკიცებულებების დამალვა სხვა პირის ძირითადი უფლებების, ან ისეთი მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით, როგორცაა ეროვნული უშიშროება, მოწმეების დაცვის აუცილებლობა, ან პოლიციის მიერ დანაშაულის გამოძიების მეთოდების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა. მიუხედავად ამისა, ხაზგასასმელია, რომ 6 § 1 მუხლით დაცვის უფლებების შეზღუდვის მიზნით მხოლოდ ისეთი ზომების გატარებაა დაშვებული, რომლებიც მკაცრად აუცილებელია. სასამართლო გულდასმით შეისწავლის გადაწყვეტილების მიღების პროცედურას, რათა დარწმუნდეს, რომ იგი შესაბამისობაშია შეჯიბრებითი პროცესისა და მხარეთა თანასწორობის მოთხოვნებთან და საკმარის დამცავ მექანიზმებს ითვალისწინებს ბრალდებულის ინტერესების დასაცავად (*Natunen v. Finland*, §§ 40-41; *Dowsett v. the United Kingdom*, §§ 42-43; *Mirilashvili v. Russia*, §§ 203-209).

273. დაცვისთვის ნივთიერი მტკიცებულებების გაუმჟღავნებლობა, რომლებიც შესაძლებლობას მისცემდა ბრალდებულს გაემართლებინა თავი, ან მისთვის შესაფარდებელი სასჯელი შემსუბუქდებოდა, შეიძლება მიჩნეული იქნას როგორც დაცვის მომზადებისთვის საჭირო შესაძლებლობებზე უარის თქმა, და შესაბამისად, კონვენციის 6 § 3(b) მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევა. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულს შეიძლება მოეთხოვოს თავისი თხოვნის დასაბუთება, და ეროვნული სასამართლოები ვალდებული არიან შეისწავლონ მის მიერ წარდგენილი მიზეზების საფუძვლიანობა (*Natunen v. Finland*, § 43; *C.G.P. v. the Netherlands* (dec)).

ii. ადვოკატთან კონსულტაცია

274. ბრალდებულისთვის უზრუნველყოფილი „შესაძლებლობები“ ასევე მოიაზრებს ადვოკატთან კონსულტაციას (*Campbell and Fell v. the United Kingdom*,

§ 99; *Goddi v. Italy*, § 31). ბრალდებულის ადვოკატთან კონსულტაციის გავლის შესაძლებლობა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საკუთარი დაცვის მომზადებისთვის (*Bonzi v. Switzerland* (dec); *Can v. Austria*, § 52).

275. მუხლი 6 § 3(b) დაკავშირებულია კონვენციის 6 § 3(c) მუხლით დადგენილი იურიდიული დახმარების უფლებასთან (მაგალითად, იხილეთ *Lanz v. Austria*, §§ 50-53; *Öcalan v. Turkey*[GC], § 148; *Trepashkin v. Russia (no. 2)*, §§ 159-168).

3. მუხლი 6 § 3(c): პირადად, ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით თავის დაცვის უფლება

მუხლი 6 § 3(c)

“ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

c) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები.“

276. მუხლი 6 § 3(c) შეეხება მუხლი 6 § 1-ით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს (*Correia de Matos v. Portugal* (dec.); *Foucher v. France*, § 30). მოცემული ქვეპარაგრაფი ადგენს, რომ დაუშვებელია ბრალდებულის პირის მიმართ სამართალწარმოება, თუ მას არ ეყოლება დამცველი და მისი ინტერესები არ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი (*Pakelli v. Germany*, § 84). მოცემული ქვეპარაგრაფი სამ ცალკე უფლებას მოიცავს: საკუთარი თავის პირადად დაცვის უფლება, პირის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით დაცვის უფლება, და გარკვეულ პირობებში, უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება (*Pakelli v. Germany*, § 31).

a. გავრცელების სფერო

277. მუხლი 6 § 3(c) ვრცელდება ყველა იმ პირის მიმართ მიმდინარე სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, ვისაც სისხლის სამართლის დანაშაულში ედება ბრალი (*Imbrioscia v. Switzerland*, § 37). ამგვარად, მოცემული გარანტია შეიძლება გავრცელდეს მანამდე, სანამ საქმე სასამართლოს გადაეცემა განსახილველად, და იმ შემთხვევაში, თუ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება შეიძლება არსებითად შეილახოს საწყის ეტაპზე მე-6 მუხლის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო (*Öcalan v. Turkey*[GC], § 131; *Imbrioscia v. Switzerland*, § 36; *Magee v. the United Kingdom*, § 41).

278. მუხლი 6 § 3(b) შეეხება სასამართლო პროცესისთვის მომზადებასთან დაკავშირებულ ასპექტებს, ხოლო მუხლი 6 § 3(c) ბრალდებულის უფრო ზოგად უფლებებს ადგენს, კერძოდ კი ბრალდებულის უფლებას ისარგებლოს ადვოკატის

დახმარებით სამართალწარმოების მთელი პროცესის განმავლობაში (*Can v. Austria*, § 54).

279. ის, თუ როგორ გავრცელდება მუხლი 6 § 3(c) წინასასამართლო ეტაპზე, ანუ წინასწარი გამოძიების ეტაპზე, დამოკიდებულია თავად ამ წარმოების ხასიათსა და საქმის კონკრეტულ გარემოებებზე (*Brennan v. the United Kingdom*, § 45; *Berlinski v. Poland*, § 75). მუხლი 6 ზოგადად მოითხოვს, რომ ბრალდებულს ადვოკატის დახმარებით სარგებლობის საშუალება ჰქონდეს პოლიციის მიერ დაკითხვის საწყისი ეტაპიდანვე (*John Murray v. the United Kingdom*, § 63; *Öcalan v. Turkey*[GC], § 131; *Salduz v. Turkey*[GC], § 54; *Averill v. the United Kingdom*, § 59; *Brennan v. the United Kingdom*, § 45; *Dayanan v. Turkey*, § 31). გასათვალისწინებელია, რომ მოცემულ უფლებაზე შეიძლება გარკვეული შეზღუდვები გავრცელდეს საფუძვლიანი მიზეზების არსებობის შემთხვევაში (*John Murray v. the United Kingdom*, § 63; *Magee v. the United Kingdom*, § 41). ყოველ ცალკეულ საქმესთან დაკავშირებით იმის შეფასება, ამ უფლების შეზღუდვამ გამოიწვია თუ არა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შელახვა, უნდა განხორციელდეს სამართალწარმოების მთელი პროცესის კონტექსტის გათვალისწინებით (*John Murray v. the United Kingdom*, § 63; *Brennan v. the United Kingdom*, § 45). მაშინაც კი, თუ საფუძვლიანი მიზეზებითაა დასაბუთებული ადვოკატის დახმარებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა, ასეთმა შეზღუდვამ არ უნდა შელახოს ბრალდებულის უფლებები, რომლებიც მე-6 მუხლითაა გარანტირებული (*Salduz v. Turkey*[GC], § 55).

280. ის, თუ როგორ გავრცელდება მუხლი 6 § 3(c) სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოზე, დამოკიდებულია თავად წარმოების სპეციფიკურ მახასიათებლებზე (*Pakelli v. Germany*, § 29; და *mutatis mutandis*, *Meftah and Others v. France*[GC], § 41). გათვალისწინებული უნდა იქნას ეროვნული სასამართლო სისტემის ფარგლებში ჩატარებული სამართალწარმოება მის მთლიანობაში, და ასევე ამ სისტემაში სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს როლი (*Monnell and Morris v. the United Kingdom*, § 56; და *mutatis mutandis*, *Meftah and Others v. France*[GC], § 41). მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას აპელაციის პროცედურასთან დაკავშირებული ასპექტები, და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართალწარმოების მთლიანი პროცესის კონტექსტში, სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები, ის თუ როგორ იქნა წარმოდგენილი და დაცული მომჩივანის ინტერესები სააპელაციო სასამართლოში (*Monnell and Morris v. the United Kingdom*, § 56).

b. საკუთარი თავის პირადად დაცვა

281. კონვენციის მე-6 მუხლის მიზანია იმის დადგენა, რომ პირს, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში (*Zana v. Turkey*[GC], § 68; *Monnell and Morris v. the United Kingdom*, § 58). მუხლი 6 § 3(c)-ი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ზემოთხსენებულ უფლებასთან, ადგენს, რომ ბრალდებულს უფლება აქვს პირადად დაიცვას თავი. შესაბამისად, თუ ბრალდებული საკუთარი ნებასურვილით განაცხადებს, რომ თავად დაიცავს საკუთარ თავს, ეს არ მოდის წინააღმდეგობაში მე-6 მუხლის მოთხოვნებთან, გარდა იმ შემთხვევებისა,

როდესაც მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე ეს არ იქნება მიჩნეული მიზანშეწონილად (*Galstyan v. Armenia*, § 91).

282. აღსანიშნავია, რომ საკუთარი თავის დაცვის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება. წევრი სახელმწიფოების მიხედულების ფარგლებშია გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ დართოს ნება ბრალდებულს პირადად დაიცვას თავი, თუ ადვოკატი დაუნიშნოს, რადგანაც წევრ სახელმწიფოები უკეთ იცნობენ თავიანთ სასამართლო სისტემას და მათ ამ სისტემის ფარგლებში შესაფერისი საშუალებების განსაზღვრა შეუძლიათ დაცვის უფლებებთან დაკავშირებული გარანტიების შესრულების უზრუნველსაყოფად (*Correia de Matos v. Portugal* (dec.)). შესაბამისად, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ ის საკითხი, რომ მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე მოპასუხეს სავალდებულო წესით უნდა დაენიშნოს ადვოკატი (*Croissant v. Germany*, § 27; *Lagerblom v. Sweden*, § 50). მოცემული ზომა მოპასუხის ინტერესებშია, და იგი მისი სათანადო დაცვის უზრუნველყოფაზე მიმართული (*Correia de Matos v. Portugal* (dec.)).

283. მუხლი 6 § 3(c) არ ადგენს უპირობო უფლებას დაცვასთან დაკავშირებით. როდესაც მოპასუხე გადაწყვეტს საკუთარი თავის პირადად დაცვას, იგი მიზანდასახულად აცხადებს უარს თავის უფლებაზე ჰყავდეს ადვოკატი, და იმავდროულად იგი ვალდებულებას იღებს გულდასმით მოემზადოს საკუთარი თავის დასაცავად (*Melin v. France*, § 25). დაცვის უფლების ცნების ზედმეტად ფართო ინტერპრეტაცია იქნებოდა, თუ იმ პირებთან მიმართებაში, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, მიჩნეული იქნას, რომ მათ მიმართ სასამართლო წესით დევნა არ მოხდება, თუ ამ უფლებით სარგებლობისას, ისინი განზრახ ქმნიან ეჭვს იმის თაობაზე, რომ სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილე მოწმის ან სხვა პირის ქმედებები დასჯადია (*Brandstetter v. Austria*, § 52). იმის აღბათობა, რომ ბრალდებულის მიმართ შეიძლება შემდგომში წარმოება იქნას აღძრული იმ არგუმენტების საფუძველზე, რომლებიც მან თავის დასაცავად მოიყვანა, არ მოიაზრება როგორც მოპასუხის მიმართ მუხლი 6 § 3(c)-ით დადგენილი უფლებების დარღვევა. აღსანიშნავია, რომ ვითარება შეიძლება განსხვავდებოდეს, თუ ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა მოცემულთან დაკავშირებით ზედმეტად მკაცრი და ხისტია და შემდგომში წარმოების აღძვრის რისკი ძალიან მაღალია, რის გამოც ბრალდებული თავისუფლად ვერ სარგებლობს თავისი დაცვის უფლებით (*Brandstetter v. Austria*, § 53).

c. ადვოკატის მომსახურებით სარგებლობა

284. ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება იმ შემთხვევებში, როდესაც პირს სისხლის სამართლის დანაშაულში ედება ბრალი, სამართლიანი სასამართლო განხილვის ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია (*Salduz v. Turkey*[GC], § 51). როგორც წესი, ეჭვმიტანილს ადვოკატის დახმარებით სარგებლობის საშუალება უნდა ჰქონდეს იმ მომენტიდან, როდესაც იგი პოლიციის მიერ არის დაკავებული, ან წინასწარ პატიმრობაშია (*Dayanan v. Turkey*, § 31).

მოპასუხის უფლება ეფექტიანად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში, სადაც მისი საქმე განიხილება, გულისხმობს რომ მას უფლება აქვს არა მხოლოდ ესწრებოდეს სასამართლო პროცესს, არამედ ასევე საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს იურიდიული დახმარებით (*Lagerblom v. Sweden*, § 49; *Galstyan v. Armenia*, § 89). და იგივე პრინციპით, მომჩივანის ადვოკატის სასამართლო პროცესზე უბრალოდ დასწრება ვერ იქნება განხილული როგორც საკომპენსაციო ზომა, რომელიც მომჩივანის დაუსწრებლობას დააბალანსებდა (*Zana v. Turkey*[GC], § 72).

285. მოპასუხის ინტერესების წარმომადგენლობის უფლება არ არის დამოკიდებული ბრალდებულის სასამართლო პროცესზე დასწრებაზე (*Van Geyseghem v. Belgium*[GC], § 34; *Campbell and Fell v. the United Kingdom*, § 99; *Poitrimol v. France*, § 34). ის გარემოება, რომ მოპასუხე არ გამოცხადდა სასამართლოში მიუხედავად იმისა, რომ ყველა პროცედურის დაცვით იყო დაბარებული, და არ წარადგინა გამოუცხადებლობის საფუძვლიანი მიზეზი, ვერ გაამართლებს მისი უფლების შეზღუდვას ჰყავდეს მისი ინტერესების წარმომადგენელი ადვოკატი (*Van Geyseghem v. Belgium* [GC], § 34; *Pelladoah v. the Netherlands*, § 40; *Krombach v. France*, § 89; *Galstyan v. Armenia*, § 89).

286. სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული ყველა პირის უფლება ჰყავდეს მის მიერ არჩეული დამცველი, არ არის აბსოლუტური უფლება (*Meftah and Others v. France*[GC], § 45; *Pakelli v. Germany*, § 31). იმავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ დაცული უნდა იყოს ბრალდებულის უფლება ისარგებლოს მის მიერ არჩეული ადვოკატის დახმარებით (*Lagerblom v. Sweden*, § 54), ეროვნული სასამართლოები უფლებამოსილი არიან არ გაითვალისწინონ ბრალდებული პირის არჩევანი, თუ საკმარისი საფუძველი არსებობს იმის ვარაუდისა, რომ ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებში (*Meftah and Others v. France*[GC], § 45; *Croissant v. Germany*, § 29). მაგალითად, მთლიანი სამართალწარმოების სპეციფიკური ხასიათის გამო შეიძლება მიზანშეწონილი იყოს სპეციალიზირებული ადვოკატის მოწვევა ზეპირი განხილვისთვის (*Meftah and Others v. France*[GC], § 47).

287. იმისთვის, რომ სამართლებრივი დახმარების უფლება რეალური და ეფექტური იყოს, და არა თეორიული, ამ უფლებით სარგებლობა არ უნდა იყოს დამოკიდებული ზედმეტად ფორმალიზებული მოთხოვნებისა და პირობების დაკმაყოფილებაზე: სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლო განხილვა, და შესაბამისად, მომჩივანის პროცესზე დაუსწრებლობის შემთხვევაში სწორედ მისმა ადვოკატმა უნდა დაიცვას იგი, და მას ამის შესაძლებლობა უნდა მიეცეს (*Van Geyseghem v. Belgium*[GC], § 33; *Pelladoah v. the Netherlands*, § 41).

288. სამართლიანი სასამართლო განხილვის სხვა უფლებების მსგავსად ბრალდებულს უფლება აქვს უარი თქვას თავის უფლებაზე ჰყავდეს ადვოკატი (*Pishchalnikov v. Russia*, § 77). აღსანიშნავია, რომ მანამდე, სანამ ბრალდებულის ქცევიდან გამომდინარე მიჩნეული იქნება, რომ მან უარი თქვა მე-6 მუხლით დადგენილ ამ მნიშვნელოვან უფლებაზე, წარდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები იმის დასამტკიცებლად, რომ მას ნათლად ესმოდა მისი ქცევის

შესაძლებელი შედეგები. დამატებითი გარანტიებია საჭირო, როდესაც ბრალდებული ადვოკატის დახმარებას ითხოვს, რადგანაც თუ მას არ ჰყავს ადვოკატი, მას ნაკლები შანსი აქვს სათანადოდ იყოს ინფორმირებული თავისი უფლებების შესახებ, და შესაბამისად, ნაკლები შანსია იმისა, რომ მისი უფლებები დაცული იქნას (*Pishchalnikov v. Russia*, § 78).

d. იურიდიული დახმარება

289. მესამე, და ბოლო უფლება, რომელიც 6 § 3(c) მუხლშია ასახული, არის უფასო იურიდიული დახმარების უფლება, რომელზეც ორი პირობა ვრცელდება.

290. პირველ რიგში, ბრალდებულმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას არ გააჩნია სახსრები იმისთვის, რომ ადვოკატის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები დაფაროს. მიუხედავად ამისა გასათვალისწინებელია, რომ მას არ მოეთხოვება „ყოველგვარ ეჭვს მიღმა“ მტკიცებულებების წარდგენა; საკმარისია, რომ გარკვეული „ნიშნები“ არსებობდეს, რომლებიც ამას ადასტურებენ, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „შეიძლება დავადგინოთ, რომ არ არის საპირისპირო ვითარების მიმანიშნებელი გარემოებები“ (*Pakelli v. Germany*, § 34).

291. მეორე: წევრ სახელმწიფოებს უფასო იურიდიული მომსახურების უზრუნველყოფის ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევებში ეკისრებათ, „თუ ამას მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვენ“. ამის შესახებ გადაწყვეტილების მიღება საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ხდება, მათ შორის არა მხოლოდ იმ გარემოებების, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის, არამედ აგრეთვე იმ მომენტისთვის, როდესაც ეროვნული სასამართლოები საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით მიიღებენ გადაწყვეტილებას (*Granger v. the United Kingdom*, § 46).

292. იმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მოითხოვს თუ არა მართლმსაჯულების ინტერესები, რომ ბრალდებულს უფასო იურიდიული დახმარება მიეწოდოს, სასამართლო სხვადასხვა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს, მათ შორის ითვალისწინებს დანაშაულის სიმძიმეს, და ამ დანაშაულისთვის შესაფარდებელი სასჯელის სიმკაცრეს (*Benham v. the United Kingdom*[GC], § 60; *Quaranta v. Switzerland*, § 33; *Zdravko Stanev v. Bulgaria*, § 38). იმ შემთხვევებში, როდესაც პირს შეიძლება თავისუფლების აღკვეთა შეეფარდოს, მართლმსაჯულების ინტერესებში საჭიროა, რომ მას ადვოკატი დაენიშნოს (*Benham v. the United Kingdom*[GC], § 61; *Quaranta v. Switzerland*, § 33; *Zdravko Stanev v. Bulgaria*, § 38).

293. სასამართლომ „მართლმსაჯულების ინტერესებთან“ დაკავშირებული ტესტის ფარგლებში ასევე უნდა გაითვალისწინოს საქმის სირთულე (*Quaranta v. Switzerland*, § 34; *Pham Hoang v. France*, § 40; *Twalib v. Greece*, § 53), და აგრეთვე ბრალდებულის პირადი მდგომარეობა (*Zdravko Stanev v. Bulgaria*, § 38). ეს უკანასკნელი გარემოება ასევე გულისხმობს კონკრეტული ბრალდებულის მიერ თავის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენის უნარის გათვალისწინებას, მაგალითად, ენის, ან ქვეყნის სამართლებრივი სისტემის

შესახებ ცოდნის უქონლობას, რაც განსაკუთრებით შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ბრალდებულს ადვოკატი არ დაენიშნა (*Quaranta v. Switzerland*, § 35; *Twalib v. Greece*, § 53).

294. „მართლმსაჯულების ინტერესებთან“ დაკავშირებული ტესტი შეეხება არა იმის შეფასებას, გამოიწვია თუ არა ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობის უქონლობამ „რეალური ზიანი“, რის შედეგადაც ბრალდებულმა თავი ვერ დაიცვა, არამედ მოცემული მოთხოვნა ნაკლებად მკაცრია და იგი მიზნად ისახავს იმის დადგენას, „თუ რამდენად სარწმუნოა გარკვეულ გარემოებებში“ ის, რომ ადვოკატი ბრალდებულს დახმარებას გაუწევდა (*Artico v. Italy*, § 34-35; *Alimena v. Italy*, § 20).

295. მიუხედავად ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობების კონფიდენციალურობის მნიშვნელობისა, „ბრალდებულის მიერ არჩეული ადვოკატის“ მეშვეობით თავის დაცვის უფლებაზე გარკვეული შეზღუდვები ვრცელდება იმ შემთხვევებში, როდესაც უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობას შეეხება საქმე. მაგალითად, სასამართლომ პირისთვის ადვოკატის დანიშვნის შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოს მისი მოსაზრება მისთვის სასურველ ადვოკატთან დაკავშირებით, მაგრამ ეს მოსაზრებები შეიძლება არ იქნას გათვალისწინებული, თუ რელევანტური და საკმარისი საფუძვლები არსებობს იმის მისაჩვენად, რომ ეს მართლმსაჯულების ინტერესებშია (*Croissant v. Germany*, § 29; *Lagerblom v. Sweden*, § 54). აღსანიშნავია, რომ მუხლი 6 § 3(c) ვერ იქნება ინტერპრეტირებული იმგვარად, რომ იგი უფასო ადვოკატის ჩანაცვლების უპირობო უფლებას ადგენს (*Lagerblom v. Sweden*, §§ 55, 59). გარდა ამისა, მართლმსაჯულების ინტერესების მოთხოვნის იმგვარად გაგება, რომ უფასო იურიდიული დახმარება უნდა დაენიშნოს ყველა მსჯავრდებულ პირს, რომელსაც სურს გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მე-6 მუხლის მოთხოვნების დაცვით მიღებული გადაწყვეტილება, როდესაც არ არსებობს ობიექტური საფუძვლები იმისა, რომ მისი საჩივარი მისთვის სასიკეთო შედეგით დასრულდება (*Monnell and Morris v. the United Kingdom*, § 67).

e. პრაქტიკული და ეფექტური იურიდიული დახმარება

296. მუხლი 6 § 3(c) „პრაქტიკული და ეფექტიანი“ იურიდიული დახმარების უფლებას ადგენს, და შესაბამისად, უბრალოდ ადვოკატის დანიშვნა არ უზრუნველყოფს პირისთვის ეფექტიანი დახმარების გაწევას, რადგანაც დანიშნული ადვოკატი შეიძლება გარდაიცვალოს, მძიმედ დაავადდეს, ხანგრძლივი პერიოდით შეეზღუდოს ბრალდებულის ინტერესებში მოქმედების შესაძლებლობა, ან მან არასათანადოდ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები (*Artico v. Italy*, § 33).

297. ეფექტიანი იურიდიული დახმარების უფლება ასევე მოიცავს ბრალდებულის თავის ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლებას. სახელმწიფოს მხოლოდ გამონაკლის გარემოებებში აქვს უფლება შეზღუდოს ადვოკატსა და ბრალდებულს შორის კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლება (*Sakhnovskiy v. Russia*[GC], § 102). თუ ადვოკატს არა აქვს თავის კლიენტთან კონფიდენციალური

გასაუბრებისა და მისგან ინსტრუქციების მიღების საშუალება ისე, რომ თვალთვალს და მიყურადებას არ დაექვემდებაროს, მისი დახმარება არ იქნება ეფექტიანი (*S. v. Switzerland*, § 48; *Brennan v. the United Kingdom*, § 58). კლიენტისა და ადვოკატის ნებისმიერი ურთიერთობებზე შეზღუდვების დაწესება, იქნება ეს დადგენილი, თუ სხვა სპეციფიკური შეზღუდვები, არ უნდა აბრკოლებდეს ადვოკატის მიერ მოპასუხისთვის ეფექტიანი იურიდიული დახმარების გაწევას (*Sakhnovskiy v. Russia*[GC], § 102). ბრალდებულის და ადვოკატის სატელეფონო საუბრების მიყურადება (*Zagaría v. Italy*, § 36) და ადვოკატის ბრალდებულთან ვიზიტების ხანგრძლივობისა და სიხშირის მნიშვნელოვანი შეკვეცა (*Öcalan v. Turkey*[GC], § 135) წარმოადგენს ეფექტიანი იურიდიული დახმარების უფლების დარღვევას.

298. წევრ სახელმწიფოს ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა უფასო იურიდიული დახმარების ფარგლებში დანიშნული ადვოკატის, ან მის მიერ არჩეული ადვოკატის მიერ დაშვებულ ხარვეზებზე (*Lagerblom v. Sweden*, § 56; *Kamasinski v. Austria*, § 65). იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობის გათვალისწინებით ხაზგასასმელია, რომ დაცვის მხარის მოქმედებები ძირითადად მოპასუხისა და მისი ადვოკატის მიერ განისაზღვრება; წევრ სახელმწიფოებს ვალდებულება ეკისრებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერიონ ამ ურთიერთობებში, თუ აშკარად ნათელია, რომ ადვოკატი ვერ აწვდის მოპასუხეს ეფექტიან იურიდიულ დახმარებას, ან ამის შესახებ სახელმწიფოს ინფორმაცია მიეწოდა (*Kamasinski v. Austria*, § 65; *Imbrioscia v. Switzerland*, § 41; *Daud v. Portugal*, § 38). სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება მხოლოდ მაშინ დადგეს, როდესაც ადვოკატი ვერ იცავს ბრალდებულის ინტერესებს (*Artico v. Italy*, §§ 33, 36), ან როდესაც იგი არ ასრულებს მნიშვნელოვან საპროცესო მოთხოვნას, რაც არ შეიძლება გაიგივებული იყოს დაცვის პოზიციის წინდაუხედაობასთან, ან არაეფექტური არგუმენტების წარდგენასთან (*Czekalla v. Portugal*, §§ 65, 71).

4. მუხლი 6 § 3(d)

მუხლი 6 § 3(d)

“ ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

d) დაკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები და გამოამახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში;

a. ტერმინი „მოწმის“ ავტონომიური მნიშვნელობა

299. კონვენციის სისტემაში ტერმინს „მოწმე“ ავტონომიური მნიშვნელობა გააჩნია, რაც დამოუკიდებელია ეროვნული სამართლით დადგენილი განმარტებისაგან (*Damir Sibgatullin v. Russia*, § 45; *S.N. v. Sweden*, § 45). იმ შემთხვევებში, როდესაც პირის მსჯავრდება უმეტესწილად ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენების საფუძველზე მოხდა, იგი ბრალდების მტკიცებულებას წარმოადგენს, რომელზეც კონვენციის

6§§ 1 და 3(d) მუხლებით დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება (*Kaste and Mathisen v. Norway*, § 53; *Lucà v. Italy*, § 41).

300. ტერმინი მოიცავს თანაბრალდებულებს (იხილეთ მაგალითად, *Trofimov v. Russia*, § 37), დაზარალებულებს (*Vladimir Romanov v. Russia*, § 97) და ექსპერტ მოწმეებს (*Doorson v. the Netherlands*, §§ 81-82).

301. მუხლი 6 § 3(d) შეიძლება ასევე გავრცელდეს დოკუმენტურ ფორმატში არსებულ მტკიცებულებებზე (*Mirilashvili v. Russia*, §§ 158-159).

b. უფლება დაკითხოს, ან დააკითხინოს მოწმეები

i. ზოგადი პრინციპები

302. მუხლი 6 § 3(d) ადგენს პრინციპს, რომლის შესაბამისადაც ბრალდებულის მსჯავრდებამდე მის წინააღმდეგ არსებული ყველა მტკიცებულებები მის თანდასწრებით უნდა იყოს წარდგენილი საჯარო სასამართლო განხილვაზე პაექრობით პროცესზე მტკიცებულებებთან დაკავშირებული არგუმენტების გაზიარების მიზნით. ამ პრინციპიდან გამონაკლისები დაშვებულია იმ პირობით, რომ დაცვის უფლებები არ უნდა შეიზღუდოს, რაც როგორც წესი მოითხოვს, რომ ბრალდებულს საკმარისი შესაძლებლობები უნდა მიეცეს დაკითხოს მოწმე, რომელიც მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას იმ ეტაპზე, როდესაც იგი სასამართლოს წინაშე გამოდის ამ ჩვენებით, ან სამართალწარმოების მოგვიანებით ეტაპზე (*Hümmer v. Germany*, § 38; *Lucà v. Italy*, § 39; *Solakov v. the Former Yugoslav Republic of Macedonia*, § 57).

303. ზემოთხსენებული ზოგადი პრინციპიდან ორი მოთხოვნა გამომდინარეობს. პირველი: მოწმის გამოუცხადებლობა საფუძვლიანი მიზეზით უნდა იყოს განპირობებული. მეორე: იმ შემთხვევებში, როდესაც პირის მსჯავრდება ძირითადად, ან მეტწილად ეყრდნობა მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებებს, რომლებიც იმ პირის მიერაა მიცემული, რომლის დაკითხვის, ან დაკითხვინების შესაძლებლობა გამოძიების, ან სასამართლო პროცესის ეტაპზე ბრალდებულს არ მიეცა, დაცვის უფლებები შეიძლება იმდენად შეიზღუდოს, რომ ეს წინააღმდეგობაში მოვიდეს მე-6 მუხლით დადგენილ გარანტიებთან (ეგრედ წოდებული „ერთადერთი ან გადამწყვეტი მტკიცებულების წესი“ (*Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*[GC], § 119).

304. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მართლმსაჯულების სამართლიან ადმინისტრირებას დემოკრატიულ საზოგადოებაში, ნებისმიერი ზომები, რომლებიც დაცვის უფლებას ზღუდავს, მკაცრად აუცილებელი უნდა იყოს. თუ ნაკლებად მკაცრი ზომა იქნება საკმარისი, მაშინ ასეთი ზომა უნდა იქნას გამოყენებული (*Van Mechelen and Others v. the Netherlands*, § 58).

305. სამართლიანი სასამართლო განხილვის მნიშვნელოვანი ელემენტია ბრალდებულისთვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა დაკითხოს მოწმე და უკუაგდოს მისი მტკიცებულებები (*Tarău v. Romania*, § 74; *Graviano v. Italy*, § 38).

ii. მოწმის გამოცხადების უზრუნველყოფის მიზნით გონივრული ძალისხმევის წარმართვის ვალდებულება

306. მოთხოვნა, რომლის შესაბამისადაც მოწმის დაუსწრებლობის საფუძვლიანი მიზეზი უნდა არსებობდეს, პირველ რიგში უნდა იქნას გათვალისწინებული, კერძოდ კი მანამდე, სანამ იმაზე დაიწყება მსჯელობა კონკრეტული მტკიცებულება იყო თუ არა ერთადერთი ან გადამწყვეტი. როდესაც მოწმე არ ესწრება სასამართლო პროცესს ჩვენების უშუალოდ მიცემის მიზნით, არსებობს ვალდებულება, რომლის შესაბამისადაც შესწავლილი უნდა იქნას მოწმის გამოუცხადებლობის საფუძვლიანი მიზეზების არსებობა (*Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*[GC], § 120; *Gabrielyan v. Armenia*, §§ 78, 81-84).

307. მუხლი 6 § 1 ერთობლიობაში მუხლთან § 3 წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს გაატარონ პოზიტიური ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბრალდებულს საშუალება აქვს დაკითხოს, ან დააკითხინოს მოწმეები, რომლებიც მის წინააღმდეგ იძლევიან ჩვენებას (*Trofimov v. Russia*, § 33; *Sadak and Others v. Turkey (no. 1)*, § 67).

308. როდესაც ბრალდებულის მიერ მოწმის დაკითხვა, ან დაკითხვინება შეუძლებელია მისი სასამართლოში გამოუცხადებლობის გამო, ხელისუფლებამ გონივრული ძალისხმევა უნდა მიმართოს, რათა უზრუნველყოს მისი სასამართლოში გამოცხადება (*Karpenko v. Russia*, § 62; *Damir Sibgatullin v. Russia*, § 51; *Pello v. Estonia*, § 35; *Bonev v. Bulgaria*, § 43).

309. მაგრამ, *impossibilium nulla est obligatio*; იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებას ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ მან არ წარმართა საკმარისი ძალისხმევა იმაზე, რომ მოპასუხეს მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა ჰქონოდა, მოწმის გამოუცხადებლობის ფაქტი არ არის საკმარისი საფუძველი იმისა, რომ პირის მიმართ წარმოება შეწყდეს (*Gossa v. Poland*, § 55; *Haas v. Germany* (dec.); *Calabrò v. Italy and Germany* (dec.); *Ubach Mertes v. Andorra* (dec.)).

iii. მოწმის მოსმენაზე უარის თქმის დასაბუთება

310. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ფუნქციებში არ შედის თავისი მოსაზრებების გამოხატვა წარდგენილი მტკიცებულებების რელევანტურობასთან დაკავშირებით, მოწმის გამოძახებაზე ან დაკითხვაზე უარის თქმა შეიძლება მიჩნეული იქნას დაცვის უფლებების დარღვევად, რაც შეუთავსებელია სამართლიანი სასამართლო განხილვის მოთხოვნასთან (იხილეთ *Popov v. Russia*, § 188; *Bocos-Cuesta v. the Netherlands*, § 72; *Wierzbicki v. Poland*, § 45; and *Vidal v. Belgium*, § 34).

iv. მოწმის ჩვენებებზე დაყრდნობა, რომელიც არ იყო მიცემული სასამართლოს წინაშე

311. გარკვეულ გარემოებებში შეიძლება მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული საგამომიებო ეტაპზე ჩამორთმეულ ჩვენებებზე დაყრდნობა (*Lucà v. Italy*, § 40), მაგალითად, თუ მოწმე გარდაიცვალა (*Mika v. Sweden* (dec.), § 37; *Ferrantelli and Santangelo v. Italy*, § 52), დუმილის უფლებით ისარგებლა (*Vidgen v. the Netherlands*,

§ 47; *Sofri and Others v. Italy* (dec.); *Craxi v. Italy (no. 1)*, § 86), ან როდესაც მთავრობის მიერ მოწმის სასამართლოში გამოცხადებაზე მიმართული ძალისხმევის მიუხედავად იგი არ გამოცხადდა სასამართლოში (*Mirilashvili v. Russia*, § 217).

312. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს მოწმის გამოუცხადებლობამ დაცვის უფლებებზე იმ შემთხვევებში, როდესაც ნაცვლად მოწმის სასამართლო პროცესზე მოსმენისა მისი წერილობითი ჩვენება იქნება დასაშვებად ცნობილი თუ წარმოების მანამდე ჩატარებულ რომელიმე ეტაპზე ამ მოწმის დაკითხვა არ მომხდარა, მხოლოდ უკანასკნელი საშუალების სახით უნდა იქნას გამოყენებული (*Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*[GC], § 125).

313. მოწმისგან ისეთ პირობებში ჩამორთმეული ჩვენებები, როდესაც დაცვის უფლებები ვერ იქნა გარანტირებული ისეთ დონემდე, რასაც ამას კონვენცია მოითხოვს, უაღრესი სიფრთხილით უნდა იქნას განხილული (*S.N. v. Sweden*, § 53; *Doorson v. the Netherlands*, § 76).

314. თუ მოწმე შეჯიბრებით პროცესს საპატიო მიზეზით ვერ დაესწრო, ეროვნული სასამართლოს უფლებამოსილებაში შედის ამ მოწმის მიერ წინასასამართლო ეტაპზე მიცემული ჩვენებების გათვალისწინების საკითხი, თუ ამ ჩვენებებს სხვა მტკიცებულებებიც ამყარებენ (*Mirilashvili v. Russia*, § 217; *Scheper v. the Netherlands*(dec.); *Calabrò v. Italy and Germany* (dec.); *Ferrantelli and Santangelo v. Italy*, § 52).

315. მუხლი 6 § 3(d) მოითხოვს მხოლოდ იმ მოწმეების ჯვარედინა დაკითხვას, რომლებმაც არ მისცეს ჩვენება სასამართლოს წინაშე, თუ მათ მიერ მანამდე ეტაპებზე მიცემულმა ჩვენებამ გადამწყვეტი, ან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პირის მსჯავრდებაში (იხილეთ *Kok v. the Netherlands* (dec.); *Krasniki v. the Czech Republic*, § 79).

316. მაშინაც კი, როდესაც სხვის სიტყვებზე დაფუძნებით მიცემული ჩვენება მოპასუხის წინააღმდეგ არსებული ერთადერთი, ან გადამწყვეტი მნიშვნელობის ჩვენებაა, მისი დასაშვებად ცნობა ავტომატურად არ წარმოადგენს მუხლი 6 § 1-ის დარღვევას. მიუხედავად ამისა ის გარემოება, რომ მოპასუხის მსჯავრდება ძირითადად, ან უმეტესწილად იმ მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებას ეყრდნობა, რომელიც სასამართლოში არ გამოცხადებულა, ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორად იქნება მიჩნეული, რომელთანაც დაკავშირებით საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორები, მათ შორის ძლიერი პროცესუალური გარანტიები უნდა არსებობდეს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს არსებობდა თუ არა საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორები, მათ შორის მტკიცებულებების სანდოობისა და სარწმუნოების შეფასებაზე მიმართული სამართლიანი და სათანადო ზომები. ასეთი მტკიცებულებების მნიშვნელობის გათვალისწინებით მათზე დაყრდნობით მსჯავრდება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ მტკიცებულება საკმარისად სარწმუნოა (*Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*[GC], § 147).

v. ანონიმური მოწმეები

317. მაშინ, როდესაც ანონიმურ მოწმეებთან, ან იმ მოწმეებთან დაკავშირებით, რომლებიც სასამართლოში არ გამოცხადნენ შეიძლება განსხვავებული საკითხები წამოიჭრას, ეს ორი ვითარება პრინციპში ერთმანეთისგან არ განსხვავდება, რადგანაც ორივე ვითარებაში მოპასუხე შეიძლება არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. აქ ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართლის პროცესში მოპასუხეს მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებების გაქარწყლების შესაძლებლობა უნდა გააჩნდეს (*Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*[GC], § 127).

318. ანონიმური მოწმის მიერ მიცემული ჩვენების გამოყენება პირის მსჯავრდებისთვის ყველა გარემოებებში არ არის თავსებადი კონვენციის მოთხოვნებთან (*Doorson v. the Netherlands*, § 69; *Van Mechelen and Others v. the Netherlands*, § 52; *Krasniki v. the Czech Republic*, § 76).

319. მიუხედავად იმისა, რომ მუხლი 6 ცალსახად არ ითხოვს მოწმის ინტერესების გათვალისწინებას, სასწორზე შეიძლება აღმოჩნდეს მათი სიცოცხლე, თავისუფლება, ან უსაფრთხოება, ისევე როგორც კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრული ინტერესები. წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი სისხლის სამართალწარმოება ისე უნდა წარმართონ, რომ ეს ინტერესები არ აღმოჩნდეს საფრთხეში. ამგვარად, სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპები მოითხოვენ, რომ შესაბამის შემთხვევებში დაცვის ინტერესები დაბალანსებული იქნას მოწმის, ან დაზარალებულის ინტერესებთან, რომლების ჩვენების მისაცემად არიან გამოძახებული (*Doorson v. the Netherlands*, § 70; *Van Mechelen and Others v. the Netherlands*, § 53).

320. ეროვნულმა ხელისუფლებამ საკმარისი და საფუძვლიანი მიზეზები უნდა წარადგინოს გარკვეული მოწმეების ვინაობის გასაიდუმლოებასთან დაკავშირებით (*Doorson v. the Netherlands*, § 71; *Visser v. the Netherlands*, § 47; *Sapunarescu v. Germany* (dec.); და *Dzelili v. Germany* (dec.)).

321. თუ ბრალდების მოწმის ანონიმურობაა შენარჩუნებული, დაცვა ისეთი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდება, რაც სისხლის სამართალწარმოების პროცესში არ უნდა არსებობდეს. ასეთ შემთხვევებში ასეთი სიძნელეები საკმარისად უნდა იქნას დაბალანსებული იმ პროცედურებით, რომლებსაც სასამართლო ხელისუფლება მიმართავს (*Doorson v. the Netherlands*, § 72; *Van Mechelen and Others v. the Netherlands*, § 54; *Haas v. Germany* (dec.)).

322. კერძოდ, მომჩივანს საშუალება უნდა ჰქონდეს შეამოწმოს ანონიმური მოწმის სანდოობა (*Birutis and Others v. Lithuania*, § 29; *Van Mechelen and Others v. the Netherlands*, §§ 59 and 62; *Kostovski v. the Netherlands*, § 42).

323. გარდა ამისა, იმის შეფასებისას, ანონიმური მოწმის დაკითხვის პროცედურები საკმარისად აბალანსებს თუ არა დაცვის წინაშე არსებულ სიძნელეებს, სათანადო წონა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, თუ რამდენად გადამწყვეტი როლი შეასრულა ამ მტკიცებულებამ მომჩივანის მსჯავრდებაში. თუ ასეთი მტკიცებულება არ იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის, დაცვის უფლებები

ბევრად უფრო ნაკლებად შეიზღუდება (*Kok v. the Netherlands* (dec.); *Krasniki v. the Czech Republic*, § 79).

vi. მოწმეები სექსუალური ძალადობის საქმეებზე

324. სექსუალური ხასიათის დანაშაულთან დაკავშირებული სისხლის სამართალწარმოება ხშირად დაზარალებულს დიდ ტანჯვას აყენებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ამ უკანასკნელს მოპასუხესთან უწევს დაპირისპირება. ვითარება კიდევ უფრო მწვავედება, როდესაც საქმე არასრულწლოვანს შეეხება. იმის შეფასებისას, ასეთ სამართალწარმოებაში დაცული იქნა თუ არა მოპასუხის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, გათვალისწინებული უნდა იქნას სავარაუდო დაზარალებულის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება. შესაბამისად, სექსუალური ხასიათის დანაშაულთან დაკავშირებული სისხლის სამართალწარმოების პროცესში გარკვეული ზომები უნდა გატარდეს დაზარალებულის დაცვის მიზნით, იმ პირობით, რომ ასეთი ზომების პარალელურად დაცვას თავისი უფლებებით ეფექტიანი და ადეკვატური სარგებლობის შესაძლებლობა ექნება. დაცვის უფლებების გათვალისწინებისას სასამართლო ხელისუფლება ვალდებულია გაატაროს ისეთი ზომები, რომლებიც დააბალანსებენ იმ დაბრკოლებებს, რაც დაცვას შეექმნა (*Aigner v. Austria*, § 37; *D. v. Finland*, § 43; *F. and M. v. Finland*, § 58; *Accardi and Others v. Italy* (dec.); *S.N. v. Sweden*, § 47; *Vronchenko v. Estonia*, § 56).

325. სექსუალური ხასიათის დანაშაულთან დაკავშირებული სისხლის სამართალწარმოების სპეციფიკური ხასიათის გათვალისწინებით მუხლი 6§ 3(d) ვერ იქნება ინტერპრეტირებული ისეთი სახით, რომ იგი ყველა შემთხვევაში მოითხოვს, რომ ბრალდებულს ან მის ადვოკატს ჯვარედინა დაკითხვის, ან სხვა გზით შეკითხვების პირდაპირ დასმის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს (*S.N. v. Sweden*, § 52; *W.S. v. Poland*, § 55).

326. ბრალდებულს საშუალება უნდა ჰქონდეს დააკვირდეს მოწმის დაკითხვისას მის ქცევას, გააპროტესტოს მიწი ჩვენებები და ეჭვის ქვეშ დააყენოს მათი სანდოობა (*Bocos-Cuesta v. the Netherlands*, § 71; *P.S. v. Germany*, § 26; *Accardi and Others v. Italy* (dec.); *S.N. v. Sweden*, § 52).

327. მოწმის ჩვენების ვიდეოჩანაწერის ჩვენება ცალკე აღებული ვერ ჩაითვლება როგორც საკმარისი ზომა დაცვის უფლებების უზრუნველსაყოფად, იმ შემთხვევებში, თუ დაცვას არ მიეცა იმ პირისთვის კითხვების დასმის შესაძლებლობა, რომელიც ჩვენებას აძლევს (*D. v. Finland*, § 50; *A.L. v. Finland*, § 41).

vii. მოწმისთვის ხელსაყრელი წინადადებების შეთავაზება მისი ჩვენების სანაცვლოდ

328. მოწმის მიერ ხელშეუხებლობის, ან სხვა უპირატესობებით სარგებლობის სანაცვლოდ მიცემული ჩვენების გამოყენება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელსაც სახელისუფლებო ორგანოები მიმართავენ მძიმე დანაშაულთან ბრძოლის მიზნით. აღსანიშნავია, რომ ასეთი ჩვენებების გამოყენებამ შეიძლება ბრალდებულის მიმართ სამართალწარმოების სამართლიანობა დააყენოს ეჭვქვეშ, რადგანაც ასეთი მტკიცებულებების ხასიათიდან გამომდინარე ადვილად

შესაძლებელია ჩვენებებით მანიპულირება და პირმა ჩვენება შეიძლება მხოლოდ იმ მიზნით მისცეს, რომ სანაცვლოდ შეთავაზებული უპირატესობებით ისარგებლოს, ან პირადი შურისძიების გამო. შესაბამისად, გასათვალისწინებელია ასეთი ჩვენებების არაერთმნიშვნელოვანი ხასიათი და ის, რომ პირის მსჯავრდება შეიძლება გადაუმოწმებელი ჩვენების საფუძველზე მოხდეს, რომელიც შეიძლება დაინტერესებული პირის მიერ იყოს მოცემული. მიუხედავად ამისა, ასეთი ჩვენებების გამოყენება თავისთავად არ არის საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ სამართალწარმოების პროცესი უსამართლოდ იქნას მიჩნეული (*Cornelis v. the Netherlands* (dec.)).

viii. ხმებზე დაფუძნებული მოწმობა

329. კონვენციის მუხლები 6§1 და 3(d) შეიცავენ პრეზუმფციას, რომლის შესაბამისადაც სისხლის სამართლის საქმეზე ხმებზე დაფუძნებული მტკიცებულებების გამოყენება დაუშვებელია. ასეთი მტკიცებულებების ამორიცხვა იმ შემთხვევებშიცაა გამართლებული, როდესაც იგი შეიძლება დაცვის ინტერესებში იყოს (*Thomas v. United Kingdom* (dec.)).

ix. ბრალდებულის დაცვის მიზნებში მოწმის დაბარების უფლება

